

შპს კონსტანტინე: **ზვიად გაბსუნურდიას სხედარი ირქერიის მიწაში განისვენებს** 6

2 «დაუნადნეთ!»
არნივი
2 ღრაკონის
ნიწაღღაღ

საზოგადოებრივ-ჰოლიციური გამოცემა www.geworld.net №7 (50)
24 თებერვალი - 2 მარტი, 2010
საქართველო
ფასი | ღარი **მსოფლიო** info@geworld.net

4 საწაღი
ოგაგა
5 ჰოღბრუკის
ბატალიონი

ყველა ერთისათვის



3 **ღღ «რვენ ერთი გუნდი ვართ»**

ჯიმი ჯალიაშვილი:
ტარიტორიები
8 რუსეთის
გაღაწყვატი-
ღაბით არ
ღაგვიკარგავს!

10 ის, რას
13 წლის
ნიწათ ითქვა

ღაღაქაღაქი
20 «მალწაღა
ბანღიტები»
მოგრავეღწენ

21 «რგბის
არაწარი
მეწმის, იმიტოღ
მოვღიწარ,
რუსებს
როგ ვაგინო»

19 ვიწი კუღი
ვის სოღშია?

გია ნიშნიანდიე:
**სუთ წელიწადში
კვაღიფიწიური
ექიგები აღარ
გვაწოღაგა** 14

**სიწვაარული 19
ღა ვეარაგოგა
თანაგეღროვე
ქართულ
პოღიწიწი**

ზურაბ გაგნიდიე: **15**
**წუგზარ
ნიკლაურის
განწწაღაგები
კღიწიკურ
კვღავას საჭიროგბს**



განტევეგების ვირი 4

მიჯაჭვულაგბი 11



საავტორო სვეტი

«დაუზადნეთ!»

კაცს სოფელში არ აყენებდნენ და — მამასახლისად ამირჩიეთო. ავირჩიეთ და ახლა თავში ხელს ვიცემთ, ეს რა მაჯლაჯუნა დავისვით კისერზეო. რა და — პარლამენტი, თავისი „ცნობადი“ ტროგლოდიტებითა და „კტო ეტოტ პოტერპევეებით“, რომელთაც დაიჯერეს თავიანთი მამასახლისობა და სისულელეს სისულელეზე ისე ალაგებენ, როგორც ძველი ჩინელები ჩინეთის დიდი კედლის აგურებს.

მასშტაბი აქვთ დიდი და გასაქანი — ფართო: რომ მოაგვარეს ქვეყნის შიდა პრობლემები და ახლა ევროპისგან მოძულეული პრეზიდენტისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელი გზების მოკონსერვლას შეუდგენ ისეთ ვითარებაში, როცა კავკასიონზე გადასასვლელი ყველა ძირითადი უღელტეხილი რუსების ხელშია.

ასეთია სახელმწიფო ტრანსპორტი მიღებული აბსურდის ლოგიკა.

თუ მიყვები, ტვინის ისეთ დაბნელებას დავმართებს, რომელიც რუსეთის ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებისთვის მიმართვის გაგზავნის პატივს დაგდებს ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლებისთვის გვერდის ავლისა და მისი სრული იგნორირების გზით.

„კავკასიის ისტორიაში ამ რთულ დროს, გლობალიზაციის იდეების ნაპოვნის პერიოდში, როდესაც ევროპული სივრცეში ახალი რეალიზები განისაზღვრება, ჩვენ, კავკასიის ქვეყნების პარლამენტარებს, ჩვენი ხალხების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება“.

გამოვიდეთ თავი. იმათგან ვინ მოგვმართა ასეთივე არზითა და თხოვნით?

არავინ. ეს კი ბრეჟნევის პერიოდის „ესტრენი პლანის“ ინიციატივას ჰგავს, რომელსაც სანარმოთა კოლექტივები გვემის გადაჭარბებით შესასრულებლად კისრულობდნენ.

და — ასრულებდნენ. ოღონდ — ქალაქებზე, რადგან ფუყე იყო.

მადლობა ღმერთს, კვლავ სიბნელეში არ ვზივართ, რომ დღე ქურდივით წამოგვეწიოს. (1 თეს. 5,4).

ეგენი კი, ეტყობა, ლურჯ ქვაზე არიან წამოწოლილები, რომელიც ოსური მითოლოგიით ნიხასში დევს და, თუ ვინმე ზედ დაუდებდა და დაწვება, დარდი და სიმძიმე იავიწყდება.

დარდი დავიწყებთ და სიმძიმე იმ პრობლემებისა, რომლებსაც თავიანთი გადანყვებილებით გვიქმნიან ადამიანებს, ვის ხარჯზეც ფუფუნებენ და ნეტარებენ „ხალხის რჩეულნი“.

უფრო გასაგებად — „კაიფობენ“.

აბა, სხვა მდგომარეობაში როგორ დაიბადებოდა დრუნჩიშვილები მთვლელები და თავის გაღიზიანების იდეა?!

ერთი ტიპი ტრამპოლინი: ბაბუაჩემი ისეთი გაბედული კაცი იყო, დათვზე სანადიროდ მარტო დადიოდაო. ერთხელ ხელიც კი ჩამოართვა და მას შემდეგ ხელი არ დაუბანიაო.

— **ამდენი ხანი?!**

— **კვირაში ერთხელ სპირტივით წმენდავს, სახსრებში ზეთავს და ჭანჭიკებს ქანით უჭერსო.**

შავი იუმორია, არ ჰგავს „მერი პიკოლორდის კოცნას“. კოცნა და ხელის ჩამორთმევა კი არა, საერთაშორისო ნორმების დარღვევაში დაგვდებენ ბრალს და ფერადი რევოლუციების ექსპორტის მცდელობად შეგვიფასებენ. სხვა კუდებიც გამოვთქვამთ კიდეც და ამიტომ, სანამ დროა, „დაუზადნეთ“!

როგორც ამისხნეს, ორდობის ახალქართულად ეს სიტყვა უკანდახევას ნიშნავს.

ყველაზე დიდი იაღლიში კი ისაა, რომ, როცა შენ სხვა ხელისუფლების უფლებებს არად ჩააგდებ, ისიც ფეხებზე დაგიკიდებს და ხმასაც ვერ ამოიღებ. როცა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებს ისე მიმართავ, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებს, ნულარ გაგიკვირდება, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად რომ გამოგიცხადებენ.

მორალი: გველს თავისი ენის გამო კლავენ, თორემ არავის ეზოში სიმინდი არ შეუჭამიაო, — გაფართობებს მეგრული ანდაზა.

არაფა სანაპლია

პრინცი ფრაკონის

ჰიდრომეტცენტრი რომ იტყოდა, ცივი ამინდის მიუხედავად, გაზაფხულის მოახლოება სახეზეა. პოლიტიკური ცხოვრების პულსი ნელ-ნელა წინასწარმეტყველო რიტმს იძენს, ემოციურობა მატულობს, შემოსავლების რა მოგახსენოთ. კვირის მთავარ თემად ირაკლი ალასანიას (კინდერ) სიურპრიზი იქცა. რა ამოძრავებდა უშიშროების ყოფილ... (სტოპ, უკაცრავად!) ოპოზიციის ახალ სახეს, როდესაც ესოდენ სერიოზული ნაბიჯის გადადგმას გვეგზავდა?

გაგიდა და უკან არ დაბრუნებულა

ორშაბათს ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ არჩევნებში მერის პოსტზე წარსადგენი ერთიანი კანდიდატურის გამოვლენის მიზნით კონსულტაციებს იწყებს ოპოზიციურ ძალებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ალიანსში მყოფი პარტიების ხელმძღვანელები ამას მიზანშეწონილად არ თვლიან. ამ განცხადებებში, ისევე როგორც წინასწარმეტყველო სიტუაციას, დამატებითი ქაოტურობა შესძინა. პირველად, ძალზე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ოპოზიციის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, ცოტა მეტი ეფიქრათ და უფრო თამამად ემოქმედათ.

საღამოსკენ მემარჯვენეები და რესპუბლიკელები მიხედნენ, რომ ალასანია მიდის და, მარტივად რომ ვთქვათ, ალიმენტის გადახდას არ აპირებს. А счастье было так близко, так возможно...

ის, რომ „ალიანსის“ სტრატეგია (ეს მაღალფარდოვანი სიტყვა ვინმაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლევ ტოლსტოის დარად მოგვიხსენებს იმ ბედლამის აღწერა, რომელიც ობლონსკის ოჯახში სუფევდა) ჩიხში შევიდა, ცხადი აღწერილ მოვლენებამდე გაცილებით ადრე გახდა. მუდმივმა დისტანცირებამ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალებისგან და იდეებისგან, საბოლოოდ ერთგვარი იზოლაციონიზმის სახე მიიღო, რომელიც საპროტესტო ელექტორატის ფართო ფენებზე გასვლის შესაძლებ-

ერთი საინტერესო ნიუანსის დაჭრა შეიძლება, რაღაც მომენტში იდეოლოგიურმა სხვაობამ პოლიტიკურ ძალებს შორის, უთანხმოებამ ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხებზე უკანა პლანზე გადაინაცვლა, რამაც იმ დრომდე წარმოდგენილი ალიანსების (ან ანტიგონისტური წყვილების) ფორმირება შესაძლებელი გახდა. პოლიტიკოსებმა კი უაღრესად პრაგმატული (ხშირად ცინიკური) ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს.

საგულისხმოა, რომ ირაკლი ალასანიას განცხადების შემდეგ, ბზარი სწორედ იმ პოლიტიკურ ალიანსს გაუჩნდა, რომელშიც, დანარჩენებისგან განსხვავებით, პროამერიკული ორიენტაციის ერთ-ერთი მთავარი, თუ არა განმსაზღვრელი, მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა შეგვიძლია ეს უბრალო დამთხვევად ჩავთვალოთ.

როგორ დაგვიხსნის ინვესტირება

პაერში კი ისევ დენთის სუნი ტრიალებს. ისე მიეჩვიეთ, რომ ველარც ვამჩნევთ. განცხადებები ომის განახლების შესაძლებლობის შესახებ ერთმანეთის მიყოლებით კეთდება. ლონდონში, Chatham House-ში მიხილ სააკაშვილმა ომის განახლების მოსალოდნელ საფრთხეს ვრცელად და ფრიად ემოციური პასუხი მიუძღვნა.

ხელისუფლება ხშირად უსვამს ხაზს იმას, რომ სააკაშვილის საზღვარგარეთული ვიზიტების ერთ-ერთი მთავარი პროპორიტეტი ინვესტიციების მოზიდვაა ამ კუთხით მართლაც განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს: მთავრობა წელს 1,2 მილიარდი დოლარის მოცულობის ინვესტიციებს მოელოდა, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის — ედუარდ გარდნერის აზრით, 800 მილიონზე მეტს ვერ მოვიზიდავთ. სხვაობა შეფასებებში საკმაოდ დიდია, თუმცა ხელისუფლება ოპტიმიზმს მაინც ინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, რომ რიგი

ინვესტიციების (მაგალითად, ყაზახების) ერთუზიანობის შემცირება მსხვილი პროექტების მიმართ შეუიარაღებელი თვალთვალს ჩანს.

ედუარდ გარდნერს კიდევ ერთი საგულისხმო განცხადება ეკუთვნის: „ფონდი ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, შეამციროს საბიუჯეტო დეფიციტი, რათა შეამციროს რისკები მომავალში, როდესაც საერთაშორისო დონორებისგან დაპირებული დახმარების მიღებას დაასრულებს“. ისე, ვიდრე ჩვენ ხელისუფლებას საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებაზე დაელოდა, ვინაობა, ვინაობა, ცოფიანი ფოტსტერიისთვის სოსისი წართმევაში წავერჯიშა. ეს ისე, სხვათა შორის...

ამ ფონზე, როდესაც ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წამყვანი წარმომადგენლები გამუდმებით ომის განახლებას, საუკეთესო შემთხვევაში, შიდაპოლიტიკური პროცესებით გამოწვეული სამოქალაქო დაპირისპირების დანაშაულებას წინასწარმეტყველებენ. თანაც ისე დამაჯერებლად, ცხონებულ ვანგასაც შეშურდებოდა.

საინტერესოა, რას გრძნობს ერთი ჩვეულებრივი ინვესტიორი, როდესაც მის ნავთობტერმინალს, ასე 75-გრადუსიანი კუთხით, ტაქტიკური რაკეტა „ტორკა-უ“ უახლოვდება? რაზე ფიქრობს იგი, როდესაც მისი ბენზინგასამართი სადგურის თავზე მელანქოლიურად ტრიალებს SU-25 Frogfoot-ი, ხოლო მიხვევას სავალუტო კომპლექსის ტერიტორიაზე სნაიპერები (ისე, ჩვეულებრივ ცხოვრებაში საოცრად მშვიდი და თავაზიანები არიან, ხანდახან — ხაზგასმით თავაზიანები) უცნაურ, მხოლოდ მათთვის გასაგებ თამაშს იწყებენ? (დამალობნას ჰგავს, ოღონდ ოლიმპიური სისტემით ტარდება, გავარდნაზეა).

ცხადია, პოტენციური ინვესტიორისთვის ამის წარმოდგენაც კი საკმარისი იქნება, რომ გაუჩნდეს დაუოკებელი

ამოკლავ



ნატო ისევ ხალხს ბოგავს

ავღანეთში ნატოს ავიადარტყმის შედეგად 33 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა. ალიანსის წარმომადგენელმა აღიარა, რომ 21 თებერვალს სამხედრო თვითმფრინავებმა იერში მიიტანეს მთიან გზებზე მიმავალ სამ მიკროავტობუსზე. დაზვერვის მონაცემებით, ამ მანქანებში ბოევიკები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ დაზვერვა კიდევ ერთხელ შეცდა. ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის ძალების მეთაური, გენერალი სტენლი მაკკრისტალი ამბობს, რომ ყველა მსგავსი ინციდენტი „მისიისადმი ნდობას აკნინებს“.



ამერიკას ევროპიდან აკეპებენ

გერმანიამ ამერიკული იარაღისგან ევროპის განმენდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პუნქტად აქცია. ბელგიის ხელისუფლებამ კი ნატოს წევრი ხუთი ქვეყნის — ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის, გერმანიისა და ნორვეგიის სახელით თეთრ სახლს ევროპის ტერიტორიიდან ამერიკული ბირთვული იარაღის გატანის მოთხოვნა გაუგზავნა. გერმანიამ, კარგა ხანია, ცდილობს, ევროპაში ნატოს სტრატეგიულ როლს გადახედოს, რაც ევროპის აშშ-ისგან თავისუფლებისა და რუსეთთან დაახლოების პრელუდიაა.



ქართული საგოგლოდან გაკვირვება

ბელორუსის სასაზღვრო კომიტეტის განცხადებით, ბოლო თვეებში ბელორუსის გავლით საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად გადასვლის მსურველთა რაოდენობა გაათმაგდა. ევროპული ცენტრის კვლევის მონაცემების თანახმად კი, ათასობით ქართველი ლტოლვილის სტატუსის მიღებას ცდილობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეს უკიდურესად არასასიამოვნო სტატისტიკა საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომლის იმიჯსაც ქართველი ლტოლვილების ძლიერი ტალღა სერიოზულ ზიანს აყენებს.

ნიმალაღებ

სურვილი აღნიშნული გეოგრაფიული ნერტილიდან მაქსიმალურად შორს აღმოჩნდეს. სადაც იქ, სადაც თითოეული ჩადებული ცენტს დოლარი მოაქვს, სადაც ნაზად შრიალეზენ ოკეანის ტალღები და ტროპიკების სურნელით გაჟღერებული ჰაერში უცნაური საკრავების ჰანგები და ლამაზმანების მხიარული შეძახილები დანავარდობს. ვერც გავაგებთ.



არწიმი ღრაკონის წინააღმდეგ

გლობალურ მშვიდი და მყუდრო ადგილების რაოდენობა კატასტროფული სისწრაფით მცირდება. ვითარება ირანის გარშემო სულ უფრო დაძაბული ხდება. ურთიერთობა აშშ-სა და ჩინეთს შორის „ცივი ომის“ ყველა დამახასიათებელი ნიშანი შეიძინა. ირანი ჩინეთისთვის ენერგომატარებლების ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელია, ომის დაწყების შემთხვევაში დრაკონივით გაუშვებენ ჩინურ ეკონომიკას ნავთობის 15 პროცენტს მოაკლდება, ხოლო თუ საბრძოლო მოქმედებების (და თანამდევ ტერორისტული აქტების) არეალი მთელ რეგიონზე გაფართოვდება (შეფერხდება ნავთობი, განადგურდება ინფრასტრუქტურის ობიექტები) დანაკარგიც შესაბამისად გაიზრდება.

გასულ კვირამ ამერიკული ხომალდები გამომწვევად ტრიალებდნენ ჰონკონგის სიახლოვეს; ბარაკ ობამა, პეკინის პროტესტის მიუხედავად, დალაი-ლამას ხვდებოდა, ხოლო კლინტონების ცნობილი რძალი ჩინეთს იზოლაციით ემუქრებოდა, თუ იგი ირანის წინააღმდეგ სანქციებს არ შეურთებდა.

პეკინმა კი ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ არც საგარეო და არც საფინანსო პოლიტიკაში გაშინგონის მითითებებით არ იხელმძღვანელებს და ამას კონკრეტული, ამხანაგ მათს დანაბარებით ხისტი ნაბიჯებიც მოაყოლა. ირანი კი მოვლენათა ყველაზე ცუდი სცენარით განვითარებისთვის მოემზადა.

პარალელებს არ გავავლებთ, თუმცა 1941 წლის 25 ივლისს შტატებმა იაპონიის წინააღმდეგ ნავთობის ემბარგო შემოიღეს, რომელსაც დიდი ბრიტანეთი და ჰოლანდია (მაშინ ინდონეზიის სახადოებს სწორედ ის ფლობდა) შეუერთდნენ. იგი მოიხსნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტოკიო ამერიკელთა პირობებს შეასრულებდა, ფაქტობრივ კაპიტულაციას გამოაცხადებდა. იაპონიას, ერთბაშად ნავთობის იმპორტის 75% მოაკლდა, პასუხმაც არ დააყოვნა, 7 დეკემბერს პერლ-ჰარბორის თავზე იაპონური თვითმფრინავები გამოჩნდნენ.

ერის შინაგარეო დამიარაღ-მა იამამოტომ თქვა: „ვიშობ, რომ ჩვენ მხოლოდ გავაღვიძეთ მძინარე გოლიათი“, პერლ-ჰარბორმა ამერიკელებს ერთ მუშტად შეკრა, ხელი-სუფლებას შესაძლებლობა მიეცა, თამამად ემოქმედა; მოკლედ, კრიზისისგან გამოფიტული ამერიკა, ომის დასრულებისთვის შესახელმწიფოდ, მსოფლიო ეკონომიკის ლიდერად გადაიქცა.

საერთოდ, აშშ-ს ყველა ომი თითქოსდა ერთნაირად იწყება: პირველ, მძიმე დარტყმას მონიშნაღმდეგე აყენებს: აშშ-ესპანეთის ომი დაიწყო დივერსიით ამერიკული ხომალდის „მენ“-ის წინააღმდეგ, რომელსაც 200-ზე მეტი მეზღვაური ემსხვერპლა, I მსოფლიო ომში ჩაბმას წინ უძღოდა გერმანელების მიერ ლაინერ „ლუზიტანიის“ ჩაძირვა, II მსოფლიოს — პერლ-ჰარბორი, ვიეტნამს — თავდასხმა ამერიკულ ხომალდებზე ტონკინის ყურეში, ხოლო ის, რითაც დაიწყო შტატების ბოლო აღმო-

ნის, რომელმაც სწორედ მაშინ, როდესაც ცხადი გახდა, რომ კრიზისული ვითარების შექმნა ირანის გარშემო გარდაუვალი ხდება, „საგარეო ურთიერთობათა საბჭოს“ ჟურნალში „Foreign Affairs“ (№4, 2009) გამოქვეყნდა წერილი „ვენეტაგონის აქტივები მცირდება“, სადაც უამრავ გლობალურ საფრთხესთან ერთად კონკრეტულად ისაუბრა; მაგალითად, ზემოთ განხილულზე ან კიდევ იმაზე, რომ ამერიკული ბაზა „კადენა“ ოკინავაზე და ბაზა „ანდერსონი“ კუნძულ გუამზე შეიძლება ჩინელთა წარმატებული სარაკეტო იერიშის საშიზზე გახდეს. მან, აგრეთვე, ახსენა მაგიური სიტყვა „პერლ-ჰარბორი“ და ერთს შეხედვით, უნებლოდ უზუსტობა დაუშვა, როდესაც დაწერა რომ 2002 წლის სწავლებებზე, პირობით მონიშნაღმდეგეში „ირანი იგულისხმებოდა“.

ეს მხოლოდ ჟურნალი იყო, კინო ახლა იწყება. კრეპინევიჩის პუბლიკაციას სხვა ექსპერტების მოსაზრებები ერთვით. „ირანელთა კამიკაძე-კატარღები რეალურ სამყაროში ვერ გაიმარჯვებდნენ, როგორც ეს სწავლებების დროს მოხდა“, — წერს ადმირალი ფილიპ დიური. იგი მართალია და კრეპინევიჩი ამას აღიარებს, თუმცა იქვე დასძინს, რომ სულ სხვა რამ დაწერა, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ არა საკუთრივ კატარღები, არამედ მათი გამოყენება ნაღებთან, წყალქვეშა ნავებთან კომბინაციაში და, რაც მთავარია, რაკეტებთან.

საინტერესო სიტუაციაა, კრეისერ „იორკტაუნის“ და სარაკეტო საბრძოლო დაჯგუფების მეთაური, ადმირალი დიური, თითქოსდა ვერ კითხულობს, ვერ აღიქვამს ოპონენტის მარტივ ფრაზას, ვერ ხედავს რაკეტებს, რომლებიც ხომალდებს უახლოვდება. არადა, პოლემიკა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოცემის ფურცლებზე მიმდინარეობს და მსგავსმა შესაბამისებმა შეიძლება პუბლიკაციას დამატებითი დეტირთვა შესძინოს. ისტორიული პერლ-ჰარბორის ტრაგედია სწორედ ასეთი ნიუანსებიდან იწყებოდა.

იმედია, ყოველივე ეს მშვიდობიანად დასრულდება, როგორც ოპტიმისტები იტყვიან: მთავარია ომი არ იყოს, ყველაფერ დანარჩენს კი როგორმე მოვევლება.

ლიბიტი მონიკა



ყველა ერთისათვის, ანუ ჩვენ ერთი გუნდი ვართ

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება ხალხისთვის გადაგდებული ანკესია, რომელზეც სატყუარად ამავე ხალხის ემოციაა ნამოგებული, სინამდვილეში კი ერთიცა და მეორეც შეთანხმებული არიან თამაშის წესებზე. ამ წესების ერთგულად დამცველებს აჯილდოებენ, დამრღვევებს კი მკაცრად სჯიან.

„ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ მუშკეტერების მორალური კოდექსის უმთავრესი დევიზი იყო, თუმცა ქართულ პოლიტიკაში მან მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. საქართველოში ამ დევიზის მხოლოდ მეორე ნაწილია ძალაში. „ერთი ყველასათვის“, დიდი ხანია, არ ყოფილა და, ალბათ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს დაცვა, სანამ იმ „ერთის“ გონებამდგე მივა „ყველასათვის“ გარჯის აუცილებლობა.

რაც შეეხება დევიზის მეორე ნაწილს „ყველა ერთისათვის“, ჩვენს შემთხვევაში ან „ერთის“ მიმართ გამორჩეულ ერთგულებას კი არ ნიშნავს, არამედ — ან „ერთის“ სამსახურში ყოფნას. „ერთმაც“ და დანარჩენებმაც იციან, რომ ეს სამსახური დაფასებას საჭიროებს და სიძუნწე უპატივებელია. სხვა ყველაფერი მიგეტყვება, თუკი „ერთის“, ანუ პირველის სამსახურისთვის ყოველთვის №1 მზადყოფნა გექნება.

ზურაბ ნოლაიდელიც და ირაკლი ალასანიაც პრეზიდენტ სააკაშვილის სახელისუფლო გუნდის წევრები იყვნენ მისი აღზევებისთანავე და, როგორც ჩანს, ამ გუნდიდან არც ნამოსულან. მათ მიმართ (განსაკუთრებით ნოლაიდელის) უაგუსტუსის ქილიკი ხალხის მოტყუების უნიჭო მცდელობაა, თორემ, რაც ყოფილა პრემიერ-მინისტრმა ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი, რბილად რომ ვთქვა, აკრიტიკა, ისეთი რა უძლეველ შეეყარა სააკაშვილს, რომ ერთი მიბოლური ტელეფონი ამასაც არ „უხეიქნა“.

მაგრამ, არა, ნოლაიდელი ხელშეუხებელია. ხელმწიფის კარის პოლიტიკს ნელ-თბილად უქიმუნჯებენ ენერგიამოზღვევებულ ექსპრემიერს, რომელიც ხელისუფლებიდან „დაღლილ ვირად“ წამოსული ოპოზიციაში „ტროას ცხენად“ ტრანსფორმირებული „შეგორდა“.

ნოლაიდელი რუსულ ხაზზე დაჯდომას ცდილობს და მასაც და მის თანამოაზრეებსაც რუსეთუმეების იარაღის აკერებენ. თუმცა ძნელი მისახედრი არ არის, რომ ექსპრემიერი ქვეყნის გადარჩენაზე ფიქრში არ ათენ-აღამებს.

მეორე „ტროას ცხენს“ — ირაკლი ალასანიას არ უჭირს იდუმალებით მოცული პერსონის როლის თამაში, როდესაც მის ხასიათშიც „ზის“ და იოლად ახერხებს საჯარო პოლიტიკაში განონსწორებული პოლიტიკოსის იმიჯის შექმნას.

ზურაბ ნოლაიდელიცა და ირაკლი ალასანიაც მიშას „კარის მუშკეტერები“ არიან და, რასაც უნდა აკეთებდნენ და სადაც უნდა დადიოდნენ, კარგად იციან, რომ მიზანი იმ „ერთის“ მსახურებაა, იმ „ერთის“ გადასარჩენად გარჯაა.

გამოსდით კიდევ — ვაშინგტონისა და მოსკოვის ხაზი დაკავებულია. ასე ფიქრობს ხალხი, რომელიც სააკაშვილის პროპაგანდისტულ ნისლში ვერ გარკვეულა, რომ ალასანიაც და ნოლაიდელიც ახლა მიშას გადასარჩენად ოპოზიციაში გადატყორცნილი „ლეგიონერები“ არიან და მეტი არაფერი...

ამიტომაც ატყდა კაკანი და კრიახი ოპოზიციურ „საქათმში“. ამათ ფონზე იკეთება მიშას კიდევ ერთი „მუშკეტერი“ — ლევან გაჩეჩილაძე. მასზე ბევრს არაფერს ვიტყვი. ცოცხად ისიც ყოფა, თავის „უცნობ“ მმასთან ერთად რამდენიმეჯერ რომ გამოაშვებინა ხალხს „ორთქლი“ და ამ ხალხის ინტერესებით სააკაშვილთან ფარულ შეხედრებზე სარფიანადაც ივაჭრა.

Enter password — პაროლიც შეყვანილია და ყველაფერი გაშიფრულია. მთელი ეს აურზაური კი ხალხის კიდევ ერთხელ მოსატყუებლად ატყდა. მიზანი გაცხადდა — „პარავიზი“ 2013 წლამდე უნდა „მიჩუქჩუქედეს“, რადგან ამ პერსონებს მიშას მატარებელში თითო ადგილი ან კუპე კი არა, მთელი ვაგონი აქვთ დაჯავშნული.

კვებაც გარანტირებულია და დესერტიც — ბებოს კაკლის მურაბა.

მიშა, მოვიდვართ! მოვიდვართ, რომ კიდევ ერთხელ გიხსნათ და დაგიმტკიცოთ ერთგულება — ჩვენ ხომ ერთი გუნდი ვართ!

ლავა გიორგიძე



გაიოუნსოკაპალი ხელისუფლება

ტელეარხ „CNN“-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ამერიკელთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ აშშ-ის სახელმწიფო მართვის სისტემა სათანადოდ არ ფუნქციონირებს. სერიოზული დარღვევები რესპონდენტთა 86 პროცენტმა შეამჩნია. უკმაყოფილოთა რაოდენობა 2006 წლის ანალოგიურ გამოკითხვასთან შედარებით, ძირითადად, საშუალოზე მეტი შემოსავლის მქონე და სოფელში მცხოვრებ ჯგუფებს შორის გაიზარდა. სწორედ ეს კატეგორია შეადგენს კონსერვატორთა პერმანენტული საპროტესტო აქციების ძირითად მასას.



„ესროლეთ დაუნებს, როგორც თავაზს“

„Facebook“-ის იტალიური განშტოების ჯგუფში, სახელწოდებით „ესროლეთ დაუნებს, როგორც თავაზს“, 2000-მდე ადამიანი განეწვრიანდა. მათი აზრით, დაუნით დავადებული ადამიანები უსარგებლო ტვირთია და ისინი სასროლ პოლიგონებზე მოძრავ ან უძრავ სამიზნეებად უნდა გამოიყენონ. საპროტესტო ჯგუფებში 22 ათასზე მეტი ადამიანი გაერთიანდა. იტალიის თანასწორი შესაძლებლობების მინისტრმა განაცხადა, რომ დანაშაულისკენ მონოდატაც დანაშაულია და მოძრაობის ინიციატორები გასამართლებიან.



ტენასში ტაქრებს წაავენ

ტენასის შტატის პოლიციამ დააკავა ორი ახალგაზრდა — 21 წლის დენიელ ჯორჯ მაკალისტერი და 19 წლის ჯეისონ რობერტ ბურკი, რომლებიც შტატის ტერიტორიაზე ათამდე ტაქრის გადნავაში არიან ეჭვმიტანილი. დანაშაულის მოტივების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ყველა დანაშაული წელს 1 იანვრიდან 8 თებერვლამდე პერიოდშია ჩადენილი. ტენასის კანონების თანახმად ეკლესიის გადნავა უშემის დანაშაულად ითვლება და 5-დან 99 წლამდე პატიმრობით ისჯება.



საავტორო სვეტი

საწყალი ობაბა

დიახ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამაზე მოგახსენებთ. ვერ ვიფიქრებდი, თუ მსოფლიოს უპირველესი პოლიტიკური ფიგურა ოდესმე ჩემი დასაცავი გახდებოდა. ამას ისე ვამბობ, გულის მოსაოხებლად, თორემ დასაცავიც და გადასარჩენიც სწორედ საქართველო და ქართველი ხალხი, საქართველოსა და ქართველი ხალხის ღირსებაა.

ქალბატონ მაია ორჯონიკიძესაც, ალბათ, ამ დიადმა მიზანმა უკარნახა არცთუ ორიგინალური იდეა — ვრცელი „ღია წერილით“ მიემართა პრეზიდენტ ობამასთვის.

ბატონი ობამა, რა თქმა უნდა, ქალბატონი მაიას წერილს არც ნაიკითხავს მისი „გრანდიოზული“ მოცულობის გამო. არც ესაა დიდი უბედურება. სამოციან წლებში დაბადებულმა, მძიმე ბავშვობა გამოვილიშა, მაგრამ დღეს უკვე სავსებით ზრდასრულმა ქალბატონმა მაიამ ეს, ალბათ, შესანიშნავად იცის. იგი ამ ვრცელ წერილს ობამაზე კი არა, ჩვენზე, საკუთარ ბენჯამინამეამულეებზე შთაბეჭდილების მოსახდენად წერს. ადრესატად ამერიკის პრეზიდენტი რომ ეგულსხმა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მხატვარი და პუბლიცისტი (ასე მოიხსენიებს საკუთარ თავს ავტორი) ქალბატონი მის გასაგონად სამოციან წლების საბჭოთა კავშირზე ასე დანერვილებით არ ილაპარაკებდა. საქმე ის არის, რომ თანამედროვე დემოკრატიის აკვნად აღიარებულ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ პერიოდში ჯერ კიდევ მძვინვარებდა რასიზმის თეორია. ამავე წლებში ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ომები ინდოჩინეთში, რითაც დღეს ამერიკელი ხალხი და ამერიკის ადმინისტრაცია, რბილად რომ ვთქვათ, მანცვლადამინც არ ამაცობს. ყველაფერ ამის შესახებ კენიური წარმოშობის ბარაკ ობამასთვის მთლად კორექტული არ უნდა იყოს.

მხატვრისა რა გითხრათ, მაგრამ პუბლიცისტს ასეთი გულუბრყვილო შეცდომა არ უნდა მოუვიდეს. მაია ორჯონიკიძე არ გახლავთ ვინმე „ერთ-ერთი ქართველი პუბლიცისტი.“ იგი სააკაშვილის ხელისუფლების მხურვალე მხარდამჭერი (ვერ არის მთლად სანაქებო საქციელი პუბლიცისტისგან!) და ამ ხელისუფლების პოლიტიკის ასევე მხურვალე პროპაგანდისტია. ეს ნიშნავს, რომ მისი პირი სააკაშვილის ხელისუფლება ლაპარაკობს. სწორედ ეს

პუბლიცისტი, ანუ სააკაშვილის ხელისუფლება, რუსეთს რომ თავი დავანებოთ, გერმანიისა და საფრანგეთის ხელისუფლებებს, პირდაპირი გაგებით, ასმენს ობამასთან,

ამ თქვენს ევროპელ პარტნიორებს თქვენს ზურგს უკან ამერიკისა და თქვენი ერთგული საქართველოს წინააღმდეგ პირი შეუკრავთ, რუსებთან კუდები გადაუბამთ და ათას მზაკვრულ გეგმას ამზადებენო!

შეგახსენებთ, რომ საუბარია ევროპის ორ უდიდეს სახელმწიფოზე, რომელთა „რუსული პოლიტიკა“ თურმე ასე მიუღებელი ყოფილა ქალბატონი პუბლიცისტისთვის, ანუ მისივე სააკაშვილისთვის.

ეს მიაბიტიური დასმენა, რა თქმა უნდა, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ევროპა-ამერიკის ურთიერთობებზე, მაგრამ ძალიან ცუდად წარმოაჩენს საქართველოს ხელისუფლებას და, სამწუხაროდ, საქართველოს ხალხსაც, რომელსაც, „ღია წერილიდან“ გამომდინარე, საბოლოოდ დაუკარგავს მოვლენათა შეფასებისა და განსჯის უნარი. მაგალითად, ასეთის — გერმანიის, საფრანგეთისა და ევროპის ყველა დანარჩენი სახელმწიფოს ხელისუფლებები საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ხელმძღვანელობენ საკუთარი ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებით და არა იმით, რას იფიქრებს მათ გადაწყვეტილებებზე მისილ სააკაშვილი; რომ ამერიკის ადმინისტრაციისთვის მისი ბუმბერაზი სადაზვარცო და დიპლომატიური სამსახურების წყალობით, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფლებებზე გაცილებით მეტია ცნობილი, ვიდრე ეს ბატონ გივი თარგამაძეს წარმოუდგენია.

სხვა მხრივ, როგორც სამოციან წლებში რუსულ კრიტიკაში იყო მიღებული, მაია ორჯონიკიძის სტატია „კარგი ქართულით არის დაწერილი და საამოდ იკითხება.“

თეიმურაზ ქორიკაძე

ბანტუვუზის პირი

ზურაბ ნოღაიდელი ძნელად წარმოიდგენდა, რომ არსთა გამრიგე ესოდენ მნიშვნელოვან მისიას დააკისრებდა — მან მოახერხა მთელი ოპოზიციური სპექტრის თავდაყირა დაყენება და ნაძალადევი ჰარმონიისა და ერთიანობის ხუხულასავით ჩამოშლა.

არ ვამბობ, ეს მისია კარგია თუ ცუდი, ახერხებს თუ აზარალებს ქართული პოლიტიკისთვის ჭყინტ, თუმცა სახელისუფლო ინტრიგებში საფუძვლიანად გარკვეულ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, მაგრამ ფაქტია, რომ მისმა ბოლოდროინდელმა მოულოდნელმა გადაქტიურებამ ბევრ და ბევრისთვის არასასურველ პროცესს დაუდო სათავე. ანდა, თუ მაინცდამაინც მოთავედ არ გამოდგება, შეგვიძლია ასეც ვთქვათ — მან ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა და პოლიტომონდი გაურკვეველობის ბურუსში გახვია.

გაფინანსისტბული ფიზიკოსის გაპოლიტიკოსებას ბიძგი 2008 წლის აგვისტოს ომმა მისცა. მაშინ ნოღაიდელის მკვეთრმა განცხადებებმა ძალიან გააოცა საზოგადოება. თვით ლეგენდარული სიხისტით ცნობილი ექსპრემიერისგანაც კი მოულოდნელი იყო ასეთი ფერისცვალება. ალბათ, ყველას გახსოვთ პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელის დაღლილი სახე სარფის საბაჟოზე, როცა პრეზიდენტი სააკაშვილიმ მუხრანში დააპატიმრა. მაგრამ ამ თვითმხილველს ანიოკებდა. ალბათ, ისიც გახსოვთ, წყალდიდობისას დუშეთში მოულოდნელად ასული პრეზიდენტი სააკაშვილი ტელეფონით რომ ესაუბრა პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელს და ასე „შენ გიჟი ხომ არ ხარ, ახლავე ტრანქვილეტიკა მოუშვიო!“ — უკიოდა.

ვინც სააკაშვილის პარასტრატეგიას იცნობს, ისიც იცის, რომ მისთვის ყველაზე ხელსაყრელია მტკიცე ხელით მართვის დიდოსტატის იმიჯის შექმნა სხვისი დამცირებით. ასეთი შემთხვევებისთვის პრეზიდენტს სხვაც ბევრი ჰყავს, მაგრამ პრემიერ-მინისტრის რანგი მაინც სულ სხვაა. სააკაშვილი იმ სტილის მმარ-

თველია, რომლის ფონზეც ნებისმიერი ჩინოვიკი ნულს ქვემოთ უნდა განვიხილოთ.

ამ მხრივ გამონაკლისი ვერც ზურაბ ნოღაიდელი იქნებოდა. მას ხისტი მორჩილების დიდი გამოცდილება ჰქონდა ჯერ შევარდნაძის შემდეგ კი სააკაშვილის პრეზიდენტობისას. თუმცა ბევრ პრობლემას მისი მფარველი ანგელოზი ზურაბ ჟვანია აგვარებდა და, სხვათაშორის, არც თუ ურიგოდ და მით უმეტეს, არც თუ უანგაროდ.

ზურაბ ნოღაიდელი ბევრს ითმენდა. ალბათ, უპირაინ იქნება, თუ ვიტყვი, იტანდა-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენო შალვა ნათელაშვილის შერქმეული მეტსახელი „დაღლილი ვირი“ და შევარდნაძის ხუმრობა. როდესაც ექსპრეზიდენტს ამ მეტსახელის შესახებ ჰკითხეს, ჩვეული იუმორით უპასუხა, რამ დაღალა, კაცო.

მართლაც, რამ დაღალა?

როგორც ჩანს, ზურაბ ნოღაიდელის სიჯიუტის ამბავი შევარდნაძისთვისაც არ არის სიახლე. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, პრეზიდენტ სააკაშვილთან რამე გამოსივლოდა, ამიტომაც, თუკი შევარდნაძის დროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გამოტანა იმთავითვე ერთ-ორი კაპიტი, სააკაშვილის დროს ელიტური კორუფციის ჭაობში ღრმად ჩაფლო. ხმები მისი აურაცხელი ქონების შესახებ სულაც არ არის გადაჭარბებული, თორემ ცხოვრებულ ომარ ვარძელაშვილს მასზე არანაკლები თანამდებობები ეკავა, მაგრამ სიმდიდრის მოხვეჭა ვერ შეძლო, უფრო სწორად, — არ იკადრა.

ნოღაიდელი ქართული ლეიბორიზმის მამის შერქმეულ მეტსახელს მხოლოდ ნაწილობრივ ამართლებს. ცნობილია, რომ ვირი, თუ ერთხელ სადმე ჩაფლო, იმ ადგილას

სულ ფინანსებიც რომ დაუფინო, ფებს ვერ გადაადგმევინებ. აი, ზურაბ ნოღაიდელმა კი ფინანსთა მინისტრის საფრთხელი ორჯერ მოიზომა. როგორც ჩანს, შევარდნაძის დროსაც კორუფციის ჭაობში კი არ იყო ჩაფლული, არამედ კორუფციის გზატკეცილზე „მიზაკუნებდა“ (ან ერთ ადგილზე აბაკუნებდა ფეხებს) და, მისი დიდი გამოცდილების გათვალისწინებით, გაპრეზიდენტებულმა სააკაშვილმა გაპრემიერებული ჟვანიას რეკომენდაციით ისევე ფინანსთა მინისტრის პორტფელი ჩააბარა.

ამ პორტფელით რა მიჰქონდა და რა მოჰქონდა ნოღაიდელს, ახლა მხოლოდ სააკაშვილმა და იმ ვანომ იცის. კიდევ ერთმა კაცმა იცოდა, მაგრამ მისი სახელი და გვარი მისსავე გამოზრდილებმა დაივიწყეს და მეტად წურვ ჩვენ შევანუხებთ. მით უფრო, რომ კარგს მაინც ვერაფერს ვიტყვი.

იცოდა მიშამ და იმ ვანომ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ამბობენ. ისინი იტყვიან და ესეც იტყვის. ბოლოსდაბოლოს, რამდენჯერ უნდა აღიაროს პრეზიდენტმა შეცდომები? ჯერ „ყველაზე დიდი შეცდომა“ — ირაკლი ოქრუაშვილი — ვერ მოუწელებია და ახლა მისი ხელისუფლების ფინანსთა მინისტრისა და შემდგომ უკვე მთავრობის მეთაურის კორუფციის გამოხატვა რაკდეს, ხომ ჰკითხავენ, შენ სად იყავით და რას უყურებდი, როცა ეს მუტრუკი (გავირობამდე!) ასე არხეინად დანავარდობდა ბიუჯეტის ფულებით მოკირწყლულ ქვეყანაში?

ხმა არ იღებს, მაგრამ განავინმე იტყვის, რომ ჩერჩილმა „ცხელი და შემტევი“ პრეზიდენტი იობის მოთმინებას იჩენს? სააკაშვილი ის ხვით არ არის, ყოფილი პრემიერის

ნიხლი არ ეწყინოს. აქ რალაც სხვა აბლაბუდა იხლართება და გამორიცხული არ არის, უახლოეს მომავალში ბევრი დარჩეს გაღიმებული.

ვნახოთ. განკითხვის დღე, ადრე თუ გვიან, დადგება და, რაკი ზურაბ ნოღაიდელმა ეს ყველაზე უკეთ იცის, არც ერთ რადიკალ ოპოზიციონერს რომ არ წამოსცდენია, ისეთი ტერმინების რასარუხი ატეხა. პრეზიდენტი ვერ გაოგნდა, მერე დაფიქრა, ამას მარტო ფული რომ ადიდგულდებდეს, მაგაზე მეტი მე მაქვს და ვერ გაბედავდამო.

სულ რალაც ნელინად-ნახევარი დასჭირდა ნოღაიდელს პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბებისთვის. ახლა მას არა როგორც კორუფციის პარტიის ხელმძღვანელს ელაპარაკებოან. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ იგი ცდილობს, კვლავაც მაღალი თამასა დაიჭიროს. ამიტომაც თავს არ უყადრებს ქართულ პოლიტიკაში წინამორბედი ბევრ კოლეგას და ძალიანსხვევას არ იშურებს ცნობილი სახეების დასაინტერესებლად. ესენიც, ჩვენი დროის რიშელოები და მონტესკიეები, ჯერ გარშემო უვლიდნენ, შემდეგ კი ქისასთან ახლოს მიუცუცქდნენ.

ჯერ „სახლის პარტია“ და „კონსერვატორები“ რა სახსენებელია, მაგრამ პროცესი დაინყო და, თუკი „ქრისტიან-დემოკრატები“ და პაატა დავითაია „ჩვენ თვითონ“ (ალბათ, უფრო „მე თვითონ“ უნდა ერქვას ამ პარტიას), აგრეთვე, ჯონი ბალათურია (მის პარტიას რა ჰქვია, აღარ მახსოვს, ალბათ, — „მე თავად“) ხელი-სუფლების ხელის შემყურები არიან, ნოღაიდელის ორბიტაზე ბრუნვა კობა დავითაშვილმა მძიმედ, კახა კუკავამ კი მსუბუქად დაინყეს; ზვიად ძიძგურიც უნდა ვიგულისხმობთ სადღაც იქინე...

ამოკლავ



„თალიბანის“ ხელმძღვანელი დააკავეს

პაკისტანის პოლიციამ მოძრაობა „თალიბანის“ ხელმძღვანელებიდან ერთ-ერთი, ავღანეთის პროვინცია ნანგაჰარის ყოფილი გუბერნატორი მუღვი კაბირა დააკავა. ის მოძრაობის ყველაზე ძებნილ წევრთა პირველ ათეულში შედიოდა და მისი დაკავება თებერვალში ამერიკელებისა და პაკისტანელების ერთობლივი ოპერაციის შედეგად დაკავებული აბდულა განი ბარადარას დახმარებით მოხერხდა. დაკითხვისას „თალიბანის“ ხელმძღვანელთაგან მეორემ — ბარადარამ, კაბირას გარდა, კიდევ ორი მაღალი რანგის თალიბი გასცა.



ყვლაზე კორუფციის ბუდე

მსოფლიო კრიზისმა კორუფციის გარდა ყველაფერი გაანადგურა. კომპანია „Transparency International“-მა 180 ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა შეისწავლა და „ხელისუფლების სინდისიერების“ რეიტინგის ათბალიანი შკალა შეადგინა. 75-მა ქვეყანამ 3 პუნქტზე ნაკლები დაიმსახურა. პირველ ადგილზე 9,4 პუნქტით ახალი ზელანდია მოხვდა, მეორეზე — 9,3 პუნქტით დანია, აშშ 7,3 პუნქტით მე-18 ადგილზეა, რუსეთს კი მხოლოდ 2,2 პუნქტი აღმოაჩნდა და 147-ე ადგილზე მოხვდა. სიაში ბოლო ადგილზე სომალია.



აშშ-ს ეუინია ექსტრემისტების

აშშ-ში მცხოვრები ექსტრემისტები ქვეყნისათვის სულაც არ წარმოადგენენ იმაზე ნაკლებ საფრთხეს, ვიდრე მათი საზღვარგარეთ მომზადებული კოლეგები. ამგვარი აღიარებით აშშ-ის ეროვნული უშიშროების მინისტრი ჟანეტ ნაპოლიტანო გამოვიდა. მისი თქმით, ამჟამინდელი ადმინისტრაციის მმართველობის ერთი წლის განმავლობაში აშშ-ში შიდა ექსტრემისტები მომრავლდნენ, ამიტომ ხელისუფლებამ გულდასმით უნდა გააანალიზოს, რა ინვესტს საზოგადოებაში რადიკალური განწყობის ზრდას.

თეიმურაზ ქორიკაძე

საქართველო

გსურთ, გაგზავნათ თქვენი მოსაზრებები? დაგზავნეთ: 38-41-97, ან მიგზავნეთ: info@geworld.net



ამ ხალხს ზურაბ ნოლაი-დელომის მისვლა გამოუვალმა მდგომარეობამ აიძულა, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ექსპრემიერის მოსკოვური ვიზიტები და მმართველ პარტიასთან — „ედინაია როსიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი, ქართველი პოლიტიკოსებისთვის მეხის დაცემას რომ უდრიდა.

ეს ვოიაჟები დიდად არ გაპკირვებია პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს. ნინო ბურჯანაძე ღიად აცხადებს, რომ „ნოლაიდების ნაბიჯები ნოლაიდების საქმე, მისი არჩევანია, რომლის შედეგსაც დრო გვიჩვენებს. თუმცა ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ რუსეთთან ლაპარაკი აუცილებელია. ფაქტია, ამის ყველა რუსურსა და ხელისუფლებამ ამოწურა და ახლა ნებისმიერზე ეჭვიანობს, ვისაც კიდევ აქვს ამის შესაძლებლობა“.

იმან, რამაც დიდად არ გააოცა ბურჯანაძე, სეროზულად შეაფოთა ე. ნ. მედასავლეთეები — „ახალი მემარჯვენეები“ და „რესპუბლიკელები“.

„ალიანსის“ თანათავმჯდომარეები — დავით გამყრელიძე და დავით უსუფაშვილი ისეთი სახეებით ლაპარაკობდნენ, ნოლაიდელთან საქმეს არ დავიჭერთ და „ყველას მიწის ერთი“ ფორმულა უნდა ავამუშაოთო, თითქოს მათი გადასაწყვეტი იყოს ქართული პოლიტიკის ბედი. თუმცა მათ ინტონაციაში შეშფოთებასთან ერთად თამაშობენ დარჩენის შიშიც იკითხებოდა; მით უმეტეს, რომ ამ დროს გვერდს არ უმშვენებდათ მესამე თავმჯდომარე ირაკლი ალასანიას, რომელმაც ორიოდ დღის შემდეგ განაცხადა: „ოპოზიციის ერთიანობას ამ ეტაპზე გა-

დამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“. თუმცა ისიც დასძინა, რომ ნოლაიდებისგან წამოსული ნებისმიერი დაფინანსება მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

„ახალი მემარჯვენეების“ ბურჯანაძის მანერები დიდად გასაკვირი არც არის, მაგრამ საინტერესოა, რა აქეთ სალაპარაკო „რესპუბლიკელებს“. მათი პარტიის ლიდერები ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ამბობდნენ, აფხაზებს თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოს შექმნის უფლება აქვთო და, აჰა, აუსრულდათ პოლიტიკური პროგნოზი — პრეზიდენტ სააკაშვილის „ბრძნული პოლიტიკის“ წყალობით რუსეთმა თვითგამორკვევას აღარ დაუცადა და აფხაზეთის რესპუბლიკა სახელმწიფოდ ცნო.

ახლა დაავიწყდათ მუდამ ქვეყანური სახეებით დინჯად ხალხისთვის ჭკუის დამრეგებელ „რესპუბლიკელებს“, რომ ზურაბ ნოლაიდელს ისეთივე უფლებები აქვს ქართულ პოლიტიკაში, როგორც ამათ დაკადე ბევრს. და როცა ნოლაიდელს შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნას წამოაძახებენ, ნურც იმას დაივიწყებენ, რა წვლილი მიუძღვით 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებაში, როცა ქართული სახელმწიფოს აბორტმახერის ფუნქციებს ერთმანეთს ცილებობდნენ; ისიც კარგად გაიხსენონ, სად იყვნენ 2003 წელს, როცა ამავე სახელმწიფოს რვათვიანი ნაყოფი დედის საშობი, ანუ პარლამენტში შევარდნით მოახრჩვეს და მერე ტაშის გრიალითა და ვარდებით გვამცენეს — ბიჭია, ბიჭო... შეიძლება ბევრმა არა, მაგრამ პოლიტიკაში ჭიპოჭ-

რილმა რესპუბლიკელებმა მინც კარგად იცოდნენ, რომ კონსტიტუციური წყვეტა ორივე შემთხვევაში სავალალო შედეგებს გამოიწვევდა. ახლაც იციან, მაგრამ იტიბარს არ იტყვენ, კვლავაც ხელისუფლებაში ყოფნა უნდათ. განა ეს რესპუბლიკელები არ იყვნენ, ლომიასეულ განათლების რეფორმას ძარღვებდაბერილები რომ იცავდნენ და ინონებდნენ? ახლა თვით პრეზიდენტი სააკაშვილიც კი სულელურს უწოდებს ამ საშინელ ექსპერიმენტს, რომელიც თავის სავალალო შედეგებს მალე გამოიღებს; რესპუბლიკელებმა კი თავი მოიქაჩეს, ვითომ არაფერი.

განა რესპუბლიკელები არ გვისახავდნენ ახალ მესიად და მხსნელად ირაკლი ალასანიას? მაგრამ ახლა, როცა ქვეყანაში პოლიტიკურმა ტემპერატურამ დუღილის ნიშნულს მიაღწია, ხელიდან ეცლება „ოქროს ბიჭუნა“ და ცდილობენ, თავიანთი შეცდომები სხვას გადაბრალონ. ასეთ დროს კი სულზე მოუსწროთ ნოლაიდელის მოსკოვურმა მემორანდუმმა.

ზურაბ ნოლაიდელი განტყევის ვაცად არ გამოდგება, მას უკვე შეერქვა „დადლილი ვირი“ და, თუ მაინც დაამინც, შეგვიძლია „განტყევის ვირი“ ვუწოდოთ, თუმცა, ალბათ, აქაც არ ივარგებს. მას თავისი ცოდვებიც უხვად დააბეჭტა ქართულმა პოლიტიკამ. განტყევის ვაცს კი გადატანითი მნიშვნელობით ისეთ ადამიანებს უწოდებენ, რომლებსაც სხვების მიერ ჩადენილ ცოდვებს აკისრებენ და სხვების მიერ ჩადენილ დანაშაულისთვის აგებინებენ პასუხს.

ოცდაცამეტ წელზე გადახტარი რესპუბლიკელებისთვის, ალბათ, ცნობილია, მაგრამ მოგახსენებთ ქართული ჩაჯონდილი პოლიტიკისა და პოლიტიკოსების ამბავი და მინც შეგახსენებთ, რომ უძველეს დროში ებრაელებს ასეთი წესი ჰქონდათ: წელიწადში ერთხელ საშემოდგომო დღესასწაულზე — „ცოდვებისაგან განმწმინდის დღეს“, მთელი თემი შეიკრიბებოდა ველზე; უხუცესი ჯერ წირვას გადაიხდიდა, მერე გამოიყვანდა ვაცს, დააკისრებდა მას მთელი წლის განმავლობაში მრევლის მიერ ჩადენილ ცოდვებს და მიუშვებდა ტყეში მგლების დასაგლეჯად.

ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, შეძლებთ კი „ტყეში მგლების დასაგლეჯად“ ზუ-

რაბ ნოლაიდელის გაშვებას? მით უმეტეს „უხუცესს“ ჯერ წირვა არ გადაუხდია და, მიუხედავად იმისა, რომ გაკვირვებულია, „რამ დალალო“, სულაც არ აპირებს მისთვის მრევლის ცოდვების დაკისრებას. უფრო მეტიც, ბევრისთვის მოულოდნელად, ნოლაიდელის ბოლოდროინდელ გაქტიურებას ინონებს კიდევ.

ნურც იმას დავივინყებთ, რომ გამეხებული ნოლაიდელი თანაგუნდელებს „ხმაში რკინის გარევას“ სთხოვს და „მეტი სიმტკიცისკენ“ მოუწოდებს.

არ არის ეს კაცი ტყეში მორჩილად წამსვლელი.

პოლიტიკაში პასუხისმგებლობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ღამაში ფრაზეებით მანიპულირებას. ქართველი პოლიტიკოსები კი იმაზე მეტ შეცდომებს უშვებენ, ვიდრე შეიძლება. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალოა ოპოზიციის მდგომარეობა, თორემ ხელისუფლებას უკვე აღარაფერი ეშველება. მასზე უკვე ყველას ხელი აქვს ჩაქნული აქაც და საზღვარგარეთაც. ახლა მრავალპოლუსიანი სამყაროში მოვლენების განვითარებას აკვირდებიან და, ვინც იყრიან, კვერთხსაც ის დაეფლება და გვირგვინსაც ის დაიდგამს.

ამიტომაც ცდილობს ზურაბ ნოლაიდელი კავშირების გაბმას მოსკოვსა და ბრიუსელში და ვერც ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილების განსაკუთრებულობაში დამარწმუნებს ვინმე, რადგან მასაც კარგად ესმის, რომ დიდი პოლიტიკა არც უსუფავილი-ბიდაშელის სამზარეულოში კეთდება და არც ბერძენიშვილების თავებში იხარება დიდი სიბრძნე.

მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება და ისეთი ძალით ინჯღრევა ქართული პოლიტიკის დერგი, რომ ყველი და ნათხი ერთმანეთში ითქვიფება. ამიტომ ძნელი სათქმელია, რა იქნება ხვალ და ზევ. თუმცა დღესვე ნათელია, რომ ზურაბ ნოლაიდელმა, როგორც უკვე თქვი, განტყევის ვაცის როლი ვერ შეასრულა, თორემ განტყევის ვირად ჯერ კიდევ გამოდგება.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, რომელსაც ქართული პოლიტიკის აქტივსადაც წარმოგიდგენენ, ავიწყდება, რომ მასაც აქვს სუსტი ადგილი — პაგონი ქუსლზე!

თუცა ეს უკვე სხვა წერილის თემაა.

მისილ ჟურნალი

მოქალაქე



ოვი ქიდავ 12-18 თვეს გაგრილება

ნატოს ძალებისა და ავღანეთის ჯარის ერთობლივი ოპერაცია თალიბების წინააღმდეგ, რომელიც ავღანეთის სამხრეთით, ქალაქ მარჟას რაიონში მიმდინარეობს, შეიძლება კიდევ 12-18 თვეს გაგრძელდეს. სწორედ ამგვარი პროგნოზი გააკეთა აშშ-ის სამხედრო ძალების ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელმა დევიდ პეტრუსმა.

მისი თქმით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ „ხანგრძლივი კამპანიის“ დასაწყისია.



შელახული ჩიუბასია

საქართველოს ხელისუფლება დამნაშავეა „სახელმწიფოს მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, განსაკუთრებით სატელევიზიო მაუნყებლობით მუდმივ მანიპულაციაში... მედითი მუდმივმა მანიპულაციამ შელახა მისი, როგორც დემოკრატიის მუნიციპლის, რეპუტაცია“, — ნათქვამია ეურნალისტთა დავის კომიტეტის (CPJ) ანგარიშში, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა. ამ დროს სააკაშვილი „პირველი კავკასიურის“ მიმართ, როგორც თავად უწოდებს, რუსეთის ცენზურას მთელ ევროპაში ებრძოდა.



პრაზიკანტი ისევ გაგვილანძვს

შავი ზღვის აუზში საფრთხეს ფრანგული შვეულმზიდი „მისტრალი“ კი არა, საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს. ეს პასუხი გასცა ნატოში რუსეთის რეზიდენტი ნარმოადგენელმა დიმიტრი როგოზინმა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას ლონდონში.

საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტში სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ ფრანგული ტექნიკის დახმარებით რუსეთს შესაძლებლობა ექნება, რამდენიმე საათში დაიპყროს აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყანა.



საავტორო სვეტი
ჰოლბრუკის ბატალიონი

ავღანეთსა და პაკისტანში აშშ სპეციალური წარმომადგენლის — რიჩარდ ჰოლბრუკის ვიზიტი სააკაშვილის მმართველობის განხილვისთვის კიდევ ერთ მცდელობად აღიქვა საზოგადოებამ. მრუმე პერსპექტივაა. არც ამ მცდელობას მოჰყვება მათთვის სასურველი შედეგი.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების ერთდღიანი ვოიაჟებიც ხომ გახსოვთ? ვაშინგტონში ცდილობენ, პროექტი სახელწოდებით „დემოკრატიის შექმნა“ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ დასრულონ. თუმცა ხმაური, რომელიც ამ „შუქურის“ „გასკლამას“ მოჰყვა, კიდევ დიდხანს ემასხორებათ არა მარტო საქართველოში. 2008 წლის ზაფხულის აღშფოთება-შეშფოთების მომგვრელი კრუნხვებიც არა ერთხელ შეახსენებს თავს მოსოფლიოს, რომელსაც „შუქურის“ ბრდღვიალმა ერთდროულად შეჰყარა მოციმიციმე არითმია და შაკიკი.

დემოკრატიულ ქვეყანაში მხოლოდ ეს ფაქტი (ფაქტი სხვებისთვის, თორემ ჩვენთვის — ტრაგედია!) საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ტერიტორიების დამკარგავი პრეზიდენტი ჩაილურის (ჩვენს შემთხვევაში — ატლანტიკის) წყლის დასაღვევად გაეგზავნათ. თავი მოაბეზრა, მაგრამ აშშ-ს ჯერ კიდევ სჭირდება ადამიანი-პროექტი, ჯერ ბოლომდე არ გამოუწერავთ საქართველოსთვის სისხლი.

საქართველოს ხელისუფლებას სჯერა, რომ „ჩვენი გზა ნატოს კავანეთზე გადის“, ჯიქურ მიინებს დანაღმულ ველზე და აშშ-ის ინტერესებს მსხვერპლად სწირავს ქართველ ბიჭებს.

პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი მზად არიან, ყველაფერი გაიღონ, ოღონდ ძალაუფლება არ დაკარგონ. ამიტომაც, ისე, რომ ჯერ არავის მოუთხოვია, კოალიციას გულუხვად სთავაზობენ საქართველოს ტერიტორიასა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას ავღანეთში სამხედრო მრავალმხრივ ჩასატანად.

ავღანეთის დაპყრობის გრავალმა მოსურნემ დაასრულა სიცოცხლე ცხელ ქვიშაში, მაგრამ მიზანს მინც ვერ მიაღწია. აშშ-შიც კარგად ესმით, რომ აუღლებელი ციხესიმაგრის ალყა დიდხანს ვერ გაგრძელდება და თვითონ მოალყეები აღმოჩნდებიან ტყვეობაში — არა მხოლოდ ავღანელთა, არამედ საკუთარი მიზნებისა და ამბიციების მიძველებად გადაიქცევიან.

ამიტომაც სტრატეგიას ცვლიან. ყველასათვის ცხადია, რომ „ისტორიის მანძილზე ვერც ერთმა გარე ძალამ ვერ შეძლო ცენტრალიზებული მმართველობის დამყარება ამ ქვეყანაში. ეს საკუთარ თავზე გამოცდაა ბრიტანეთმა XIX, ხოლო საბჭოთა კავშირმა XX საუკუნეში. თითქმის ავტონომიური პროვინციები, რომელთაგანაც ავღანეთი შედგება, ერთიანდებიან გარე ძალების მიერ ცენტრალური მმართველობის დამყარების მცდელობის წინააღმდეგ“.

ეს სიტყვები ამერიკული დიპლომატიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ყოფილი სახელმწიფო მდივნის — ჰენრი კისინჯერის სახელმძღვანელო თეზისებიდან ამოვსურე. ეს თეზისები აშშ ადმინისტრაციისთვის მომზადდა და კონკრეტული მიითებაც ახლავს: „ამიტომ მიმდინარე კალისხევიან დავიანტრალიზება აუცილებელია“.

კისინჯერი გამოცდილი დიპლომატი და იცის, რომ ავღანეთს მხოლოდ ამ გზით თუ დააჩოქებენ. დეცენტრალიზების შემდეგ კი „გათიშე და იბატონეს“ ცნობილ მეთოდს გამოიყენებენ და ავტონომიურ პროვინციებს ერთმანეთს ნაპკიდებენ.

მაგრამ, სანამ კისინჯერის ეს პროექტი სრული მასშტაბით ამოქმედდება, საჭიროა ვითარების მეტ-ნაკლები კონტროლი, ანუ ე. წ. სამშვიდობო ოპერაციის გაგრძელება. ამისთვის კი აშშ სატყვე ქვეყნებში წერთნის ბატალიონებს, რომელთაც კონკრეტულ ამოცანას უსახავენ და კონკრეტულ სახელებს არქმევენ.

„ჰოლბრუკის ბატალიონი“ — ასე უწოდეს ავღანეთში გასაგზავნ კიდევ ერთ ბატალიონს. დიას, არა ქართული, არა თურქული სააკაშვილის ანდა სულაც ახალაიას ბატალიონი, არამედ — ჰოლბრუკის. მისტერ ჰოლბრუკმა კრწანისის სასწავლო ცენტრში მისი სახელისთვის ბატალიონის მზადყოფნა შეამონმა და ჯარისკაცების პროფესიონალიზმით, გამბედაობითა და მომზადების დონით აღტაცებულმა ავღანეთის დანაღმულ უდაბნოში გაისტუმრა ქართული გენოფონი.

მანამდე კი აშშ ელჩთან და პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად ბათუმში, ყინულის მოედანზე, ახალგაზრდული კონკურსის ფინალს დაესწრო. გაერთო. რა ცინიზმა!

ბონდო მკინაარაჰვილი

მაია კონსტანტინე კოლუაშვილი:

ზვიად გამსახურდიას სხედარი იჩქარიის შინაში განისვენებს

ქართული საზოგადოება ერთობ ამაზრზენი ფაქტის მომსწრე გახდა. „დადუმებული მთაწმინდა“ ყოფილი პირველი ლედისა და მისი მომხრეების ხმაურმა შეაკრთო. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ზვიად გამსახურდიას ნეშტის მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან კოლხური კოშკის ეზოში გადასვენებას აპირებდა. ამის მიზეზად მის ოჯახზე განხორციელებულ ზენოლას ასახელებდა და სამართლიანი სასამართლო პროცესის გამართვასა და ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლებას მოითხოვდა.



ვის საფლავს თხრავდნენ მანანისტარი მთაწმინდის პანთეონში?

მძიმე მარზვის პირველ კვირაში ექსპრეზიდენტის ქვრივის თანამოაზრეებმა (ე. წ მანანისტებმა) საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავი ნახევრად გათხარეს. მათ შეჩერებას ამაოდ ცდილობდა მთაწმინდის მამა დავითის ტაძრის წინამძღვარი მამა იოანე. იმის მაგივრად, რომ პრეზიდენტის ქვრივს სასულიერო პირისთვის პატივი ეცა, მან მამაოსთან კამათი დაიწყო, რამაც ერთ საათზე მეტხანს გასტანა, ბოლოს კი ისიც მოითხოვა, მამა იოანემ ბოდიში მომიხადოსო. როგორც მიხვდით, მამაოს დაინებულმა თხოვნამ შედეგი ვერ გამოიღო, ქალბატონი მანანა თავისას არ იშლიდა.

დის პანთეონში დაკრძალვა. როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი გროზიდან გადმოსვენეს, მანანა არჩვაძისა და მისი ოჯახის წევრების მოთხოვნა იყო პირველი პრეზიდენტის ნეშტის სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე დაკრძალვა, თუმცა საბოლოოდ მაინც მთაწმინდის პანთეონი გადაწყდა.

თუ ქალბატონმა მანანამ შეძლო და ზვიად გამსახურდიას ცხედარი კოლხურ კოშკში გადასვენებდა, სად არის გარანტია, რომ იქიდანაც არ მოსიურვებს მისი ნეშტის გადასვენებას, მითუმეტეს, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივი გასულ წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თავშესაფარს სთხოვდა და ოფიციალური განცხადებით გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსაც კი მიმართა.

დავუშვათ მერკელმა ყოფილ ლედის თავშესაფარი ბადენ-ბადენში მისცა (თან ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მეზობელი გახდებოდა), მაგრამ ვაი და უარი შემოუთვალოს, მაშინ რა, ტანზანიამ გადავასვენოთ საქართველოს პირველი პრეზიდენტი?

თუმცა, სანამ ისევ დააპირებს ზვიად გამსახურდიას საფლავიდან ამოღებას, ექსლედომ კარგად უნდა გაიაზროს, რომ მთაწმინდის პანთეონში ზვიად გამსახურდია დაკრძალულია როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

ტი და არა როგორც მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მეუღლე. თანაც მიცვალებულის ამოთხრა არამართლმადიდებლური საქციელია.

ნეშტის გადასვენებასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია მამა დავითის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა იოანემ გამოხატა:

— ყველანაირად მიუღებელია, რა ფორმითაც უნდა მოხდეს ზვიადის გადასვენება მთაწმინდიდან. ზვიადი ქრმატიად, ჩვენი ქვეყნის ერთგული, ღირსეული შვილია და ის უნდა განისვენებდეს მთაწმინდაზე. დღის წესრიგში მაინც თუ დადგა ზვიადის გადასვენება, ამაში აუცილებელია ერთი, ხელისუფლებისა და საპატრიარქოს ჩართვა.

ერთ რამ ცხადია — ხელი-სუფლება, თავს არ მოიკლავს იმის გამო, თუ ზვიად გამსახურდიას ცხედარს საფლავიდან ამოთხრიან, მაგრამ ის კი ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ზვიად გამსახურდია მთაწმინდაზე უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით დაიკრძალა და ისევ პატრიარქის კურთხევით თუ შეიძლება მის საფლავთან შეხება.

„საქართველო და მსოფლიო“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას მოძღვარს მამა კონსტანტინე კოლუაშვილს ესაუბრა.

— როგორ შეაფასებთ ზვიად გამსახურდიას ცხედრის კოლხურ კოშკში გადასვენების მცდელობას?

— ცხედრის გადასვენება არასწორ ქმედებად მიმაჩნია. სხეულს, რაც უნდა, ის უყონ, ზვიადი უფალთანა და ცხოვრებულა. ეს საფლავი რამდენჯერაც არ უნდა თხარონ, ამით მის სულს არაფერი დააკლდება. თუმცა, დამოჯერეთ, მთაწმინდაზე ზვიადის ცხედარი არ მარხია.

— მაშ, სად არის პირველი პრეზიდენტის ცხედარი?

— ზვიად გამსახურდიას ცხედარი დღემდე იჩქერიის მინაშია. მე არ მჯერა, რომ მისი საფლავი მთაწმინდაზეა. ზვიადის საფლავი თუ ნახეს, მაშინ ჯოხარ დუდავეის საფლავსაც ნახავდნენ. ვინც ზვიადის საფლავი ნახა, მან, ალბათ, ისიც იცის, სად არის ჯოხარის საფლავი. თუ გამოჩნდება ჯოხარ დუდავეის

საფლავი, მაშინ დავიჯერებ, რომ მთაწმინდაზე ზვიადი დაკრძალულია.

— თუ ასეა, როდის მოხდება ზვიადის ცხედრის გადასვენება?

— როდესაც ჩვენი ერი ამას დაიმსახურებს.

— თავად მანანა არჩვაძე-გამსახურდიას როგორ შეაფასებთ?

— ამ ქალბატონის შემფასებელი მე არ ვარ და, მართალი გითხრა, არც მსურს მასზე ლაპარაკი.

„საქართველო და მსოფლიო“ მომხდართან დაკავშირებით შექმნილი საზოგადოებრივი აზრით დაინტერესდა და ქუჩაში გამოკითხვა მოაწყო. აი, რას ფიქრობენ ზვიად გამსახურდიას ცხედრის კოლხურ კოშკში გადასვენებასთან დაკავშირებით.

P.S. პირველი პრეზიდენტის ვაჟის, ცოტნე გამსახურდიას სასამართლო პროცესი გადაიდო, თავად ცოტნე კი ისევ შიმშილობს. ერთი მხრივ, გასაგებია მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, როგორც დედის ტკივილი, თუმცა ქალბატონი მანანა უნდა ხედებოდეს, რომ ზვიად გამსახურდიას საფლავიდან ამოთხრის მცდელობა პროტესტი კი არა, მისი ნეშტის შეურაცხყოფაა.

ამოკლავ



მკვლავი სული ნიუნაისთვის

23 წლის მამაკაცმა ლუდვიგსპაფენის პროფტექნიკურ სასწავლებელ „Technik II“-ში თავის ყოფილ მასწავლებელს ყელი გამოსჭრა, შემდეგ კი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ მასწავლებელი მას „ძალიან ბევრ“ ცუდ ნიშანს უწერდა ხოლმე.



კოლა მილიონი მიიღო

გერმანიის ექსკანცლერმა, 79 წლის პელმუტ კოლა პოლიტიკური და ისტორიული დამსახურებებისთვის, რომელთაგან, უმთავრესად, რა თქმა უნდა, გერმანიის გაერთიანება ითვლება, ქვეყნის უმსხვილესი ფულადი პრემია „როლანდ ბერგერის ფონდის ადამიანური ღირსების დაცვის ჯილდო“ და ერთ მილიონ ევროზე მეტი მიიღო. დოკუმენტში ნათქვამია, რომ კოლის დამსახურებით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 17 მილიონმა მოქალაქემ თავისუფლება და ადამიანური ღირსება დაიბრუნა.




აქანეთა ჩუათს იარაღი სთხოვა

რუსეთის თავდაცვის მინისტრის — ანატოლი სერდუკოვის განცხადებით, მოსკოვმა ქაბულიდან იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე განაცხადი მიიღო. „ჩვენი ჯარისკაცები არ მონაწილეობენ და არც მომავალში მიიღებენ მონაწილეობას კოალიციური ძალების ოპერაციებში. ჩვენ უზრუნველყოფთ ტრანზიტს, მზად ვართ, მოვამზადოთ სპეციალისტები ავღანეთის შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებისთვის, იარაღის მიწოდების განაცხადს კი განვიხილავთ“, — ბრძანა მინისტრმა.



ოსეთის „სივამისი გაკავთილაი“

სააგენტო „რეს“-ის ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საშუალო სკოლებში 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეები „სიმამაცის გაკვეთილებს“ ატარებენ და მოსწავლეებს უამბობენ „იმ გმირების თავდადასავლებს, რომლებიც ქართული ჯარებისგან მამაცად იცავდნენ სამშობლოს“. „ქართული ჯარები შევარდნის, ხოლო სამხრეთ ოსეთში რუსული არმიის შემოსვლამ ქართული აგრესია ბოლომდე გაანადგურა“, — განაცხადა ერთ-ერთ გაკვეთილზე ცხინვალური „ომონის“ უფროსმა სოსლან თედევამ.



გადავაჩინოთ კონსტიტუცია

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ „ეროვნულ-დემოკრატიული“ პარტიის წარმომადგენელ თენგიზ მარმანაშვილის აზრით, ამჟამად კონსტიტუციამ ცვლილებების შეტანა მარტივი საქმეა და თვლის, რომ ეს პროცედურა მნიშვნელოვნად უნდა გართულდეს. გარდა ამისა, კომისია განიხილავს საკითხს, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში ცვლილებების საფუძველი მხოლოდ რეფერენდუმი შეიძლება იყოს. 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში დღემდე 23 ცვლილება შევიდა.

მამუკა გიორგაძე:

ოჯახის წევრები საქართველოს ზვიადის სახელით და პარსულაშვიან, რომ აპირებენ გამსახურდინას სსოვნას ჩრდილო აღმოსავლეთში

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზთა დამდგენი დროებითი საპარლამენტო კომისიისა და, ზოგადად, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ გვესაუბრება ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე.



არის არალეგიტიმური ხელისუფლება, რომ ეს არის უკანონო, დამნაშავე ხელისუფლება; მეორეს მხრივ, მასთან თანამშრომლობაზე მიდის, ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს... შეიძლება ადამიანს ბრალი დასდოს უტაქტობაში, უზრდელობაში, რამე წვრილმან დანაშაულში და შემდეგ გქონდეს ამ ადამიანთან ურთიერთობა, მაგრამ, როცა მას ლაღატკობა დასდებ ბრალს, როცა არაკაცობაში დასდებ ბრალს, მერე მასთან ურთიერთობა უკვე შეუძლებელია ჩრდილს და ნიშნავს, რომ თვითონაც უკვე უპრინციპო ადამიანი ხარ.

— ბატონო მამუკა, ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზთა დამდგენ საგამოძიებო კომისიის (რომელიც დაახლოებით სამი თვის წინ შეიქმნა) ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა უმეტესობამ თავიდანვე ეჭვით შეხედდა და პროტესტი გამოუცხადა. თქვენი აზრით, რამდენად სანდოა ეს კომისია და რამდენად მიზანშეწონილია მიგაჩინიან დღევანდელ ვითარებაში ამ საქმის გამოძიება?

— თავიდანვე შევთანხმდეთ ერთ პრინციპულ საკითხზე — ამ ხელისუფლების ხელში რაიმე ეროვნული საქმის გაკეთება თუ არის შესაძლებელი, დაუჭერე თუ არა ესენი მხარს რაიმე ეროვნულ ინიციატივას და, თუ დაუჭერენ, რა შემთხვევაში... თუ ჯერჯერობით ამის არც ერთი პრეცედენტი არ ყოფილა, თუ დღემდე ეს ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ანტიქართულ, ანტიეროვნულ საქმეს აკეთებს და მხოლოდ იმ ინიციატივებს უჭერს მხარს, რომლებიც სწორედ ქართული ცნობიერების, ერთიანი ქართული აზროვნებისა და საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგაა მიმართული, რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ ახალ წამოწყებას მივსალმებთან?... აქამდე რაც ამით გაუკეთებიათ, ყველაფერი მათივე პიარზე იყო გათვლილი და ეს ხომ თავისთავად ცხადყოფს, რისი გამკეთებელიც არიან? აქედან გამომდინარე, კითხვებზე — რამდენად სანდოა პრეზიდენტის სიკვდილის მიზეზთა საგამოძიებო კომისია — პასუხი თავიდანვე უარყოფითია, უფრო მეტიც — არის საფრთხე, რომ ესა თუ ის საკითხი, რომელიც საზოგადოებას აღელვებს, ხელისუფლების პიარმანქანისთვის და გარკვეული ბინძური ინსინუაციებისთვის იქნება გამოყენებული, რისი დიდოსტატებიც ესენი არიან.

— ხელისუფლების მიზანი გასაგებია, მაგრამ რა მიზანი უნდა ჰქონდეს კოკოს, როცა კომისიის შექმნის საკითხი დააყენა? ბევრი ფიქრობს, რომ მას ეს პარლამენტში შესვლის საბაზად დასჭირდა. — ეჭვი უდაოდ საფუძვლიანია, ვინაიდან ის, რომ მან თავიდან უარი თქვა დეპუტატის მანდატზე და შემდეგ მაინც შევიდა პარლამენტში, ნებისმიერ ადამიანს აფიქრებინებს, რომ აქ რაღაც გარიგებასთან გვაქვს საქმე. ეს კოკოს სახელსა და ავტორიტეტს საზოგადოების თვალში, ბუნებრივია, ჩრდილს აყენებს და ძალიან ბევრ კითხვასაც აჩენს... — თქვენ გარიგება ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა გარიგება შეიძლება ყოფილიყო? — ვერ გეტყვით, მით უმეტეს, არ ვიცი, რეალურად რა მოტივები ჰქონდა კოკოს, როცა პარლამენტში შედიოდა, მაგრამ მისი ნაბიჯი, ძალიან არადამაჯერებელია. როცა, ერთის მხრივ, აცხადებ, რომ ეს

მოძიებო კომისიის შექმნა იყო სწორედ ის სპეკულაციური მომენტი, რითაც მოიხებნა საბაბი ამ ნაბიჯისთვის. — ზვიადის მომხრეებმა და მონინალდმდევებმა — ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ვიცოდით და ვიზარებდით. — ზოგადად, ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდს აუცილებლად უნდა მიეცეს შეფასება, ოღონდ არა იმისთვის, რომ ვილაყამ ვილაყას ნიშნი მოუგოს, არამედ იმისთვის, რომ კვლავ არ განმეორდეს მსგავსი რამ... — რამდენიმე ხნის წინათ ჯონი ბალატიანიმ განაცხადა, ამჟამად ჩვენს ხელთარსებული მასალები ითხოვს პროცენტით ადასტურებს, რომ პრეზიდენტი მოკლულია და, სიმართლე ვითარდა, დამრჩა შთაბეჭდილება, თითქოს ხელისუფლებას აწყობს ამ ვერსიის წინ წაწინება. — ეს დაინტერესება ხელისუფლების მხრიდან ცალსახად იკვეთება, ვინაიდან დღეს ხელისუფლებას ოპოზიციის წარმომადგენელი ჰყავდა პარლამენტში, ხოლო კოკოს აწყობს, რომ ეს ყოველივე იყოს, ასე ვთქვათ, შეფუთული ამაღლებული გრძობებით, რაც არის თუნდაც მამის ინტერესების დაცვა. — თუ ეს მართლა ასეა, მაშინ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით რომ შეგხედოთ, საქმე გვაქვს უარესად ამორალურ საქციელთან მისი მხრიდან. — ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა იმალება ამ კომისიის უკან, საზოგადოება ფიქრობს და ამბობს მხოლოდ იმას, რასაც ხედავს. ხოლო რასაც ვხედავთ, ის არის, რომ ჯერჯერობით ამ კომისიის არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია და, შესაბამისად, ის ვერ დადებს ვერანაირ იურიდიულ-სამართლებრივ დასკვნას. — ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ისედაც ყველაფერი ცხადია და ეს გამოძიება ახალს ვერაფერს დაადგენს, ვერ ნაფა იმაზე მოვს, რაც ყვე-

ლაშ — ზვიადის მომხრეებმა და მონინალდმდევებმა — ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ვიცოდით და ვიზარებდით. — ზოგადად, ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდს აუცილებლად უნდა მიეცეს შეფასება, ოღონდ არა იმისთვის, რომ ვილაყამ ვილაყას ნიშნი მოუგოს, არამედ იმისთვის, რომ კვლავ არ განმეორდეს მსგავსი რამ... — რამდენიმე ხნის წინათ ჯონი ბალატიანიმ განაცხადა, ამჟამად ჩვენს ხელთარსებული მასალები ითხოვს პროცენტით ადასტურებს, რომ პრეზიდენტი მოკლულია და, სიმართლე ვითარდა, დამრჩა შთაბეჭდილება, თითქოს ხელისუფლებას აწყობს ამ ვერსიის წინ წაწინება. — ეს დაინტერესება ხელისუფლების მხრიდან ცალსახად იკვეთება, ვინაიდან დღეს ხელისუფლებას ოპოზიციის წარმომადგენელი ჰყავდა პარლამენტში, ხოლო კოკოს აწყობს, რომ ეს ყოველივე იყოს, ასე ვთქვათ, შეფუთული ამაღლებული გრძობებით, რაც არის თუნდაც მამის ინტერესების დაცვა. — თუ ეს მართლა ასეა, მაშინ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით რომ შეგხედოთ, საქმე გვაქვს უარესად ამორალურ საქციელთან მისი მხრიდან. — ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა იმალება ამ კომისიის უკან, საზოგადოება ფიქრობს და ამბობს მხოლოდ იმას, რასაც ხედავს. ხოლო რასაც ვხედავთ, ის არის, რომ ჯერჯერობით ამ კომისიის არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია და, შესაბამისად, ის ვერ დადებს ვერანაირ იურიდიულ-სამართლებრივ დასკვნას. — ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ ისედაც ყველაფერი ცხადია და ეს გამოძიება ახალს ვერაფერს დაადგენს, ვერ ნაფა იმაზე მოვს, რაც ყვე-

„მოსადის“ რეპუტაცია ეჭვქვეშაა
ინტერპოლი რადიკალური მოძრაობა „ჰამასის“ ერთ-ერთი მეთაურის — მაჰმუდ ალ-მაბუჰის მკვლელობაში ეჭვმიტანილ 11 ადამიანს ეძებს. დუბაის პოლიციის მასალებით, ლიკვიდატორთა რაზმი ისრაელის, პრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის რეალურ მოქალაქეთა ყალბი პასპორტებით ჩაივლინებდა იმში. დუბაის პოლიციის უფროსი დავი ხალიფან ტამიმი კი აცხადებს, რომ მკვლელობაში ისრაელის სადაზვერვო სამსახური „მოსადის“ გარეული და ინტერპოლისგან მისი ხელმძღვანელის დაკავებას ითხოვს.

პატივარი პოლიციელი
ნიუ იორკის პოლიციის ყოფილ ხელმძღვანელს, 59 წლის ბერნარდ კერისს, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გმირად მონათლეს, ქვეყნის უზენაესმა სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მან თავი დამნაშავედ ცნო თეთრი სახლის ადმინისტრაციის მოტყუებასა და გადასახადებისათვის თავის არიდებაში. მოსამართლე კერისის მიერ 11 სექტემბრის მოვლენების საკუთარი მიზნების მისაღწევად ბოროტად გამოყენებამ ალაშობა და უმკაცრესი გადანაცვრებილება მიიღო.

რა გვიჩვენებს ლოგიკა
პარლამენტარია ცაგარეიშვილის განცხადებით, საქართველო მილიონობით ლარს უზღვის ლობისტურ ჯგუფებს მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ბოლო ხელშეკრულება, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ყოფილ დემოკრატიკონგრესმენ რიჩარდ გეფარდის კომპანიასთან Gephart Group Government Affairs იანვარში გააფორმა, 436 800 დოლარის ღირებულებისაა. ის ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება და ვაშინგტონში საქართველოს ლობირებას ითვალისწინებს. სულ კი ამ მიზნით 2 მლნ დოლარზე მეტია დახარჯული.

ბანკები ისევ ნაგებულნი არიან
საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2010 წლის იანვარი საბანკო სექტორმა 2 მილიონ 720 ათასი ლარის ზარალით დაასრულა. შემოსავლებმა დაახლოებით 110,4 მილიონი ლარი შეადგინა. სესხებიდან მიღებული შემოსავალი 79,9 მილიონამდე, საკომისიოებიდან და განუვლი მომსახურებებიდან — 7,7 მილიონამდე. მთლიანმა ხარჯებმა იანვარში 107,2 მილიონს გადააჭარბა. აქედან დეპოზიტების ხარჯი 24,7 მილიონია. გასული წელი კომერციული ბანკების მხრიდან 65 მილიონიანი ნაკლები დასრულდა.

საქართველო ომის საფრთხის წინაშეა
„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ მთავარმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების პარლამენტებისადმი რუსეთის გვერდის ავლით თანამშრომლობის გადანაცვრების გამო საქართველო კიდევ ერთი ომის საფრთხის წინაშე დგას. „არსებულ ვითარებაში ამ ტიპის განცხადებების გაკეთება აშკარა პროოკაციის მატარებელია და რუსეთის მხრიდან საკმაოდ მძიმე რეაქციების საბაბი გახდება“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ჯიმი ჯალიაშვილი:

ჩვენ ტერიტორიები რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით არ დაბრუნდება

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.

— ბატონო ჯიმი, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საზოგადოებისა და განსაკუთრებით, ოპოზიციის დიდმა ნაწილმა ლამის გულუბრყვილოდ ირწმუნოს, რომ, ხვალ თუ არა, შეგ მინც სააკაშვილსა და მის გარემოცვას წმინდა მარტინის დღე გაუთენდება. ისე, თავის დროზე „ვარდების რევოლუციამ“ „ნარინჯისფერ რევოლუციას“ მისცა ბიძგი და როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდია შანსი, რომ ახლა პირიქით მოხდეს?

— დავიწყებთ იმით, რომ „ნარინჯისფერ რევოლუციას“ საქართველოს არანაირი გავლენა არ მოუხდენია, ვინაიდან თვითონ „ვარდების რევოლუციას“, რომლითაც ასე ამაყობს დღეს ჩვენი ხელი-სუფლებაც, არ ყოფილა ქართული პროექტი. ამას თავიდანვე ყველა ხვდებოდა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებას დიდი არჩევანის საშუალება არ ჰქონდა, მაშინ ბევრისთვის მისაღები აღმოჩნდა ის, რასაც სააკაშვილი და მის გარშემო მყოფნი გვთავაზობდნენ. დღეს უკვე სულ სხვა ვითარებაა — ხალხი, როგორც იქნა, გამოვიდა რევოლუციური ეიფორიიდან და უკვე არავის სჯერა იმ ზღაპრების, რომ, შევალთ თუ არა ნატოში, ტერიტორიებიც დაგვიბრუნდება და რუსეთიც უფრო დამთმობი, ლმობიერი გახდება ჩვენ მიმართ...

რაც შეეხება კითხვას, რა გავლენას მოახდენს უკრაინაში განვითარებული მოვლენები ჩვენს შიდა პროცესებზე, ჩემი აზრით, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ბიძგი მთელი რიგი დემოკრა-

ტიული პროცესებისა, მაგრამ, ვფიქრობ, საბოლოო სიტყვა მაინც ჩვენს საზოგადოებას, ხალხს ეკუთვნის... მით უფრო, დღეს უკვე საკმაოდ მომწიფებულია ის ვითარება, როცა პოლიტიკური პარტიები ნათლად აცნობიერებენ, რომ მხოლოდ ერთ პოლუსზე — დასავლეთზე მიტმანსა ჩვენთვის ძალიან ნამგებიანი და არახელსაყრელია. ახლა მთავარია, ეს კურსი შენარჩუნდეს და ყველა პოლიტიკური სუბიექტი ცალსახად ერთი პოლუსის — რუსეთისკენ არ გადაბრუნდეს, თუ ასე მოხდა, ისეთივე სურათს მივიღებთ, რაც დღეს გვაქვს — კარგი ურთიერთობა დასავლეთთან, ხოლო უკიდურესად დაძაბული ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან. ასეთი საგარეო პოლიტიკური კურსის მატარებელი საქართველო, თავის მხრივ, თვითონ რუსეთისთვისაც ძალიან რთული იქნება სათანამშრომლოდ, ვინაიდან მის ინტერესებში არ შედის, რომ ჩვენ ვიყოთ დიდ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა დაპირისპირების ასპარეზი. ეს თავისთავად არ შედის ჩვენს ინტერესებშიც და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ჩვენსა და რუსეთის წინაშე ერთი და იგივე ამოცანა დგას — ის იბრძვის ერთპოლუსიანი სამყაროს წინააღმდეგ, ჩვენ კი სწორედ ორპოლუსიანი სამყარო გვჭირდება...

მისასალმებელია, რომ დღევანდელი ჩვენი ოპოზიციის დიდი ნაწილი ამას ემხრობა და ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზულ ნაბიჯებსაც დგამს...

— **თუმცა ოპოზიციამ მრავლად არიან ადამიანები**



(თუნდაც ნოლიდელი, ბურჯანაძე და სხვები), რომლებიც სულ რაღაც ერთი წლის წინათ რუსეთთან კეთილშობილური ურთიერთობის დამყარებას შეუძლებლად მიიჩნევდნენ და კრემლის მესვეურებს წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ. დღეს ეს ხალხი სულ სხვა ხმაზე მღერის. როგორ ფიქრობთ, რამდენად სანდოა არიან ისინი ჩვენთვისაც და რუსეთისთვისაც?

— ეს საკითხი ძალიან აქტუალურია და, ალბათ, საკითხებით ლოგიკურია, რომ ამ კითხვას ხშირად ვაშენებ, ვინაიდან როცა ესა თუ ის პოლიტიკური პარტია წელიწადში სამჯერ, ოთხჯერ იცვლის პოზიციას, თანაც არსებითად მნიშვნელოვან საკითხებზე, თავისთავად განაპირობებს საზოგადოების უნდობლობას მისადმი. ეს ეხება ნოლიდელსაც და, განსაკუთრებით, ბურჯანაძეს, რომლის რეიტინგიც ბოლო დროს კატასტროფულად დაეცა.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულის გამო, მათი როლი გრძელვადიან პოლიტიკაში შესუსტდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ის ნაბიჯები, რაც ნოლიდელმა და მის გარშემო გაერთიანებულმა პარტიებმა ბოლო დროს გადადგეს, გარკვეულწილად შეიძლება ნაადვებს ჩვენს ქვე-

ყანას, ანუ გულისხმობ იმას, რომ მათ, ნებით თუ უნებლიეთ, გააკეთეს ძალიან გაბედული სვლები და გახსნეს დღემდე ფაქტობრივად ჩაკეტილი სივრცე რუსეთთან, რითაც, შეიძლება ითქვას, გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ჩვენს შორის ურთიერთობა კვლავ აღდგეს. სხვა თუ არაფერი, ამით ის მაინც გაკეთდება, რომ დანარჩენი პარტიებისთვის გზა გაკვალული იქნება, ადრე თუ გვიან, როცა დრო მოვა, რომ აღვადგინოთ დიალოგი მეზობელ სახელმწიფოსთან, შეიძლება ყველაფერი ნულიდან დასაწყები არ გვექნეს.

— **ორადორი პარტია, რომელიც ნოლიდელთან თანამშრომლობაზე უარს ამბობს, „მემარჯვენეები“ და „რესპუბლიკელები“ არიან. როგორ ფიქრობთ, რაიმე ძველი წყნა ახსოვთ გამყრელიძესა და უსუფაშვილს ყოფილი პრემიერისგან, თუ იმდენად გულსთავებული პატივით უარს არიან, რომ სამშობლოს მოლაპატესთან პირის შეკვრა მართლა „კუდიანების საქმედ“ მიაჩნია?**

— არ ვიცი, რა წყნას გულისხმობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ ბევრი ინტელექტუალურად სუსტი პარტია. ეს ეხება „რესპუბლიკელებსაც“, „მემარჯვენეებსაც“... ვფიქრობ, მომავალში, ალბათ, ახლო მომავალში, პოლიტიკური თამაშებიდან უთუოდ გამოითიშებიან გაუგებარი იდეოლოგიისა და სახელწოდების სუბიექტები.

— **კონკრეტულად რომელ სუბიექტებს გულისხმობთ?**

— იმ სუბიექტებს, პარტიებს, რომელთა სახელწოდებებშიც ფიგურირებს სიტყვები: დემოკრატია, თავისუფლება და ა.შ. ოღონდ ფიგურირებს არა მკაფიოდ, არამედ ლოზუნგების დონეზე.

დემოკრატია და თავისუფლება — ეს არის იდეოლოგი-

ის ერთი ნაწილი, მაგრამ, როცა ამა თუ იმ პარტიას არ გააჩნია სრულყოფილი, მთლიანი სტრატეგია (და ასეთია დღეს საქართველოში არსებული პარტიების უმეტესობა), ბუნებრივია, მას საზოგადოება მხარს არ დაუჭერს.

— **რადგან მხარდაჭერა ასხენეთ, ბარემ ძმებ გაჩეჩილაძეებზე კვირა, ტელევიზორზე კვლავ აქტიურად ჩანს ორივე, მგონი, ისევ ლიდერობას უმიზნებს უფროსი „გრენის“... როგორ ფიქრობთ, კიდევ რამდენი შეცდომა უნდა დაუშვას ამ კაცმა იმის მისახვედრად, რომ მისი მატარებელმა, დიდი ხანია, ჩაიარა?**

— თავის დროზე ლევან გაჩეჩილაძე საკმაოდ მაღალ რეიტინგული ლიდერი იყო და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მან შეძლო კიდევ ამ რეიტინგის შენარჩუნება, მაგრამ შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ვგულისხმობ 2007 წლის 7 ნოემბრის შემდგომ პერიოდს, როცა ოპოზიციურ სპექტრში შინაგანხეთქილებებმა იჩინა თავი და ლიდერების მიერ ურთიერთსანიშნაობაზე განცხადებები გაკეთდა. მაშინ ყველაზე მეტად სწორედ გაჩეჩილაძე დაზარალდა, რადგან მან, როგორც ლიდერმა, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე და, შესაბამისად, ყველაზე მეტი იმედგაცრუებაც სწორედ მისგან განიცადა საზოგადოებამ. დღესდღეობით, მგონი, ლაპარაკიც ზედმეტია მის ლიდერობაზე, ვინაიდან, ხალხი მას უკვე მეტნაკლებად იცნობს და თუნდაც ჩვენი უახლოესი წარსულშიც მისი მხარდობა და ამერიკის, რომ ის პატივს სცემს საფრანგეთს და მზადაა მასთან ღია თანამშრომლობისთვის ნებისმიერ სფეროში. თავის მხრივ, საფრანგეთმა თავისი ინტერესების ერთგვარი დემონსტრირება მოახდინა და

ნოემბრის მეორე დღეს რიყეზე შეკრებილ მომიტინგეებს დაშლისკენ მოუწოდა. ამასთან, ლევან გაჩეჩილაძე არ არის იმ დონის პოლიტიკური ფიგურა, რომ მუდმივად ლიდერად მოიაზრებოდეს.

— **რაც შეეხება კრემლის მესვეურთა ბოლოდროინდელ განცხადებებს, ახლანახან შედეგებმა საზოგადოებას აღნიშნა, რომ სააკაშვილი პერსონა ნონგრატად უნდა გამოცხადდეს. თქვენი აზრით, რა ქვეტექსტი შეიძლება ჰქონოდა ამ განცხადებას, ანუ რას ნიშნავს, როცა ერთ ქვეყნის პირველი პირი მეორე ქვეყნის პირველ პირზე ასეთ რამეს ამბობს?**

— ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მნიშვნელობითაა ნახშირი და იგულისხმება რამდენიმე განცხადება, რომელიც მომხდებოდა გააკეთა რუსეთმა. ეს ნიშნავს, რომ კრემლი სააკაშვილს არ ცნობს არჩეულ, ანუ ლეგიტიმურ პრეზიდენტად, მაინცა, რომ მისი მმართველობის პირობებში შეუძლებელია რუსეთ-საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და, შესაბამისად, არ სურს მასთან არც ერთ საკითხზე ლაპარაკი. ეს არის მკაფიო სიგნალი მოსკოვის მხრიდან როგორც ჩვენი ხელისუფლებისთვის, ისე ჩვენი საზოგადოებისთვის და, ასევე, დასავლეთისთვის, რაც გულისხმობს, რომ რუსეთი მისთვის არცერთი მნიშვნელობის არც ერთ საკითხზე არც დასავლეთთან, მით უმეტეს საქართველოსთან, უპირობო დათმობაზე არ წავა.

— **დათმობაზე რომ არ წავა, ამას ისიც მონშობს, რომ ახლანახან საფრანგეთისგან სამხედრო გემი შეიძინა.**

— ამ გემის შეძენას რუსეთისთვის არანაირი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს, ამით უბრალოდ მოსკოვმა დაანახა დანარჩენ ევროპას და ამერიკას, რომ ის პატივს სცემს საფრანგეთს და მზადაა მასთან ღია თანამშრომლობისთვის ნებისმიერ სფეროში. თავის მხრივ, საფრანგეთმა თავისი ინტერესების ერთგვარი დემონსტრირება მოახდინა და



პრინსს კეპლერის ალანაპუკაპუ

ბრიტანული პოლიციის მტკიცებით, საუდის პრინცმა ლონდონის სასტუმრო „Landmark“-ში არაბეთის მოქალაქე, 32 წლის ბანადრ აბდულა აბდულაზიზი მოკლა. სასტუმროს ნომერში ნაპოვნ გვამს თავის არემი მრავალი ტრამეა აღმოაჩნდა, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. საუდის 33 წლის პრინცს — საუდ ბინ აბდულაზიზ ბინ ნასირ ბინ აბდულაზიზ ალ-საუდს ლონდონის სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა. საქმის სხვა დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არაა.



ობამა ერთვადიანი პრაივიტის

აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ყველასათვის მოულოდნელად კონსერვატორების კონფერენციაზე მივიდა და განაცხადა, რომ აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტი ბარაკ ობამა ერთვადიანი მმართველია, რომელსაც 2012 წელს ხელახლა აღარავინ აირჩევს. ჩეინი ჯორჯ ბუშის მარჯვენა ხელი იყო და მისი პრეზიდენტობისას ახლანდელი ადმინისტრაციისადმი კრიტიკულობით გამოირჩეოდა. ახლა ის თვლის, რომ ობამას პოლიტიკის წყალობით ამერიკა სათანადოდ არაა დაცული ტერორიზმისაგან.



ოქრო დოლარის ნახვალად

რესპუბლიკელი კონგრესმენის მაიკ პიტსის ინიციატივით, სამხრეთ კაროლინის კანონმდებლებს განსახილველად გადაეცათ კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც შტატის ტერიტორიაზე დოლარის, როგორც ანგარიშსწორების ოფიციალური საშუალების, სტატუსი უნდა გაუქმდეს. პიტსის აზრით, მწვანე კუპონები, რომლებსაც ფედერალური მმართველობა უზომო რაოდენობით ბეჭდავს და ხარჯავს, რითაც ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსისაკენ მიჰყავს, ოქროსა და ვერცხლის მონეტებით უნდა შეიცვალოს.



უპარტაზი საენსიო კრიზისი

ამერიკის შტატებს პენსიების გადასახდელად ტრილიონი დოლარი არ ჰყოფნით და, თუ ხელისუფლება დაუყოვნებლივ ზომებს არ მიიღებს, „უმართავი კრიზისი“ გარდაუვალი იქნება. „შტატების შესწავლის პიუს ცენტრის“ მოხსენების თანახმად, სოციალური პროგრამებისთვის 2008 წელს შტატების ბიუჯეტებში 2,4 ტრილიონი დოლარი იყო გამოყოფილი, გასაცემი თანხა კი 3,4 ტრილიონს უტოლდებოდა. მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი სოციალური დანახარჯების შემცირება და გადასახდების გაზრდაა.



შუკისი ტანსუკად

ტენსისის შტატის ქალაქ ოსტინში პროგრამისტი ჟოზეფ ენდრიუ სტეკი შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით უწყების შეიღწაობის შედეგად შენობას თავისი ერთმობიანი თვითმფრინავით შეეჯახა და თავი მოკლა. სტეკიმ ორჯერ წამოიწყო საკუთარი საქმე და მისი კომპანიები ორჯერვე გადასახდელი ჩინოვნიკებმა დახურეს. სიკვდილის წინ საკუთარ საიტზე გამოქვეყნებულ წერილში პროგრამისტი ამბობს, რომ ამ უსამართლობას ბოლოს მოუღებს.

ამით პირდაპირ მიანიშნა თავის მოკავშირე ნატოს წევრ ქვეყნებს, რომ მისთვის ერთად აღიარებულ საერთო მიზნებს, ამოცანებს, ხოლო მეორე და უფრო მნიშვნელოვანი — მისი ეროვნული ინტერესები...

— ისევე ქვეყნის შიდა პროცესებს და ვებურუნდეთ. ის პოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მომხრენი არიან (იგივე ნოლაიდელო, ბურჯანაძე, გაჩეჩილაძე და სხვები), ერთხმად აცხადებენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მათი უმთავრესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იქნება. პარალელურად იმასაც ამბობენ, რომ რუსეთთან კეთილშობილური ურთიერთობა ვერ იქნება ამის ასპროცენტიანი გარანტი. ცოტა არ იყოს გაუგებარია, თუ მათი პრიორიტეტი ტერიტორიების დაბრუნება და მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარება და, თუ მათივე აზრით, ეს ორი რამ ერთიმეორეს არ გულისხმობს, ე.ი. მათ არ აქვთ სრულყოფილი სტრატეგია, თუ როგორ შეიძლება ამ ორი მიზნის ერთდროულად მიღწევა?..

— როცა ლაპარაკია ტერიტორიების დაბრუნებაზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ რუსეთზე, ვინაიდან ჩვენც ეს ტერიტორიები არ დაგვიკარგავს რუსეთის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, არამედ დაკარგეთ იმიტომ, რომ მოვწყდით აფხაზ და ოს ხალხს. მოდი, ვთქვათ სიმართლე — 1991 წლიდან დღემდე ჩვენ ამ ორ რეგიონს ყველაფერი ვაკადრეთ იმისთვის, რომ განდგომილიყვნენ. და ახლა იმის ნაცვლად, რომ ბოდიშს ვუხდით, ეს ჩვენი პრეზიდენტი გამოდის და კიდევ ულტიმატუმის ენით ელაპარაკება. არ ვიცი, ვერ ვხვდებიან, რომ ასე უფრო გულგრილობით ისედაც დაკარგულ რეგიონებს თუ ხვდებიან და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ?! ერთი რამ ცხადია — ამ ხელისუფლებას უხეში შეცდომების წყალობით, ჩვენ ძალიან დიდი ხნით, მინიმუმ ორმოცდაათი წლით მაინც, და ვაკარგეთ აფხაზეთიც და ოსეთიც და, რაც დრო გადის, ვფიქრობ, სულ უფრო მცირეა მათი დაბრუნების შანსი.

— მოკლედ, ასეა თუ ისე, ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ, სანამ ეს ხელისუფლება არ შეიცვლება, ვერც რუსეთთან გვექნება ნორმალური ურთიერთობა, ვერც ტერიტორიებს და ვიბრუნებთ და ნატოში შესვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ისე, ყველაფრის მიუხედავად, იუშჩენკომ მოახერხა ხელისუფლებიდან ღირსეულად წასვლა და როგორ ფიქრობთ, მიშას რამედენად დიდი შანსი აქვს, რომ ასევე ღირსეულად გამოეთხოვოს პრეზიდენტის სავარძელს?

— მიშას ჰქონდა ამის შანსი აგვისტოს ომამდე, მაგრამ ომის შემდეგ და, მით უმეტეს, იმის ფონზე, რომ მისი მმართველობის პირობებში რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს, ძველი იმაზე ლაპარაკი, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას, ნელ-ნელა, ეტაპობრივად რომ გამოვიდეს ჩიხური მდგომარეობიდან და მერე წავიდეს ხელისუფლებიდან ისე, როგორც წავიდა, ვთქვათ, იუშჩენკო. ძალიანაც რომ უნდოდეს წასვლა სააკაშვილს, ახლა ის მოქცეულია წრეში, რომელიც ამის საშუალებას არ მისცემს, ანუ ლაპარაკია იმაზე, რომ სააკაშვილი თვითონ აღმოჩნდა მის მიერ წლების მანძილზე ნაკონინები დიქტატურის მძევალი.

ცხადია, რომ ამ ხელისუფლების დამარცხება არჩევნებით შეუძლებელია. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სააკაშვილის პოლიტიკური აღსასრული არ იქნება ლამაზი და ღირსეული, ანუ ისეთი, როგორიც იუშჩენკოს დასასრული იყო...

ეს ჩვენთვის სულაც არ არის სასიხარულო ფაქტი, პირიქით, ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ხელისუფლება გვყავს, მაგრამ ახლა ბევრი რამ ჩვენზეცაა დამოკიდებული — თუ ვიბრძობთ მკაფიოდ და კონკრეტული მიზნისთვის, ადრე თუ გვიან მივიღებთ შედეგს; თუ არ ვიბრძობთ და გულხელდაკრეფილი ვიჯდებით — ჩვენი მდგომარეობა დღითიდღე გაუარესდება. მერე უკვე ვერანაირი აქტიურობა და მრავალათასიანი მიტინგები ჩვენს პრობლემებს ვეღარ უშველის...

ესაუბრა
ჯაბა შვანია

ზურაბ კიკაელიშვილი დღედაღამ მიუიკოს კეთილდღეობისთვის ღოჭუღოჭ



კადრი ფილმიდან „მიმინო“

„ვარდების რევოლუციამ“ „მოქცავშირის“ არაერთი ცნობილი თუ უცნობი სახე პოლიტიკურ სანაგვეზე გაისტუმრა. სამაგიეროდ, ყველას, ვისაც მიტინგებზე ხუთჯვრიანი დროშა ეჭირა ხელში, წარმატებისკენ და ხელისუფლების მაღალი ემელონებისკენ გზა გაუხსნა. მაგალითად, ერთ-ერთი იმათაგანია პარლამენტარი ზურაბ კიკაელიშვილი, რომელიც დეპუტატი 2008 წლის ნოემბერში გახდა.

შევარდნაძის გადაყენებამდე კიკაელიშვილი ერთი ჩვეულებრივი ინჟინერ-მექანიკოსი იყო. სხვადასხვა დროს ტრესტ „წყალმშენში“, ტრესტ „მტკვარწყალმშენსა“ და ალჟირის სახალხო რესპუბლიკაშიც კი ინჟინრად მუშაობდა. „ხავერდოვანი გადატრიალების“ შემდეგ მისი შრომითი საქმიანობა რადიკალურად შეიცვალა. ბატონი ზურაბი 2004 წელს ქ. თბილისის მერიის კანონიერების დაცვის სამსახურის გენერალური ინსპექციის უფროსი გახდა. 2005 წელს შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ ჯერ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ კი გენერალურ დირექტორად დაინიშნა. 2006 წელს ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის თბილისის კორპუსის უფროსად მოგვევლინა. 2008 წელს უკვე ნანატრი ოცნება აიხდინა და პარლამენტის კარები შეაღო.

რა განცდა დაეუფლა გამოცდილ ინჟინერს, როდესაც პირველად შევიდა პარლამენტის სხდომათა დარბაზში, ამის შესახებ მის ბიოგრაფიულ ცნობებში არაფერი წერია, თუმცა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ნეტარებისგან როგორ აუჩქარდა გული.

ცნობისთვის: ზურაბ კიკაელიშვილი მარტვილის რაიონში 1950 წლის 22 ივნისს დაიბადა. დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი. კვალიფიკაციით ინჟინერ-მექანიკოსია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ის საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრია.

არის უთქმელი, მორიდებული, პრეზიდენტისა და მისი გუნდის უსაზღვროდ ერთგული, მიშას კეთილდღეობაზე დღედაღამ მლოცველი და, რაც მთავარია, მისი ყველა მოთხოვნის უსიტყვოდ შემსრულებელი. არასაპატიო მიზეზით არასდ-



როს აცდენს საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებს. ხელისუფლების მიერ წარდგენილი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის ნოემბრიდან დღემდე განახორციელა, ზურაბ კიკაელიშვილმა მოისმინა და თანაგუნდელებთან ერთად მათ უყოყმანოდ დაუჭირა მხარი.

სამწუხაროდ, 60 წელს მიღწეული ზურაბ კიკაელიშვილი არც ერთი მუდმივი მოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრი არ გახლავთ. ძნელი სათქმელია, გამოცდილებასა და ინგლისური ენის ცოდნას უწუნებრე შუახნის დეპუტატს თუ, როცა ის პარლამენტის წევრი გახდა, უკვე დაკომპლექტებული იყო მსგავსი დელეგაციები. ფაქტია, რომ 23-24 წლის გოგობიჭები სამი-ოთხი დელეგაციის წევრები არიან, მაშინ, როცა სხვები სათადარიგო შემადგენლობაშიც ვერ ხვდებიან.

საინტერესოა ისიც, რომ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში, რომლის წევრიც გახლავთ ბატონი ზურაბი, 7 ინჟინერია, 2 ექიმი, 1 ქიმიკოსი და 1 პოლიტილოგი. კომიტეტის 13 წევრიდან მხოლოდ ორია ეკონომისტი.

გამოცდილი ინჟინრის ბიოგრაფიული მონაცემები, პროფესიული უნარჩვევები და პიროვნული თვისებები სრულად აკმაყოფილებს საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნებს. თუმცა საკმარისი არაა იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი სახე გახდეს და მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობდეს. ბატონ ზურაბს არათუ ამომრჩევლები, პოლიტიკოსებიც კი არ იცნობენ.

კონსერვატიული პარტიის ლიდერი და ყოფილი პარლამენტარი ძახაძე კაპანაძე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები რეალურად არ აურჩევია ხალხს და ამიტომაც არ იცნობენ მათ: — შევარდნაძის პარლამენტს არ ჰქონდა საზოგადოების უმრავლესობის ლეგიტიმაცია, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც უჭერდა მხარს და უფრო მეტი კავშირი არ დაზვევდა ხალხსა და პარლამენტს შორის. თუ მაშინ ხელისუფლებაში მოსვლა არჩევნების გაყალბების გზით ხდებოდა, დღეს გაყალბებაც კი აღარ არის

საუბარი. ესენი არიან სააკაშვილის მიერ დანიშნული ადამიანები, რომელთაც პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვთ.

— ბატონო კახა, ისინი შესაძლოა მართლაც არ აურჩევია ხალხს, მაგრამ საქმიანობიდან გამომდინარე ხომ უნდა გახდნენ ცნობილი?

— ამისთვის ქვეყანაში საპარლამენტო დემოკრატია უნდა არსებობდეს. დღევანდელი პარლამენტიც არის საბჭოთა კავშირის დროინდელი უმაღლესი საბჭო, ხელმწიფის კარი, რომელსაც არანაირი ფუნქცია არ აქისრია. ამას წინათ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა იხუმრა, რომ ეს პარლამენტი მარტო სიის ამოკითხვითაა დაკავებული (სხდომაზე რეგისტრაციას რომ გადაინ, სიას კითხულობენ). დღევანდელ საკანონმდებლო ორგანოში არ იმართება დებატები, არ ხდება კანონების განხილვა, მინისტრების მოსმენა, მათთვის კითხვების დასმა და საზოგადოებამ როგორ უნდა გაცივოს ისინი?

— მინისტრთა მოსმენა არ ხდება?

— დამეთანხმეთ, რომ — გამონაკლის შემთხვევაში. სტატისტიკურად თუ შეადარებთ თუნდაც წინა მოწვევის პარლამენტის საქმიანობას, დღევანდელი საკანონმდებლო ორგანო ათჯერ უფრო პასიურია.

— დღევანდელი პარლამენტი კანონების მიღების მხრივაც პასიურია?

— არა, დებატების კანონის კენჭისყრა ფორმალურად რამდენი იმართება, ვერ გეტყვით. არქივიდან ამოიღეთ თუნდაც 3-4 წლისწინანდელი 9-საათიანი კურიერის ჩანაწერი და ნახეთ, ყოველი საფორმატო გამოშვება პარლამენტი ერთი ან ორი სიახლით იწყებოდა. დღევანდელ ახალ ამბებში პარლამენტი საერთოდ ვერ ხვდება — რა მოხდა, რა განიხილეს, რაზე იმსჯელებს, ამის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ გადის.

— აუცილებელია, ყოველ სესიაზე ცხელი დებატები გაიმართოს?

— რა თქმა უნდა, პარლამენტი ამისთვის არსებობს. — ბატონო კახა, შევარდნაძის დროს დეპუტატებს შორის ხელჩართული ცემა-ტყევა იმართებოდა და ეს იყო კარგი?

— კარგი არა, მაგრამ ლოგიკური იყო. — რამდენად შეუძლია დღევანდელ პარლამენტს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, როგორიც თუნდაც ნატოში ინტეგრაცია ანდა რუსეთთან ურთიერთობა?


— დღევანდელ პარლამენტს სხვა ფუნქცია არ აქისრია, გარდა იმისა, რომ სააკაშვილის საპარლამენტო სესიაზე გამოსვლისას ტაშის დაკვირვება ხელები გადაიჭყავს.

ნათია ქალაპივილი




ყველაზე კვირადღიანი ბაიანი

ბრიტანულმა სააგენტომ „Brand Finance“ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული 500 ბრენდის მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა და მასში პირველი ადგილი კვლავ შარშანდელმა ლიდერმა „Walmart“-ის სუპერმარკეტების ქსელმა დაიკავა. ის 41,4 მილიარდ დოლარად შეაფასეს. მეორე ადგილზეა 36,2 მილიარდ დოლარად შეფასებული კომპანია „Google“, რომელიც შარშან მხოლოდ მეხუთე ადგილს იკავებდა. მესამე ადგილზე, შარშანდელის მსგავსად, 34,8 მილიარდ დოლარად შეაფასებული „Coca-Cola“ აღმოჩნდა.



ბრიტანეთი საბაიკნეთს ასწავს

ბრიტანეთის ბიუჯეტის დეფიციტმა 2010 წლის იანვარში 6,7 მილიარდი დოლარი შეადგინა და, თუ ქვეყანა ამ ტემპით განაგრძობს ცხოვრებას, წლის ბოლოს საერთო შიდა პროდუქტთან მიმართებაში პროცენტულად უფრო მეტი ვალი ექნება, ვიდრე უმძიმესი კრიზისის პერიოდში მყოფ საბერძნეთს აქვს. იანვრის საბიუჯეტო კრიზისი ბრიტანეთის მთელ ისტორიაში პირველი ამგვარი შემთხვევაა. ახლა ბრიტანეთის სახელმწიფო ვალი 848 მილიარდ დოლარს, ანუ საერთო შიდა პროდუქტის 59,9 პროცენტს აჭარბებს.



სასიკვდილო განაჩენი

ლობანის სამხედრო ტრიბუნალმა პოლიციის ყოფილ ოფიცერს, 68 წლის მუჰამედ კასიმს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მას ისრაელთან თანამშრომლობა და 2006 წელს პალესტინური დაჯგუფების ორი მაღალჩინოსნის მკვლელობაში მონაწილეობა ედება ბრალად. მსჯავრდებული ისრაელის სადაზვერუო სამსახურს „მოსადთან“ კავშირში ამხილეს. კასიმმა პალესტინური ორგანიზაცია „ისლამური ჯიჰადის“ ერთ-ერთი ლიდერის მამუდ მაჯიბისა და მისი ძმის ნაბილის მკვლელობა აღიარა.

ის, რას 13 წლის წინათ ითქვა

წერილი მეორე

ალექსანდრე ჭაჭიას წიგნი „რამ დავგულუბა... რა გადაგვარჩენს“ თუ ჩაუკვირდები, აუცილებლად შენიშნავ, რომ ამ წიგნში უმთავრეს პრობლემად გასდევს შეშფოთება ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გამო: „გაგვარჩნია კი ამისთვის აუცილებელი ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალი? — კითხულობს იგი, — შესაძლებელია თუ არა ქართველი ხალხის კონსოლიდაცია ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დეგრადირების საფრთხის წინაშე?“



ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობს ავტორი, ეძებს კონკრეტულ გზებს, გვთავაზობს პრაქტიკულ რჩევებს, რადგან გადაგვარებისა და პირისგან მიწისა ალგვის საშიშროებამ, კარგა ხანია, თეორიული პერსპექტივიდან, „საპარატო ინტრიგებისა და კომბინაციების“ რიგიდან სადღეისო საფრთხეთა რიგში გადაინაცვლა.

ამიტომ ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და განსაკუთრებულ სიფხიზლებს განსაკუთრებული, იმიტომ ვამბობ, რომ ქვეყნის უღრუბლო მომავალი და პროგრესული განვითარება ქრელაჭრულეში შეფუთული, პიარტექნოლოგიებით გამაგრებული, ფართო მასების სატყუარად არის ქვეყლი ხელისუფალთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ალექსანდრე ჭაჭია პუბლიკაციები მიმართულია საზოგადოებრივი შეგნების გაზრდას და „იმ ყოველისმომცველი სისტემური კრიზისიდან“ ქვეყნის გამოსავლად, რომელიც, თუ არ შეიცვალა, კატასტროფა გარდევს და დასრულდება.

თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ და საგნებს თავისი სახელი ვუწოდოთ, საქართველო, კარგა ხანია, ცხოვრობს კატასტროფის სიტუაციაში.

პროფესორი ჭაჭია შენიშნავს, რომ ასეთი ისტორიული ფატალურობა სულაც არ არის ერთგულ და სამუდამოდ დადგენილი გარდევალა. მისი აზრით, ასეთი ვითარება ბევრად და განპირობებული მოქცევის ხელისუფალი, რომელსაც ხუთჯერ კვლავიანი სასტუმროების მშენებლობა ბოლომდე იდეალ აქვს აკვირებული.

„საქართველო არ აღორძინდება, — ხაზგასმით ამბობს ბატონი ალექსანდრე, — თუ დავრჩებით იმის იმედად, რომ ან რუსეთი, ან ნატო ან ევროკავშირი, ან აფრიკის კავშირი შეგვიხარავს“.

საინტერესო ისტორიულ დეტალს იხსენებს ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ჭაჭია: „1920 წელს ლენინი წერდა: „რისთვის გვჭირდება საქართველო?.. მოგვიწიებს მისი კვება“...“

ჩვენ გარდა არავინ იზრუნებს ჩვენს სახელმწიფოებრი-

ობაზე: „რუსეთთან ისევე, როგორც დასავლეთთან, ჩვენი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს სრულიად ახალ პრინციპებს, რომლებიც ძირფისვითად განსხვავდება იმისგან, რაც დღეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება“.

პოლიტიკა — მსოფლიო პროპარტული

ჯერ კიდევ 1995 წლის საარჩევნო კამპანიის დროს მან საჯაროდ გამოთქვა თავისი პოზიცია საგარეო ურთიერთობათა სტრატეგიის შესახებ: „საქართველოს ხელმძღვანელობა იმით კი არ უნდა იყოს შენუხებული, არ არის რუსული თუ პროდასავლური პოლიტიკა განახორციელოს, არამედ იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ გახადოს იგი პროქართული“.

აბსოლუტურად გასაგები ფორმულაა, რომელიც ქართულ ელექტორატში აბსოლუტური მხარდაჭერით სარგებლობს, ან, თუ დავაზუსტებთ, — უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერით.

გასაგებია, რომ ასეთი სტრატეგიული მიმართულების განსახორციელებლად აუცილებელია, მინიმუმ, ერთი რამ — ისეთი ხელისუფლების მოსვლა ქვეყნის სათავეში, რომლისთვისაც ეს პოზიცია არა მარტო მისაღები იქნება, არამედ — სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მიზანიც.

ბევრი წინააღმდეგობა გადის ამ მიზნის მისაღწევ გზაზე, რომელთა შორის დომინირებს გარკვეულ პოლიტიკურ პერსონებსა თუ წრეებში ჩამოყალიბებული,

„ქართული ეჩის აკაპა თანამედროვე დასავლეთის იმ სწორკუთხა წიგნი ბაჩხალია, რომლის ავტორი იყო კულტივირებული პროტესტანტი ლიკაბულიაის საუკუნეა ყალიბდა, რას ეჩ, რომელს ეჩს გაანადგურებს...“

„წმინდას მიახლოებული თვითდარწმუნება“, რომელთან კამათიც კი, როგორც წესი, „უნაყოფო მეცადინეობაა“.

ამ პრობლემაზე მსჯელობისას ალექსანდრე ჭაჭია თითქოს შემთხვევით, მაგრამ მკვლევარებისთვის თვალში საცემად, წარმოთქვამს ერთ წინადადებას, ერთ ლოგიკურ დასკვნას შემოგვთავაზებს, რომელიც, სამწუხაროდ, განხორციელებულ პროგნოზად მოგვევლინა.

ბატონ ნოდარ ნათაძესთან გეოპოლიტიკურ პრობლემებზე მეცნიერულ დისკუსიას იმ ჩაბმული ალექსანდრე ჭაჭია ოპონენტს რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე რომ ეკამათება, აღნიშნავს:

„მე ვწერ, რომ თურქეთს ან სპარსეთს შეუძლია, ტერიტორია წავართვათ, ნოდარ ნათაძე მიპასუხებს — რუსებმა არ წავართვეს! —“

წავართვეს, ბატონო ნოდარ, და, თუ საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკა არ შეიცვლება, კიდევ წავართვეს...“

მართალია, ეს ციტატა მთავრდება აქცენტის ერთგვარი შერბილებით — „ყოველ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებს ხელს არ შეუძლიან“, — მაგრამ ეს ან დიპლომატიის სტი-

ლისტიკით უნდა ავხსნათ, ან დამატებით სხვა საშიშროების არსებობაზე მინიშნებით — სხვებმა შეიძლება წავართვეთ. მთავარი მაინც პირველადი დასკვნაა — კიდევ წავართვეს!

წავართვეს. იმიტომ, რომ რუსეთთან ურთიერთობის შეცვლაზე არავინ იფიქრა. საქართველოს ხელმძღვანელობის გამწვავებულ კონფრონტაციულ პოლიტიკას კი მხოლოდ ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა.

ანალიტიკოსი მეცნიერი გვავრთხილებდა, რომ საშიშროება აშკარა იყო, რად-

გან ჩვენი სახელმწიფო სტრატეგიების აზროვნების მიმართულა აშკარად ამოვარდნილი იყო მსოფლიოში მიმდინარე პროცესების რეალური ტენდენციებიდან.

ამბობდა ამას ალექსანდრე ჭაჭია 13 წლის წინათ, 1997 წლის ივნისში გამოქვეყნებულ წიგნში „რანი ვიქნებით?“

ამ წიგნში არა მარტო გახსენებაა დღეს საჭირო, რაც წიგნის რედაქტორმა დაემსგავსებოდა, არამედ — ჩალრმა ვეზა მისეულ დაკვირვებასა და დასკვნებში, ვინაშთ გაგარდვირთ რუსოფობიის ტერმინული ლოპე-ყორე, რომელსაც, არაერთი წელიწადია, აგებენ პროფესიონალი თუ მოყვარული ავტორები და ხელისუფლების ხელისბიჭა „პოლიტოლოგები“, ვინაც ჩვენი ავტორი „ანტირუსული რიტორიკით დაკავებული საზოგადოების“ წევრებად მიიჩნევს.

იყო თუ არა ბენოციდი?

მოდით, ამჯერად პერსონალებს ნუ შევხვებით, რადგან, როგორც წესი, მათთან კამათის დროს პირადული გამოდის წინა პლანზე და თვით პრობლემის სიმწვავე ამის გამო ნელდება.

რუსეთის კაცთმოძულეობის წარმოსაჩენად პარალელს ავლებენ ფაშისტურ ეთნოგენოციდსა და ქართველი ხალხის მიმართ ეთნოგენოციდის რუსულ საბჭოთა მეთოდს შორის. უფრო მეტიც, — ამ უკანასკნელს ეთნოგენოციდის მწვერვალადაც მიიჩნევენ, რომელიც პიტლერის პრაქტიკასთან შედარებით უფრო დაუნდობელია.

ასეთი, აშკარად ფობიური დებულებებით რუსეთთან დისტანცირება და განვითარების დამოუკიდებელი ქართული გზის ძიება ნონსენსია.

უკრიტიკოდ არც ამის საწინააღმდეგო პოზიციის მიღება იქნებოდა სწორი და გამართლებული. ლაპარაკია პოზიციაზე, რომლის კვინტენციაც შემდეგია: „დასავლეთის ქვეყნებს, ანუ ევროპისა და ამერიკის განვითარებულ და ზეგანვითარებულ ქვეყნებს ჩვენს ქვეყანასთან საერთო აქვთ რელიგია, სულიერი და გონებრივი წყობა (ანუ მეტაფიზიკა) და ისტორიული ტრადიცია“.

ალექსანდრე ჭაჭია ქართული პოლიტიკური ელიტის ამ კრედიტს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და დეტალურად აანალიზებს.

იგი შენიშნავს, რომ „რელიგია ხალხთა ერთობის ფაქტორი შეიძლება იყოს არა მანინც და მაინც იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე ღმერთის, მესიის რწმენას ან ერთი და იმავე წმინდა ნიგნების თაყვანისცემას გულისხმობს. ამისთვის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების თანხვედრაცაა აუცილებელი. კერძოდ: „ქრისტიანობის მიღებისას, — განმარტავს ავტორი, — მისი დოგმების სხვადასხვა ენების ტრადიციებიდან და წეს-ჩვეულებებთან შერწყმა ხდებოდა. მისი ღირებულებითი ნორმატივები ისტორიულად შემუშავებულ ტრადიციულ ღირებულებებთან ერთად იმედობდა. ე.ი. ქრისტიანული მოძღვრება ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ თავისებურებას, აზროვნების სტილს, მენტალიტეტის სპეციფიკას შეერწყმებოდა და ამის გამო სხვადასხვა ერებს (ან ერთა ჯგუფს) ჩამოყალიბებული აქვთ ქრისტიანული ნორმატივების ალქმისა და რელიზიაციის სხვადასხვა ტიპი“.

ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობა — მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და სხვ.

ერთი რელიგიის შიგნით არსებულ განსხვავებულ მიმდინარეობებზე საუბარი, რომელთა შორის არსებული წინააღმდეგობა კატეგორიულ და საკმაოდ აგრესიულ სახისათს ატარებს. ხოლო თანამედროვე „ცხოვრების დასავლური წესი“ იმ ნორმათა და ღირებულებათა სისტემაა, რომლებიც პროტესტანტიული იდეოლოგიითაა შემუშავებული ანგლოსაქსური ეროვნული შეგნების სპეციფიკის საფუძველზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია რაციონალიზმი, მკვეთრი ინდივიდუალიზმი და ანალიტიკურობა, მართლობაში ცხოვრება და ბრძ-

ოლა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი.

„ეს თავისებურებანი, რომლებიც ნიუანსურად არ მიიჩნევა და პრინციპული ხასიათისაა, კატეგორიულად მიუღებელია მართლმადიდებლური შეგნებისათვის. — ასკვნის ალექსანდრე ჭაჭია, — რადგან იგი ეფუძნება ჰუმანიზმს, ხელგაშლილობას, მგრძობიარობის სიჭარბეს რაციონალურზე, კოლექტივიზმს, კაცთმოყვარეობას, ცხოვრებასა და ბრძოლას მხოლოდ საზოგადოებაში სხვებთან ერთად“.

სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ზემოთ მოხმობილი ლოგიკა ერთადერთ დასკვნამდე მიგვიყვანს: ერთიანი რელიგიური საფუძველი ერთიანად ცხოვრების საფუძველი არა და არ შეიძლება იყოს.

„თვისებები, რომლებიც პროტესტანტულ ინდუსტრიულ საზოგადოებას ახასიათებს, ჩვენითვის უცხოა და კატეგორიულად მიუღებელი“.

რა შედეგი შეიძლება მოგვიტანოს მაინც და მაინც იმ კურსის განხორციელებამ, რომელსაც გაუნათლებელი ობიგატელის სიჯეროვით ადგას ჩვენი ხელისუფლება?

შედეგი კატასტროფული შეიძლება იყოს.

აი, რას გვეუბნებოდა 13 წლის წინათ ნაწილობრივ „რანი ვიქნებით?“ ავტორი:

„ქართველი ერის არეალზე თანამედროვე დასავლეთის იმ ცხოვრებისეული წესის გაგრძელება, რომელიც ამერიკელების მიერ კულტივირებული პროტესტანტული ღირებულებების საფუძველზე ყალიბდება, ჩვენი ერს, როგორც ერს გაანადგურებს...“

ლიბერალური დასავლური სამყაროს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები ქართველებისთვის აბსოლუტურად უცხოა...

ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ პრინციპი „გავმდიდრდეთ ნებისმიერი ხერხით!“ და „მდიდარი ყოველთვის მართალია“, ვინაიდან სიმდიდრე არასოდეს ყოფილა და არც იქნება ქართველი ხალხის ცნობიერებაში მთავარი ფასეულობა“.

ასე თანდათან ეცლება საფუძველი იმ დებულებას, რომლის განმარტოვებულ უსიტყვო და გონებაწაღუნვ მასად სურს, გვაქციოს ჩვენ მიერ ხელდასმულმა ხელისუფლებამ.

ამიტომ უნდა დავეთანხმეთ ალექსანდრე ჭაჭიას დასკვნას, რომელიც პრინციპული და ობიექტური განსჯის გზითაა მიღებული: „არც რელიგია, არც ეროვნული მენტალიტეტი, არც კულტურა... ქართველთა და „განვითარებული დასავლეთის“ ერთობის ფაქტორს არ წარმოადგენს“.

ერთ-ერთი პოლიტიკოსის აღფრთოვანებული შეძახილი — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი!“ — პრინციპულად მცდარია.

არ ვარ ევროპელი და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვიქცე. ქართველი ვარ და ესაა სწორედ უმაღლესი ღირებულება.



ნარინჯისფერი აღაშინებები და... «ეს მწვანე კასი ვინ იყო, ნეტავ?!»

წარმატებული დღის წინაპირობა ადამიანისთვის და კურდღლისთვის ერთნაირია — უთენია გაღვიძება. პირველი დროულად მოასწრებს „ტაბელის“ გადაბრუნებას, მეორეს კი მწვეარი ვერასგზით დაენევა. დღეს მოდამია: სლოგანი — მამაცი კურდღელი მაგარი! ცხოვრების სტილი — მწვანე კურდღელი თხილამურებით, კვების რაციონი — შალსტუხი და ალაგ-ალაგ სტაფილო, საცხოვრისის, ბურჭების დანიშნულება — კრიტიკული სიტუაციისას „ჩირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“, თუმცა ამაზე ან — ქვემოთ, ან სულაც სხვა დროს... და ვიდრე ბურჭებში მიყუყულო ქარაქუცა ბაჭია შალსტუხს ნერვიულად ღეჭავს, ჩვეულებრივი თბილისელის „განწყობის თეორიის“ საანალიზოდ შეძლებისდაგვარად განვხილეთ.



ცნობიერებაში მენაგვე და მე-ეზოვე სულ სხვადასხვა ტიპები. პირველი — ბინძური ადამიანი, რომელიც დღენიადაგ ყარს, ჭუჭყისფერია, ლოთი, ჩამოძონძილი, გაქუცუული... მეეზოვე კი, შესაძლოა, 40 წლამდე, სიმპათიური, ხელთათმანებით, არ გამოირჩევა არანაირი სპეციფიური სუნით, გამოხედვა ღირსეული და, რაც ყველაზე მთავარია, — ნარინჯისფერი უნიფორმა ნარინჯისფერი „ვარ ჩემი ქალაქის მეეზოვე!“

თავის დროზე მეეზოვეობა ქალაქის მუნიციპალიტეტშია და „გააუგულავა“, ლამის კონკურსიც გამოცხადდა ვარსკვლავი ადგილების დასაკავებლად. საშუალო ხელფასი მეეზოვისა 400-დან 500 ლარამდე დადგინდა. ჰოდა, ნავიდა რეკვა ჩინოვნიკების მობილურებზე, — ჩემი ახლობელია და, იქნებ, სადმე პრესტიჟულ უბანში... მეეზოვედ მოაწყობ! უნდა იქნას, რომ ხსენებული შემთხვევა, ალბათ, ერთადერთია, როდესაც ქართული ცნობიერებაში პროტექციონიზმმა ვერ იხეიარა ყველა მოხელეს ეუხერხულა, კოლეგასთან დაერეკა, ჩემი ახლობელია და მე-ეზოვედ მონყობაში დამეხმარე! ასე დაკომპლექტდა ქალაქის დასუფთავების სამსახური ღირსეული კადრებით.

„მეეზოვე“ მეეზოვის წინააღმდეგ: ქართული შემოქმედებითი ფანტაზია ამოუწურავი და უმრეტელია. თუ რომაელმა იმპერატორმა ვესპასიანემ საზოგადოებრივი ტუალეტები დააარსა და ამ გზით მოახერხა დიდი ფულის მითვისება, მისმა ქართველმა კოლეგებმა გამოგონებაში ტოლი არ დაუდეს. ქართველმა მაღალჩინოსნებმა მეეზოვეობის ინსტიტუტი თავიანთ სასარგებლოდ იმდენი აპირეს, რა პრესით, რა ტელევიზიით, რა პოსტერებით, სლოგანებითა და „კორტესტროფებით“, რომ გასაკვირი არც იქნებოდა, სადარბაზოში ცოცხმო-



«მიჯაჭვულები»

სოციალური ქსელები „facebooke“ და „odnoklassnik“-ი საქართველოში ერთობ პოპულარულია, რაც თავისთავად ცუდი სულაც არაა, პირიქით... მაგრამ ამ პატარა ჩანაწერში თქვენი ყურადღება იმ საფრთხეებზე მიიწვი გავამახვილო, რასაც სოციალური ქსელებისადმი მომხმარებლის მიჯაჭვულობა იწვევს ან, შესაძლოა, იწვევდეს...

მოგესხენებათ, ჩვენ ვცხოვრობთ იმ პოლიტიკურ რეალობაში, სადაც თავისუფალი აზრის გამოხატვა მთელ რიგ არაგამოგონილ სირთულეებთანაა დაკავშირებული. უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებიც ალაპარაკდნენ, რომ საქართველოში მედიის თავისუფლება საფრთხის ქვეშაა. მართალია, ძალზედ მორიდებულია ეს შეფასებები, მაგრამ ექვსი წლის წინათ ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა.

უფრო მეტიც, „დემოკრატიის შუქურა“ გვიწოდებს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში არასამთავრობოთა შემაშფოთებელი „რაპორტები“ იყრიდა თავს. რეაქცია? მიწუს ერთი!

მოკლედ, ქვეყანაში, სადაც ათობით არარეალიზებული ჟურნალისტი და, უბრალოდ, მოაზროვნე, სოციალური ქსელების არეალი სწორედ ისე რომ მისწრება... მისწრება ხელისუფლებისთვის, რომელმაც ადამიანები ვირტუალურ რეალობას მიაჯაჭვა და აზრების გავრცელებასაც ერთ კონკრეტულ სივრცეში მისცა გასაქანი. სოციალური ქსელების საინფორმაციო ნაკადს უწყვეტი და, შინაარსით თავსაზრისით, მრავალფეროვანი ხასიათი აქვს: მომხმარებელი, ამინდის პროგნოზით დაწყებული, სექსით და პოლიტიკით დასრულებული, ყველაფერზე წერს და, ასევე, უკუთრეაქციის პრინციპით იღებს ინფორმაციას. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ე. წ. ამოდ მეტყველების უბანს, რომელსაც საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავს. ეს კატეგორია, ერთი შეხედვით, მაღალ მატერიულზე წერს და მხოლოდ უმცირესობისთვის გასაგებია იუმორით გამოირჩევა. სხვანი, უბრალოდ, აქაც ნეიტრალურობას ინარჩუნებენ და პეპლებსა და ყვავილებზე გვანდინ ინფორმაციას... მაშინ, როცა ფანჯრის მიღმა ქვეყანის თავზე გვენგრევა. ჩემიანები სოციალური ქსელების სივრცეს ხელისუფლებისაგან განსხვავებული, ხელისუფლების იდეოლოგიასთან წინააღმდეგობაში მოსული აზრების გავრცელებისთვის იყენებენ და პეპლებისთვის არ სცალიათ. ხელისუფლებაც კმაყოფილია... აქ გამოქვეყნებულ სტატიებსა თუ ლოზუნგებს ზემოქმედების ის ძალა, რა თქმა უნდა, არ აქვს, რაც ტელევიზიით გამოხატულ პოზიციას, ამიტომ პრინციპი ბანალურია: „წერე და იკითხე“, დიდი-დიდი ორმა სააგენტომ გაავრცელოს შენი პუბლიკაცია, ამით ხომ საზოგადოებრივი აზრი ვერ შეიცვლება?!

ახლა ერთ მომენტზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. სოციალური ქსელებისადმი დამოკიდებულებას იგივე ეფექტი აქვს, რაც ნებისმიერ დამოკიდებულებას, ანუ მოქმედებას, ნარკოტიკის პრინციპი... არადემოკრატიული მმართველობისთვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი და მომგებიანია, როცა ათასობით მომხმარებელი (ჩემი ჩათვლით) დიდიდან გვიან დამემდე საკუთარ ოთახში, საკუთარ კომპიუტერთან ზის, წრუპავს ჩაის ან ყავას და კომფორტულად აფრქვევს დიდ ან პატარა აზრებს, ეს მასა პრაქტიკულად „მიჯაჭვულია“ სახლში, „მიჯაჭვულია“ ვირტუალურ სივრცეს და დიდი შანსია, რომ სამოქალაქო პოზიცია სწორედ ოთახში, კომპიუტერთან გამოხატოს, ვიდრე ქუჩაში...

თუ ატყობთ, ამ ბოლო დროს „facebooke“ ისეთივე მოსაწყენი და უინტერესო გახდა, როგორც თავის დროზე „odnoklassnik“-ი. იმისთვის, რომ ეს მოწყენილობა მასობრივ უინტერესობაში არ გადაიზარდოს, ხშირად იცვლება დიზაინი, ასევე, შემოდის კომუნიკაციის ახალი ფორმები... მოკლედ, „დაბმის“ პროცესი გრძელდება...

იოანე ივანიშვილი



გონსა თუ სულში არსებულ ნაგავს ცოტათი მაინც შეამცირებდა, თუმცა ეს სულ სხვა განსჯის საგანია.

„თბილისი — სისუფთავის ქალაქი!“ — ესეც კარგი სლოგანი იქნებოდა, სიმართლესთან ოდნავ მაინც რომ იყოს ახლოს. უწინარესად, ქალაქის სისუფთავეზე თავად ქალაქელები უნდა ზრუნავდნენ, მაგრამ ან ქალაქი საბოლოო, ან სისუფთავე? საბოლოო მეეზოვეობაზე რა უნდა სიბინძურის მოყვარულ მოქალაქეებს ხომ არ ჩაუსაფრდებიან და ცოცხის ტარით გვერდებს ხომ არ აუჭრელებენ?

ქართველი მენაგვეები და მეეზოვეები. მოიცა, მოიცა, არავის ეწყინოს!

იქიდან დავიწყებ, რომ მე-ეზოვეობა ერთობ სათაკილო პროფესია იყო. ეზოებსა თუ ქუჩებს, ძირითადად, ქურთი ბახჩოები, ალესკურები, გარიკები თუ ქნარიკები ასუფთავებდნენ. მათი სტატუსი და პრესტიჟი საზოგადოებაში ნულს ქვემოთ იყო. იშვიათად გამოჩნდებოდა ქართველი (ისიც რაიონიდან ჩამოსული), რომელიც მეეზოვედ მუშაობას დათანხმდებოდა. პრაქტიკულად, ცნებები „ქურთი“ და „მენაგვე“ თითქმის სინონიმებად იქცა. სტერეოტიპის ნგრევა პირველად გამსახურდას პრეზიდენტობისას დაიწყო, როცა ეროვნულმა უმცირესობებმა, მათ შორის ქურთებმაც, საქართველოს დატოვება დაიწყეს. დარჩა ქალაქი მეეზოვეების გარეშე, თუმცა ვის ცხელოდა მაშინ ნახევრად გადამწვარი როუსთაველის გამზირის დასასუფთავებლად?!

სიტყვა მენაგვე დღესაც კი უარყოფით განწყობას ტოვებს არა მხოლოდ რიგიანი ობივტელში, არამედ მაღალი გვამებიც ერთმანეთს ისტორიის სანაგვეზე გადაყრით ემუქრებიან. შრომა ნებისმიერი ფორმით სათაკილო ნამდვილად არაა, მაგრამ რასაც ქუჩა-ქუჩა „მოგულავე მერმა“ და მისმა გოშებმა მიადნიეს, უთუოდ ქების ღირსია.

„ვარ ჩემი ქალაქის მეეზოვე!“ — სლოგანი მიზანშია მოხვედრილი. ვის არ უნდა სუფთა ქალაქში ცხოვრება, სუფთა სადარბაზო, სუფთა ქუჩა, სუფთა... სინდისი! კარგი იქნებოდა, „სინდისის მეეზოვის“ ინსტიტუტის შემოღება, რომელიც ჩინოსნების



ნანა ლაღაძე

ავტორისაბან: წერილზე მუშაობისას ავტორი იმდენადაა როლში შესული, რომ ვერც კოკოითის „გამოგონილი მათემატიკური ფორმულები“, ვერც ბალაფის „აბი გლუკოზა“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც „ფქვილის აიპ, თამუნია“ ვერ ახდენს ვერანაირ ზეგავლენას. აბ, მაგრამ კი ავტორს ყურადღება ტელევიზორის ეკრანზე მორბენალმა მწვანე უფორმო მასამ გაუფანტა. უფორმო მწვანე კაცს თვალბიცი ჰქონდა, ცხვირიც, პირიც, მაგრამ რატომღაც კაცს არ ჰგავდა. ავტორს გაახსენდა, მსგავსი უფორმო კაცი ტელეეკრანზე სხვა დროსაც საკმაოდ ხშირად უნახავს და გაიფიქრა: „ეს მწვანე კაცი ვინ იყო, ნეტავ?!“

გზურთ, გაზგონაროთ თქვენი მოსახრება? დაგზონაროთ: 38-41-97, ან მოგზონაროთ: info@geworld.net

საქართველო

სასაქონლო გაოცდებით ჩარისხულ ფრანგ სტუდენტებს დღეის ჩაღიუსი 10 მმ ჰპონით

საქართველოში 2004 წელს დაწყებული განათლების რეფორმის მიმდინარეობისას, გარდა კორუფციის, რეპეტიტორთა ინსტიტუტის მოსპობისა და ბოლონის პროცესის დებულებათა მიმართ ერთგულების დაპირებებისა, მუდმივად ხდებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სახელებით აპელირება.

2008 წელს მეცნიერ-მკვლევარების — **ლევან გონჯიანისა** და **მარინა ლომოურის** მიერ ქართული ეროვნული გამოცდების სამწლიანი შედეგების ანალიზმა სასკოლო განათლების კრიზისი დააფიქსირა. ამასვე მიუთითებს განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ მსოფლიოს 60 ქვეყანაში ჩატარებული კვლევები, რომელთაც საქართველოს სასკოლო განათლებას ყველაზე ჩამორჩენილ ჯგუფში — ბახრეინის, ლიბანის, მაროკოს, იორდანისა და სხვათა გვერდით მიუჩინეს ადგილი (ამის თაობაზე ჩვენ ადრეც გაცნობებდით). უცხოეთში მიღებული განათლებით მუდმივად ამაცი ქართველი რეპეტიტორები ან საერთოდ არ გაცნობიან მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთის განვითარებული ქვეყნებში ჩატარებულ სასკოლო განათლების რეფორმების შედეგებს, ან გაეცნენ და მიზანმიმართულად დაანგრეს ქართული სასკოლო განათლება. უფრო სარწმუნო მეორე მოსაზრებაა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეფორმები საქართველოში სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც დასავლეთში გაუზრუნველი რეფორმების შედეგების გამო განგაში უკვე ატეხილი იყო. დღეს ჩვენ პარიზის პიერ და მარიამ კიურების სახ. უნივერსიტეტში მოღვაწე ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის — ვიქტორ დოცენკოს წერილის ნაწილს გაცნობთ (*Наука и жизнь* 2004 г. № 1). რუსი პროფესორი, გარდა ფრანგულ უნივერსიტეტში მოღვაწეობისას შეხვედრილი კურორტების აღწერისა, მეტად მნიშვნელოვან

პარალელებს ავლებს შორეულ წარსულთან, საიდანაც ნათელია, რომ საქმე მხოლოდ მათემატიკური ცოდნისა და ანალიტიკური აზროვნების დაკარგვა კი არ არის, არამედ ის, რომ ბრძენი და განათლებული ერი შეიძლება სულ მთლად დაქვეითდეს და კატასტროფამდე მივიდეს. ისტორიკოსები დღემდე ვერ გარკვეულან, როგორ მოხდა, რომ ასეთმა განათლებულმა და ბრძენმა ეგვიპტელებმა ასე სწრაფად დაივიწყეს თავისი დიდებული პირამიდების შენების ცოდნა (ეს მოხდა ქრისტეს შობამდე 26-ე საუკუნეში). ეს იყო გამოგონებული ისტორიული კატასტროფა. ყოველივე ამას საუკუნოვანი ცოდნის და გამოცდილების, სრულყოფილი თვითნაზი ტატობისა და უცვლელად დარჩენილი დაივიწყეს, დაკარგეს ჩვევები, ელემენტარული საკითხების გაგების უნარი. საოცარია, რომ თითქოს ყოველივე თავისთავად მოხდა, ბარბაროსების შემოსევისა და ომების გარეშე. ყველაფერი, რაც შემდეგ აშენდა, იყო დიდებული პირამიდების საცოდავი მიმსგავსება. დღეს მე უკვე ვიცი, როგორ მოხდა ყოველივე. უკვე მეხუთე წელია, ვასწავლი პიერ და მარიამ კიურების სახ. პარიზის უნივერსიტეტში (*"Paris VI"*). განათლების დონით არც პარიზი პლანეტაზე ბოლო ადგილზე და არც ჩვენი უნივერსიტეტი უარესია შორის პარიზში... არ შემწევს უნარი, შევადარო რუსული განათლების საშუალო დონე ფრანგული განათლების საშუალო დონეს. მითუმეტეს, რომ საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს „განათლების საშუა-



ლო დონე“. გაიმბობთ მხოლოდ ჩემს პირად გამოცდილებზე, ანუ „რასაც ვხედავ, იმას ვმეორე“. საფრანგეთში, დიდი ხანია, შემოიღეს ერთიანი სახელმწიფო გამოცდები BAK-ი (სიტყვა ბაკალავრიატიდან). ამგვარი გამოცდების შემოღების მოტივაცია დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც რუსეთში ყველა მოსწავლის ჩაყენება ერთნაირ პირობებში, კორუფციის მოსპობა და ა.შ. BAK-ი შეიძლება იყოს იტალიური (პროორიტეტით მათემატიკასა და ფიზიკაში) და ჰუმანიტარული (პროპორციით თემატიკაში, ფილოსოფიაში, ეკონომიკასა და სხვა). BAK-ის ჩამბარებული პირი ირიცხება ნებისმიერ უნივერსიტეტში თავისი პროფილით და სწავლობს იქ უფასოდ, თუ არ ჩავთვლით „საკომისიო მოსაკრებელს“ (300 ევრო) წლის დასაწყისში. თუ ოჯახის შემოსავალი განსაზღვრულზე დაბალია, სტუდენტი, მიუხედავად მოსწრებისა, იღებს სტიპენდიას. გარკვეული ქულების მიღებისას ახალგაზრდა ირიცხება „Гранд эхалს“-ის მოსამზადებელ კურსებზე. „Гранд эхალს“-ი ელიტარული უნივერსიტეტია და იქ მოსახვედრად მოსამზადებელი კურსების შემდეგ, კიდევ მისაღები გამოცდებია ჩასაბარებელი. როგორც მოსამზადებელ კურსებზე, ისე უნივერსიტეტში სწავლისას ხდება განთესვა როგორც ზამთრის,

რომ განათლებისათვის ფული კატასტროფულად არასაკმარისია... მათ ხომ არ იციან, რას ნიშნავს ნამდვილად არასაკმარისი. მინდა გითხრათ, რომ „გინდოდა, როგორც უკეთესი ზამთრის სესიებზე 40, ხოლო საგაზაფხულოზე სტუდენტთა 30% ირიცხება. სწავლების მეორე წლის ბოლოს ჩარიცხულთა 1/4-ს რჩება (ფაქტობრივად, ეს ორ წელიწადზე გაჭიმული მისაღები გამოცდებია). განთესვა ნაკლები ინტენსივობით შემდეგაც ხდება. უნივერსიტეტში სწავლება 2 ან 3 წლის შემდეგ მთავრდება DEA-თი, რომელიც ასპირანტურასთანაა ახლოს და ის მთავრდება დისერტაციის დაცვითა და სამეცნიერო ხარისხის მოპოვებით. ამ დროემდე აღწევს მხოლოდ საუკეთესო სტუდენტები. ამ მოსაწყენი შესავლის შემდეგ, ცოტაოდნის შემდეგ გეტყვით. ვასწავლი უნივერსიტეტის პირველ კურსებს ფიზიკასა და მათემატიკას. ვკითხულობ თეორიული ფიზიკის კურსს და ფუტარებ სემინარებს „Екoнoмeнaл Cyпepъep“-ის ბოლო წლის ასპირანტებს (ანუ იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან არა მარტო „ყველაზე“ ყველაზე „საუკეთესო, არამედ კიდევ „сyпep“ და „экcтpა“. როგორც ხედავთ, განათლების სისტემა არცთუ ცუდად არის მოფიქრებული და ამისათვის ფულიც არის. თუმცა ფრანგები გამუდმებით აღნიშნავენ,

რომ განათლებისათვის ფული კატასტროფულად არასაკმარისია... მათ ხომ არ იციან, რას ნიშნავს ნამდვილად არასაკმარისი. მინდა გითხრათ, რომ „გინდოდა, როგორც უკეთესი ზამთრის სესიებზე 40, ხოლო საგაზაფხულოზე სტუდენტთა 30% ირიცხება. სწავლების მეორე წლის ბოლოს ჩარიცხულთა 1/4-ს რჩება (ფაქტობრივად, ეს ორ წელიწადზე გაჭიმული მისაღები გამოცდებია). განთესვა ნაკლები ინტენსივობით შემდეგაც ხდება. უნივერსიტეტში სწავლება 2 ან 3 წლის შემდეგ მთავრდება DEA-თი, რომელიც ასპირანტურასთანაა ახლოს და ის მთავრდება დისერტაციის დაცვითა და სამეცნიერო ხარისხის მოპოვებით. ამ დროემდე აღწევს მხოლოდ საუკეთესო სტუდენტები. ამ მოსაწყენი შესავლის შემდეგ, ცოტაოდნის შემდეგ გეტყვით. ვასწავლი უნივერსიტეტის პირველ კურსებს ფიზიკასა და მათემატიკას. ვკითხულობ თეორიული ფიზიკის კურსს და ფუტარებ სემინარებს „Екoнoмeнaл Cyпepъep“-ის ბოლო წლის ასპირანტებს (ანუ იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან არა მარტო „ყველაზე“ ყველაზე „საუკეთესო, არამედ კიდევ „сyпep“ და „экcтpა“. როგორც ხედავთ, განათლების სისტემა არცთუ ცუდად არის მოფიქრებული და ამისათვის ფულიც არის. თუმცა ფრანგები გამუდმებით აღნიშნავენ,

ივერსიტეტში ხომ მხოლოდ ბეჯითები ხვდებიან. შემდეგ ლექციაზე, ფუნქციის წარმოების ახსნის ნაცვლად იძულებული ვიყავი ამეხსნა სტუდენტებისათვის, რომ 3/6 უდრის 1/2-ს, და არა 1/3-ს, როგორც ზოგიერთს ჰგონია. რეაქცია ასეთი იყო „ასეა? კარგი“. მათთვის რომ მეთქვა, 3/6 ტოლია 1/10-ისა მეთქი, რეაქცია იგივე იქნებოდა. წინა 2 სასწავლო წლის განმავლობაში ჩემი სტუდენტების 1/10 ავერსიტეტში არასტანდარტულ მათემატიკურ ცოდნას“. ისინი თვლიდნენ, რომ ყოველი რიცხვი (-1) ხარისხში ნულის ტოლია. ეს იყო არა შემთხვევითი, არამედ კარგად ათვისებული ცოდნა, რომელიც მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, სწორად მეთოდობდა და თანაც ორმხრივად მოქმედებდა: თუ რიცხვი (-1) ხარისხში იყო ასაყვანი, მას 0-ს უტოლებდნენ და პირიქით, 0-ს აიგივებდნენ რაღაც რიცხვის (-1) ხარისხთან. დასკვნა ასეთია: მათ ასე ასწავლეს სკოლაში. რაც ვერ ასწავლეს საწყალ ფრანგ ბავშვებს, ეს არის წილადად მიქმედება. საერთოდ წილადად, მათი შეკრება, გამოკლება, გამრავლება და განსაკუთრებით გაყოფა, ჩემი სტუდენტების დამივი თავის ტკივილია. პარიზის უნივერსიტეტში ჩემი მუშაობის პრაქტიკიდან მიღებული დასკვნა ასეთია: **წილადად დარწმუნებით მოქმედება შეუძლია ჩემი სტუდენტების არაუმეტეს მეთოდს. უნდა იქნას, რომ არითმეტიკული ოპერაცია, გაყოფა, არის თანამედროვე ფრანგული საშუალო განათლების ყველაზე რთული და ძნელი თემა.** როგორ უნდა ასწავლო ბავშვს გაყოფა? ალბათ, ექვსი ვაშლის სამ ბავშვზე თანაბარი განაწილების მაგალითით. ფრანგმა ექსპერტებმა ამისხსნეს, როგორ ასწავლიან ფრანგ ბავშვებს გაყოფას: აძლევენ შარადებს (ჩვენთანაც გვხვდება შარადები სახელმძღვანელოებში. — დ.ქ.), რომელშიც სვეტებად განლაგებულია გასაყოფი, გამყოფი და

ამოკლავ



პოლანდიური განხეთქილება
ავღანეთში პოლანდიის კონტინგენტისთვის მივლინების გახანგრძლივების საკითხთან დაკავშირებით ნიდერლანდების სამთავრობო კოალიციაში წარმომობილება უთანხმოებამ თავად კოალიცია გადაიცილა.
16-საათიანი სხდომის შემდეგ პრემიერმა იან პეტერ ბალკანენდემ განაცხადა, რომ შრომის პარტიის წარმომადგენლები თანამდებობებიდან გადადგნენ. 2006 წლის აგვისტოდან ამ დრომდე ავღანეთში 21 პოლანდიელი სამხედრო დაიღუპა.



ქართველ პოლიციელს, ისტორიულად და ახლაც, ხელბორკილთან, „დუბინკასთან“, ჩურჩხელასთან და იარაღთან (პერსონალური და საქველმოქმედო — სხვისთვის „ჩახადება“ გამიზნული) ერთად მუდამ თან დაჰქონდა ლეკსების პატარა კრებული. პენსიაზე გასულ დამსახურებულ პოლიციელებს მინისტრი, სიგელგებთან და ჩინმედლებთან ერთად, პოლიციაში გატარებული ბედნიერი დღეების გასახსენებლად სკრაპეული პოეზიის კრებულსაც უძღვნიდა ხოლმე (სკრაპე ინგლ.) — ლითონის ნაწარმის ნარჩენი, მოკლედ, ნაგავი).



საქტემგარი:
„ჩვენ თქვენს საკუთრებას ვიცავთ, სიგნალიზაციით ვფიცავთ“.

ოქტომგარი:
„შარს რომ აგაცილოთ, უნდა გაგაცილოთ“.

ნოემგარი:
„რომ არ შედგეს ძარცვა, სახლს სჭირდება დაცვა“.

დეკემგარი:
„ჩვენი დაცვა-გაცილებით, გზებს გაივლით გაცილებით“.

მავლის ქართულ დარგობრივ პოლიციურ ლირიკაში. დიახაც, ლირიკაში, რადგან ძნელია, პოეზიის სხვა მიმართულებას მიაკუთვნო თუნდაც ეს სტროფი: „ჩვენი დაცვა-გაცილებით, გზებს გაივლით გაცილებით!“

დიდი მოკრძალებით, მეც მინდა, მცირე წვლილი მაინც შევიტანო ამ საშვილიშვილო საქმეში და შემოგთავაზოთ ორიოდ ნიმუში მომავლის პოეზიიდან:

„თუკი ვართ მართლა ნაცია, გვექნა სიგნალიზაცია“.

„თუ ხარ ნამდვილი კუდელი, არ უნდა იყო კურდელი“.

„თუ გინდა გქონდეს პრემია, დამრღვევს არ მისცე ვრემია“.

ნარმოიდგინეთ, შუა ქალაქში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას გამოფენილი უზარმაზარი ბანერი ბატონი ვანო მერაბიშვილის საყვარლად გალიმებული სახით, ერთ ხელში — „დუბინკით“, მეორეში — ნითელი ვარდით და გულისამაჩუყებელი ნარწერი:

„თუ ჯანმრთელობა გიჯობს, კოზლა დააყე, ბიჭო!“

ვგრძნობ, რომ ჩემი, დამწყები პოეტის, ეს სტრიქონები თავისი ცხოველქმედებით გამოპრმედილი პოეტ-პოლიციელების შემოქმედებასთან ვერ მივა, მაგრამ, იმედია, გამიგებთ — დიდია პოეზიით ცდუნების ძალა.

ვფიქრობ, და ამაში პოლიციური პოეზიის თავყანისმ-

ცემლებიც დამეთანხმებიან, რომ უიმედოდ მოძველდა დავით გურამიშვილის დიდაქტიკური „სწავლა მოსწავლეთა“, რითაც ორასზე მეტი წლის განმავლობაში „უნამლავენენ“ გონებას ქართველ ახალგაზრდობას. მაგალითად, დღეისთვის აბსოლუტურად გამოუსადეგარია სხენებული ავტორის ამგვარი შეგონება:

„ისმინე სწავლის მძებნელო, მოჰყევი დავითის მცნებასა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკიბილი, თუ ექებ გემოვნებასა“.

ამის ნაცვლად უპრიანი იქნება, ვთქვათ, ასეთი, გაცილებით შთამბეჭდავი, სტრიქონების პოპულარიზაცია:

„უთხარით დავითაშვილსა, არ დააყენებს უკანალს? მაგას მოხვდება სუყველა, რაც კი აცდება კუკავას“.

ძალიან საინტერესოდ მეჩვენება თანამედროვე ქართული საბავშვო პოლიციური პოეზიის განვითარების პერსპექტივაც. ნარმოიდგინეთ, ახლადგენზადგმული ქართველი პატარა, რომელიც, აი, ასეთი სტრიქონებით ეზიარება მრავალსაუკუნოვან მშობლიურ პოეზიას:

„ჩვენ ლომ გვიცავს პოლიცია, მას ვინ მალთავს? — ვანო ცია!“

ისიც უეჭველია, რომ ამ სტროფებზე მრავალი ხალხური სიმღერა და კლასიკური მუსიკალური ნაწარმოები შეიქმნება. მით უფრო, უკვე გვაქვს პრეცედენტი თითქმის უკვე გახალხურებული „მიშა მაგარისა“ სახით და, ღვთის მადლით, თავს მხნედ გრძნობს მინისტრად აღზევებული მისი ავტორი — გოგა ხაჩიძე!

ალარაფერს ვამბობ სამიჯნურო პოლიციურ პოეზიაზე, რისთვისაც უკიდევანო ასპარეზი იმღება.

მოკლედ, თქვენ წინაშეა ქართული დარგობრივი პოლიციური პოეზიის შედევრი. დატკბით!

მოკრძალებით, მისიილ და რასხვილიქა

ზედაპირული დაკვირვებითაც ჩანს, რომ ეს აფორიზმები კოლექტიური პოლიციური გონის ნაყოფი, სხვა სიტყვებით, ხალხური შემოქმედების პირმშო უნდა იყოს. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გაუგონარ თავმდაბლობას იმ ადამიანებისა, ვის სახელებსაც, იმედია, მაღლიერი შთამომავლობა ვერასდროს შეიტყობს!

ავტორთა თავმდაბლობაზე ლაღადებს ის ფაქტიც, რომ კალენდარზე მითითებული არ არის მისი იდეის ავტორისა და უშუალო შემქმნელების, გამომცემლის ვინაობა. ქართული დაცვის პოლიციის გლობალურ მასშტაბებზე კი მხოლოდ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტების თანამედროვე და ძველი კულტურის ამსახველი ფოტომასალა მიგვანიშნებს.

ზემოთაც მოგახსენეთ და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს პოეტური კალენდარი უთუოდ დაუდებს საფუძველს ახალ მიმდინარეობებს მო-



იანვარი:
„არ დაფიქრე ერთი წუთი, აკრიფე 025“.

თებერვალი:
„არ გეგონოს სათამაშო, ღილაკია საგანგაშო“.

მარტი:
„რომ არ დაგესხას თავზე მძარცველი, პოლიციაა შენი დამცველი“.

აპრილი:
„თუ გაქვს ორგანიზაცია, ჩართე სიგნალიზაცია“.

მაისი:
„როგორც სხეულს — ჩაცმა, ოფისს უნდა დაცვა“.

ივნისი:
„დაცულია იქ ნაცია, თუა სიგნალიზაცია“.

ივლისი:
„არ ღირს-მეთქი ლაპარაკი, დაიცავი აგარაკი“!

აგვისტო:
„დღეს მთავარი რაცაა, ჩვენგან თქვენი დაცვა“.

რამდენიმე დღის წინათ, გავრცელდა ხმები, რომ სოფსი შეფი — ირაკლი კოდეა, თანამდებობიდან უკვე გაათავისუფლეს, მაგრამ ეს ხმები, მისივე ცოლმა, „სახელოვანმა“ ნანუკა ყორყოლიანმა უარყო. რამდენ ხანს უარყოფენ კოდები და მათი საახლოლო ამ ხმებს, უცნობია, მაგრამ საგარეოდ, კოდუას, რომელიც, არც თუ დიდი ხნის წინათ, პატარკაციშვილის განარხული საქმის გამო მერაბიშვილის შემცველად სახელდებოდა, მალე ჩამოაშორებენ აღნიშნულ სამსახურს.

როგორც ამბობენ, გაერთიანებულ სოფსა და კუდს დათა ახალია ჩაუყენებენ სათავეში და ამ სტრუქტურასაც სრულად გააკონტროლებს ვანო მერაბიშვილი. გახსოვთ, ალბათ, რომ კოდუა მუდამ ცდილობდა სააკაშვილისთვის თავის მოწონებას და ვანოს „წინაც დარბოდა“, ბადრის „გაფუჭებისთვის“ მინისტრის პოსტსაც ელოდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი დროც ამოიწურა. დედის (ვანოს) წინ მორბენალი კვიცის დღეში ჩავარდა ერეკლე კოდუა და ამა-საც როდის გაუმეგებენ სასწავლებლად, კაცმა არ იცის. გაერთიანებული სტრუქტურის კიდევ ერთ ხელმძღვანელ პირად ეროვნული გვარდის დეპარტამენტის უფროსი — ზურაბ აროშვილი სახელდება. თავის მხრივ, გვარდიაშიც მიდის „გაახალაიება-გამერაბიშვილება“ და თავდაცვის სამინისტრო, თავისი შენაერთებით, მალე წმინდა პოლიციური სტრუქტურა გახდება და მალე ეროვნული გვარდის რამდენიმე მაღალჩინოსანსაც მერაბიშვილის კადრებით ჩაანაცვლებენ.

ადგილების გადანაწილება, როგორც ჩანს, უფრო მეტად ძალოვან სტრუქტურებში მოხდება. აშშ-ში ელჩად წასულ ბათუ ქუთელიას ისევ თავდაცვის სამინისტროში, ამჯერად, მინისტრის პოსტად უწინასწარმეტყველებენ. ქუთელია კეზერაშვილის მინისტრობის დროს მინისტრის მოადგილე იყო და საქართველოს თავდაცვის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო მინისტრის შეცვლის ყველაზე „ლიტონი“ კანდიდატი სწორედ ქუთელია გახლდათ, მაგრამ მაშინ ფსონი მის სასარგებლოდ არ გაკეთდა.

ალკოპოლით „ახლოლობაში“ შემჩნეულ ეკატყემლაშვილს ამერიკაში ბათუ ქუთელიას ნაცვლად მოუწვენს ელჩად გადაბარგება.

სად მიჰყავთ ბაჩო ახალია? ახალია უშიშროების საბჭოს მდივანი გახდება. თავდაცვის სამინისტრო ხომ „ააყვავა“, ახლა ქვეყნის უსაფრთხოებაზე „ზრუნვას“ შეაღებს თავის ძალებს.

მაისში თბილისის მერის არჩევნება. ხელისუფლების კანდიდატად ისევ გიგი უგულავა მოიაზრება. მაგრამ ბოლო პერიოდში, პოლიტიკურ ფორუმებზე ხმები დაიარსა, რომ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს, მალე მთავრობასთან დამშვიდობება მოუწვენს და მის პოსტს სწორედ უგულავა დაიკავებს. რამდენად მართალია ეს, უცნობია, მაგრამ თუკი ხელსუფლება, ოპოზიციის გაჩუქების მიზნით, თბილისის მერის პოსტს მათ გადაულოცავს, არც ეს არის გამორიცხული.

გამოცემა „მონდომ“ კახა ლომიასთან ინტერვიუ დაბეჭდა, სადაც ის ჟურნალისტს, პრეზიდენტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ესაუბრება.

საუბარი „მონდომის“ კორესპონდენტმა ჯონათან ლიტელმა გორში ყოფნის დროს ლომიას ავტომობილში ჩაინერა.

„მოლად განოსანსორებული ადამიანი არ არის (ხელით სასწორს გვიჩვენებს. — ჟურ.). ის არაპროგნოზირებადია, ძალიან ემოციურია“, — წერს „მონდომის“ ჟურნალისტი. კახა ლომია კარგად იცოდა, რომ ამ მანსს ლიტელი ხელდგან არ გაუშვებდა, მაგრამ მაინც ისაუბრა პრეზიდენტის არაადეკვატურობაზე.

ეს საგაზეთო პუბლიკაცია, არ გამოგრიცხავთ, ლომიას „ჩამოლაბორანტების“ მიზეზი რომ გახდეს და, ყველაზე ცოტა, — უმუშევრობის მიზეზიც.

პოლიტიკურ კულუარებში უფრო შორსაც მიდიან და ამბობენ, რომ სააკაშვილს გაზაფხულზე „ხელს დაუქნევენ“.

„მაგის პატრონები ნამეტანი გაბრაზებულნი არიან, ჟვანისა საქმეც ამოტივტივდება და ამა-საც თავი მოძვრებაო“, — ამბობს ერთ-ერთი მომხმარებელი „პოლიტფორუმზე“.

რაც შეეხება ოპოზიციას, როგორც ამბობენ, ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი თბილისის მერის არჩევნებზე არა ირაკლი ალასანი, არამედ ლევან გაჩეჩილაძე იქნება. ალასანი ბოლო დროს თავად საუბრობდა საერთო კანდიდატზე.

აღმოჩნდებიან თუ არა სხვადასხვა მხარეს ალასანი და გაჩეჩილაძე, მალე გაირკვევა. ფაქტი კი ერთია — წინ ძალიან საინტერესო პოლიტიკური გაზაფხული გველის.

საქართველო

საერთო, გაზიარებული თქვენი მოსაზრებები? დაგვიჩვენეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვაკეთებდი. როცა განვაგებდა და სესხი შეაჯამეს, 16 ათასი ლარი გამოვიდა. არ მჯეროდა, რომ ამდენი თანხა უაზროდ წავაგე.

— დღეს როგორ ცხოვრობ, ისევ თამაშობ?

— არა, პოკერ კლუბების გაგონებაც აღარ მინდა. ჩემს უაზრო აზარტს კინაღამ დედამ შეენირა. ყველას ვუჩვენებ, არ ითამაშონ კაზინოებსა და პოკერ კლუბებში. ჯობია, ის ფული რაიმე კარგ საქმეში გამოიყენონ.

— უნივერსიტეტში სწავლა თუ გააგრძელებ?

— კი, გავაგრძელებ, ახლა მეოთხე კურსზე ვარ. სწავლის ასადგენად 3000 ლარი გადავიხადებ. არადა, 4000 ათასად მთლიან ოთხ კურს ვფარავდი. ეს ყველაფერი ჩემი მშობლების დახმარებითა და გვერდში დგომით მოხერხდა. თქვენი გაზიარების საშუალებით, მათ კიდევ ერთხელ ბოდიშს მოვუხდი და სიტყვას ვაძლევ, რომ ისინი ჩემით ისევ იამაყებენ.

აზარტული თამაშებით არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ასაკოვანი ადამიანებიც „ერთობიან“. გურამ გიგინეია 74 წლის პენსიონერია. აზარტულ თამაშებში ის ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან იყო აქტიურად ჩართული და

ეს „ჩვევა“ 74 წლის ასაკშიც ვერ მოიშალა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ დღეს პოკერ კლუბებში მხოლოდ თვეში ერთხელ თამაშობს და ის ერთი დღეც ის დღეა, როცა პენსიას იღებს.

ბურამ მაისურაძე:

— ახალგაზრდობიდან მიყვარს აზარტული თამაშები და ეს „სიყვარული“ სიბერეშიც არ გამწვანდება. ვიცი, რომ ჩემი ხნის კაცი ასეთი უაზრო თამაშებით არ უნდა ერთობოდეს, მაგრამ თავს ვერ ვერებ. მოგეხსენებათ, დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების შესახებ, ზოგჯერ ლუკმა პურის ფულიც არ მაქვს, მაგრამ, როგორც კი პენსიას ვიღებ, გიჟივით პოკერ კლუბში გავრბივარ. მხოლოდ ერთხელ მოვიგე 100 ლარი და ისიც იმავე დღეს წავაგე. ვიცი, რომ ეს ფულის მახეა, მაგრამ თავს ვერ ვანებებ. ხომ იცით, ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო. მაგრამ ახალგაზრდებს მინდა ვთხოვო, არასდროს არ ითამაშონ აზარტული თამაშები, თორემ მთელი ცხოვრება დაიტანჯებიან. აზარტული თამაშებისმოყვარე და ნარკომანი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ალექსანდრე აპოპია

P.S. მიუხედავად იმისა, რომ კაზინოებსა და მის მსგავს სხვა დაწესებულებებში 21 წლამდე პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია, ხშირად შეხვედებით არასრულწლოვანებს. მავანთ შეიძლება ეს პრობლემა მნიშვნელოვნად არ მოეჩვენოთ, მაგრამ ამ მიზეზით ბავშვები სკოლას ხშირად აცდენენ და სათამაშო აპარატებთან ითამაშოს, ქურდობასაც არ თაკილობს. ამიტომ კარგი იქნება, თუ შესაბამისი ორგანოები ამ პრობლემით დაინტერესდებიან, თორემ მალე, ალბათ, ატესტაციების გაცემას კაზინოები და პოკერ კლუბები დაიწყებენ.

სი რომ ვერ გაიტანა, ერთ მეზობელს, რომელიც პატარა, მიშენებულ ოთახში ცხოვრობდა, ფული მისცა და გასვლაზე დაიყოლია.

— მარტო ერთი ოთახი რაში სჭირდება?

— ამ შენაძენით იურიდიულად მოიკიდა ფეხი ჩვენს სახლში. ოთახი 80 ლარად მიაქირავა სამეგრელოდან ჩამოსულ სტუდენტებს.

— რატომ იქცევა ასე ბატონი თორნიკე?

— იცის, რომ სხვა თავშესაფარი არ გვაქვს და, თუ შენობას დაგვინგრევს, იძულებული გავხდებით, ყველაფერზე დავთანხმდეთ.

— თქვენი აზრით, შენობის დანგრევა უნდა?

— დიას, მისთვის ყველაზე ხელსაყრელი სახლის დანგრევაა, მაშინ ნამდვილად ჩალების ფასად შეიძენს პრესტიჟულ ადგილს, რომელიც მილიონები ეღირება. მიხნის მისაღწევად, ბატონმა თორნიკემ, მოზინადრეთა ნაწილს მიუგზავნა ვინმე დავით ჯამბერდი, რომელმაც საექტო ხელშეკრულებები გააფორმა ბინების შესყიდვის თაობაზე და ელოდება, როდის დაცლიან.

— ბატონი თორნიკე თვითონ არ ჩანს?

— არა, იმალება!.. თუ სახლი დაინგრევა, მოზინადრეებს კაპიკსაც არ მისცემს... — როგორ მოახერხებს?

— დაგვექანა, ხელისუფლებას ისეთ კანონს მივაღებინებ, რომ ყველას უფასოდ გაგყრიტ ბინებიდანო. 2007

წელს მოზინადრეებმა ამხანაგობა ჩამოვყალიბეთ და ჩვენი წილი სხვენიც დავიკანონეთ.

— თორნიკე კოპალიშვილი?

— იმ პერიოდში არსად ჩანდა და ამხანაგობის წევრი ვერ ვახდებ. მისმა ნარმომადგენელმა კიდევ რამდენიმე ბინის შესყიდვა მოახერხა და, როცა გაირკვა, რომ სხვენშიც ფული უნდა გადაეხადა, სასამართლოში იჩივლა, სხვენს ყაღალა დაადეთო. პირველმა ინსტანციამ მოპასუხეები არც კი მიგვიწვია პროცესზე, ისე დააკმაყოფილა საჩივრი.

— რამდენი ოჯახი გადაურჩა „კოპალას“?

— სამი... ჩვენი ბინების ხელში ჩაგდებასაც სასამართლოთი აპირებს. სახლის სტრუქტურა კი გრძელდება, რადგანაც მისი დიდი ნაწილი, რომელიც კოპალიშვილს ეკუთვნის, უყურადღებოდ მიტოვებულია. განიდა ანტისანიტარია, დაიბუდეს მორიელებმა და ბაღლინჯოებმა, ბინებში მანანალებიც პოულობენ თავშესაფარს და ეს ყოველივე პრეზიდენტის სასახლიდან ორ ნაბიჯზე ხდება...

გამაგებინეთ, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ?.. განა შეიძლება, კაცმა სახლი დაგინგრიოს იმიტომ, რომ არ გინდა, მუქთად მისცე? დაგინმუნდი, რომ მდიდარი კაცი მართლა ვერ შევა სამოთხეში.

ესაუბრა ნინო გოპიაშვილი

«მე პირადად არაფერი მესმის მათ თამაშის, იმიტომ მოვდივარ, რუსებს რომ ვაბინო «ჩეალები»

20 მარტს საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ეროვნული ნაკრებები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რაგბის საერთაშორისო ფედერაციამ აღნიშნული შეხვედრის ჩატარება ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადაწყვიტა, ამიტომ თამაში ტრაპიზონში გაიმართება. პირობით მასპინძლად თურქეთში ქართველები ითვლებიან. როგორ ემზადებიან ქართველი გულშემატკივრები ამ შეხვედრისთვის და რა „სადამსჯელო ღონისძიებები“ იგეგმება რუსების წინააღმდეგ თურქეთში?

ქართველებისთვის, რუსებთან თამაში რომ ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებს, ეს უცნობი არავისთვის არ არის.

რაგბიში, საქართველო-რუსეთის შეხვედრების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ამკარაა, რომ ფაქტობრივად ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები აღნიშნულ შეხვედრაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უფრო მეტად იქნება მონაწილე, ვიდრე ეს სხვებთან, მაგრამ არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ რუსეთის ნაკრები ნაკლები შემართებით გამოვა მოედანზე. ყველას ახსოვს, ალბათ, წინა დაპირისპირება ამ ორ გუნდს შორის; შეხვედრა მორაგბეთა შორის გამართული მუსტი-კრივის გამო რამდენჯერმე მეჩერდა და ასეთივე შეხლა-შემოსლით დასრულდა.

ამ ჩხუბის ამაზრზეანი კადრები მთელმა მსოფლიოში ნახა — თუ როგორ უსისხლიანებდნენ ერთმანეთს თავ-პირს სპორტსმენები. ამაში საამაყო ვერაფერს ვხედავ, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მორაგბეებისთვის.

ადვილად მოსაგები თამაში არც ერთი გუნდისთვის არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად, როგორც ვთქვი, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ითვლება.

მსოფლიო რაგბის ჩემპიონატზე მოსახვედრად საქართველო ხუთგუნდიან ჯგუფში იბრძვის, 7 თამაშში მომთავსებული 20 ქულით (6 მოგება, 1 ფრე), ქვეჯგუფში, სადაც საქართველოსთან ერთად რუსეთის გარდა, პორტუგალია, ესპანეთი და რუმინეთიც იბრძვის, საქართველოს ნაკრები ლიდერობს. ბორჯღალოსნებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება რუსეთის ნაკრები.

სპორტსმენებზე ამჯერად ვერაფერს გეტყვით (თუმცა მჯერა, რომ სპორტსმენებიც არ დაიმორჩებიან ძალ-ღონეს რევანშისთვის), მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეხვედრას დიდი ამბავი მოჰყვება გულშემატკივართა მხრიდან. ქართველი ქომაგები უკვე ემზადებიან რუსებისთვის „ჯოჯოხეთის“ მოსაწყობად.

თბილისის მთავარ ფორუმში — forum.ge-ზე არ მალავენ, თუ როგორ „იძიებენ შურს“ „რუსის ნაშვებზე“, როგორ გაუერთიანებ

ბენ თავ-ყბას მონინალმდე გუნდის გულშემატკივრებს და ა.შ.

ქომაგები იმ 4 ქართველისთვისაც აპირებენ სამაგიეროს გადახდას, ვინც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებში თამაშობს. აქვე უნდა ვთქვა, რომ არც ერთი ეს ქართველი მორაგბე საქართველოს ნაკრების წევრი არასოდეს ყოფილა და მათ სწორედ რუსეთში მიეცათ თამაშის შანსი.

„აბა, თქვენ იცით, რაც უფრო მეტად აგინებთ სტადიონიდან რუსეთის ნაკრებში მოთამაშე იმ ოთხ ქართველს, მრავალბაში, ქართული საგალობელიც, ერი დაგიფასებთ...“ თანამემამულეთა ხელით რომ მიინაყებიან, ამით მხოლოდ გავერთობი“, — ვკითხულობთ ინტერნეტში.

ნამდვილი გულშემატკივრობა როგორია, ხომ ნარმოდგენიათ? — ბევრი გულშემატკივარი დროებით, მაისურებით, ტრანსფარანტებით, სიმღერითა და შეძახილებით ამხნევენს გუნდს. სამწუხაროდ, ასეთი რამ ვერ შევნიშნე ფორუმზე.

ჩემმა მეგობარმა, რომელიც თბილისის მერიაში მუშაობს, მიიხრა, რომ ბილეთები მერიის თანამშრომლების უმეტესობასა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებს უკვე დაჯავშნული აქვთ და ტრაპიზონში დიდი „სქესობრივი აქტის განალებას“ გეგმავენ რუსი გულშემატკივრების წინააღმდეგ.

ეს არც ფორუმზე დაუმაღავთ თურქეთში ნასვლის მსურველებს და საკმაოდ უცენზუროდაც გამოხატავენ ამას:

— **მითამაშებთან, პირადად მე პრეტენზია არ მაქვს, ყოველთვის კაცურად იქცეოდნენ, არასოდეს არაფერი შეშლიათ. აი, მწვრთნელები, ადმინისტრაცია და ფანები უნდა და... თ გოჭებო!**

— **მოკლე ფრაზები გვიანდა რუსულად, ნერვების მოშლელი...**

— **პატარა სცენარია მოსაფიქრებელი, ცოტა ორგანიზებული სახე რომ ჰქონდეს ობსტრუქციას...**

— **დიდი ტრანსპარანტი გავაკეთო წარწერით — რაგბი ეს მამაკაცების სპორტია, ან რამე ეგეთი...**

— **ჩვენი ბიჭები რუს რაგბისტებს ჩვენ კიდევ**



მოთაყვანებთან, პირადად მე პრეტენზია არ მაქვს, ყოველთვის კაცურად იქცეოდნენ, არასოდეს არაფერი შეშლიათ. აი, მწვრთნელები, ადმინისტრაცია და ფანები უნდა და... თ გოჭებო!

— მათ გულშემატკივარ ტანებს.

— **წინასწარ განწყობილი იმისთვის, რომ მივდივართ ჩვენების მხარდასაჭერად და საჩხუბრად...**

— **მე პირადად არაფერი მესმის მაგ თამაშის, იმიტომ ვაგინო „რეალები“.**

რაგბის მსოფლიო ფედერაციას, ჩემი აზრით, მაყურებლის გარეშე უნდა ჩაეტარებინა რუსეთ-საქართველოს მატჩები, რადგან უსაფრთხოების გარანტიას, თამაშის დროს, ან თამაშის შემდეგ განვითარებული მოვლენებზე თურქეთის პოლიცია ნამდვილად ვერ მოგვეცემს.

ქართველი მორაგბეები ერთხელ უკვე დაზარალებულნი იყვნენ მუსტი-კრივის გამო. დარწმუნებული ვარ, აურზაურის გარეშეც არ გაუჭირდებათ მოგება. მაგრამ ამ მოგებით რუსებს გულს ნამდვილად ვერ დავენევენ, რადგან რაგბის მოყვარულთა აუდიტორია და რაგბის გულშემატკივრების კორპუსი რუსეთში ძალიან მცირეა.

ასე რომ, არც ის არის გამორიცხული, ამ თამაშმა მხოლოდ ქართველი გულშემატკივრების ფონზე ჩაიაროს და „იმედგაცრუებულებიც“ დაბრუნდნენ საქართველოში.

აააა კლდიაშვილი

P.S. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბილეთების გაყიდვით ხელის მოთბობა ქართულმა ტურისტულმა კომპანიებმა უკვე დაიწყეს, ბილეთები სააგენტოებმა უკვე შეიძინეს და მხოლოდ საგზურთან ერთად ყიდიან. როგორც ვთქვით, ბილეთები ქართულმა პოლიტიკელმა უკვე დაჯავშნა და გაინაწილა, რაც იმას ნიშნავს, რომ „უბრალო“ გულშემატკივრებს ამ თამაშის ყურება ტელევიზიით მოუწევთ. რამდენიმე ტურისტულმა კომპანიამ პრესკონფერენციაც მოაწყო და თავიც იმართლა, მაგრამ ეს თავის მართლება, მათი მხრიდან, ეჭვს არ აქარწყლებს.

ჩვენს დროის კასიოპეიდები

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი — ყველაზე ცნობილი კაციქამიას, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ჟან-ბიდელ ბოკასას პერიოდს ახლა სამშობლოში ნოსტალგიით იხსენებენ. ხალხის გენოციდისა და კანიბალიზმის გამო მისთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, ცხადია, არ დაინდებიათ, მაგრამ ამას გაგებით ეკიდებიან: დიახაც, ის ადამიანებს ქამდა, მაგრამ ადამიანებს მაშინაც ხომ სჭირდებოდათ საკვები?

1973 წლის 28 აგვისტოს „არტექსი“ საპატიოსნულად ეგებებოდნენ. „პროგრესული“ აფრიკული ქვეყნის ფერადკანიანი პრეზიდენტი ძალიან გულგრილი კაცი გამოდგა: არტექსელებთან ერთად მზიარულობდა, მშობლიურ სიმღერებს მღეროდა და გოგობიჭებს აფრიკული ლექსიც კი შეასწავლა. **პრეზიდენტი პალსტუხითა და „საპატიო არტექსის“ ნოდებით დააძაქეს.** ცერემონიის შემდეგ აღელვებულმა აფრიკელმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ძალიან მოეწონა ბანაკი და საყვარელი საბჭოთა ბავშვები. **სტუმარს ჟან-ბიდელ ბოკასა ერქვა და ძალიან უყვარდა ბავშვები: სახლში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, სადილად სწირად მართმევდნენ ხოლმე ბავშვებს...**

მტრის გული

„ის აფრიკაში დარბის და ბავშვებს ქამს,“ — წერდა 1925 წელს კორნეი ჩუკოვსკი ავსა და საბავლე ყაჩაღ ბარმალეიზე. მაშინ ჩუკოვსკიმ არ იცოდა, რომ სწორედ იმ დროს აფრიკაში, უბანგუი-ჩარლის ფრანგულ კოლონიაში იზრდებოდა ბიჭი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ცნობილი კანიბალი გახდებოდა. ჟან-ბიდელ ბოკასა სოფლის მამასახლისის ოჯახში დაიბადა. 6 წლისას მამა მოუკვდა. მშობლები დედას 12 შვილის გაზრდა მოუხდა. 19 წლის ქაბუკმა გადაწყვიტა, დიდება და სიმდიდრე სამხედრო კარიერით მოეპოვებინა. იგი საფრანგეთის არმიის მიიღეს და მეორე მსოფლიო ომის დროს სერჯანტის ჩინიც უბოძეს. არმია, რომელმაც ბოკასა ხალხის მიიღო, მოგვიანებით შეეცადა, უხმად მოეშორებინა ვიეტნამში ჩადენილი ამგვარი „გმირების“ შემდეგ: ერთ-ერთი რეიდისას მამაცი სერჯანტი ჯუნგლებში დაიკარგა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ ოცულმა, რომელიც ტყეს ჩხრეკდა, კოცონის კვამლი შენიშნა — შამფურზე ხორცი იბრანებოდა, გვერდით კი ვიეტნამელი პარტიზანის დანანევრებული გვამი ეგდა. ბოკასას განმარტებით, მან მტრის გულ-ღვიძლი იმიტომ შეჭამა, რომ „სხვისი სიამავე“ შემპატებოდა. გადამდგარი სერჯანტი სამშობლოში დაბრუნდა, რომელსაც იმხანად უკვე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა ეწოდებოდა და დამოუკიდებლობაც მოეპოვებინა, პრეზიდენტის პოსტი კი ჟან-ბიდელის დისშვილს — დევიდ დაკოს ეკავა. ნათესავმა და-უყოვნებლივ უბოძა ბიძას პოლკოვნიკის ჩინი და გენე-

რალური შტაბის უფროსადც დანიშნა. ეს 1963 წელს მოხდა.

შტაბიდან ტასტამად

დაკოს პრეზიდენტობის პირველივე წელს ზაირის საზღვართან ანტიამთავრობო აჯანყებამ იფეთქა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ ჩახშვდა. დევიდ დაკო ამ დროს ევროპაში მოგზაურობდა და „ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის“ კრედიტების გამოყოფას ითხოვდა. ფულს აძლევდნენ — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ხომ აღმასვებისა და ურანის საბადოები იყო, მაგრამ კრედიტების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა ინგრეოდა. სამაგიეროდ, პარლამენტის წევრები, მინისტრები და თავად პრეზიდენტი მდიდრდებოდნენ. ბოკასას არ მოსწონდა ნათესავის მმართველობის სტილი და, როგორც ჩანს, სხვების მხრიდან მის ხმამაღალ კრიტიკასაც ხელს არ უშლიდა. 1965 წლის დასაწყისში პრეზიდენტმა ბოკასას საფრანგეთში გამგზავრება და იქაური სამხედროების გამოცდილების შესწავლა უბრძანა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ დაკოს ბიძამისის თავიდან მოშორება სურდა, რადგან ბოკასას ქვეყანაში უკვე „სამშობლოს მხსნელად“ მიიჩნევდნენ. 9 თვის შემდეგ პოლკოვნიკი საკმარისად განათლებულად ცნეს იმისთვის, რომ სამშობლოში დაებრუნებინათ და... ორი კვირის შემდეგ დაეპატიმრებინათ. კონკრეტული ბრალეულობები მისთვის არ წაუყენებიათ — უბრალოდ, სასიკვდილო განაჩენი წაუკითხეს. განაჩენის აღსრულებამდე ერთი დღით ადრე ბოკასამ თავი გადაიპარსა და საკვების მიღებაზე უარი თქვა; გადაწყვიტა, სიკვდილს ისე შეხვედროდა, როგორც ეს მისი ტომის მამაკაცს შეეფერებოდა.

ბოკასას დასჯა ვერ მოახერხეს: მისმა მეგობარმა სამხედროებმა აჯანყება მოაწყვეს და საათ-ნახევარში ჯარებმა ქვეყნის დედაქალაქი აიღეს. ჟან-ბიდელი ციხიდან გამორი გამოვიდა და პრეზიდენტიც გახდა. **სწორედ ეს ებიზოდი წარმოაჩენს თვალსაჩინოდ, თუ რატომ უსწორდებოდა ქვეყნის სათავეში მოსული ბოკასა მტრებს და-უყოვნებლივ და ზოგჯერ — საკუთარი ხელითაც.** 70-იანი წლების ფოტოსურათებზე ბოკასა ყოველთვის ებონის ხისა და სპილოს ძვლის ხელჯოხით არის გამოსახული. **ამ ხელჯოხის ბუნიკის ის პოლიტიკური ოპონენტებს თვალში ასობდა და ისე კლავდა.**



ლიტატორ ბოკასას კორონაციის შემდეგ 50 პატივარი დაკოს და შეჭამეს

1976 წელს ბოკასამ თავისთვის ახალი ტიტული მოიგონა: „ნაციონალურ პოლიტიკურ პარტია „მესანში“ გაერთიანებული ცენტრალური აფრიკის მოსახლეობის ნეობოლოგიური ცენტრალური აფრიკის პრეზიდენტი.“ ახლგამომცხვარი იმპერატორის კორონაცია დიდი ზარზედით გაიმართა: საფრანგეთში ჩამოიტანეს 7 ტონა ყვავილი, 5200 ლივრია, კარდენთან შეკერილი 600 ფრაკი და სმოკინგი, 25 ათასი ბოთლი ბურგუნდიული ღვინო, 40 ათასი ბოთლი შამპანური, ვერცხლის 10 ათასი სასადილო სერვიზი. იმპერატორის გვირგვინი პარიზელმა იუველიერმა კლოდ ბერტრანმა დაამზადა. გვირგვინი ძვირფასი ქვებით, მთლიან 58-კარატიანი ბრილიანტით იყო შემკული. ბოკასამ კორონაციაზე რამდენიმე ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი და რომის პაპი მიიწვია.

„დაშაქრული ღორის სორცი“

კორონაციის დღესასწაულს დედაქალაქის საყრობულად 50 პატივარიც ესწრებოდა — ისინი, ვინც ამათუ იმ მიზეზით, იმპერატორის რისხვა გამოიწვია. მათ გასაცრად კარგად ექცეოდნენ: ნოყვრად აჭამეს, დიდხანს ასეირნეს, შემდეგ კი... სამზარეულოსკენ წაასხეს, სადაც საქონელივით დაკლეს და განსაკუთრებულ ხორციან კერძებად სუფრაზე მიიტანეს... იმ დროისთვის იმპერატორის გასტრონომიული მისწრაფებები საიდუმლოს, ალბათ, მხოლოდ სტუმრებისთვის წარმოადგენდა. იმხანად კაციქამიობა ქვეყანაში მოდურად იქცა. ამიტომ ღამდამობით ადამიანების, განსაკუთრებით, ქალიშვილებისა და ბავშვების გაუჩინარება ალარავის უკვირდა. თუმცა ბოკასასთან დაახლოებულ პირებსაც ემუქრებოდათ სუფრაზე კერძის სახით აღმოჩენა. მა-

გალითად, იმპერატორის ბრძანებით, ერთ-ერთი მინისტრი მას სადილად მიაართვეს, ხოლო მეორე შებრაწეს და გულ-მუცელი ბრინჯით ამოუტენეს, რის შემდეგაც მათი ოჯახის წევრები სუფრასთან მიიწვიეს...

ბოკასას დამხობის შემდეგ მისი მზარეული ფილიპ ლენგისი იმ „განსაკუთრებულ კერძზე“ ალაპარაკდა, რომლებსაც იმპერატორის ბრძანებით ამზადებდა. თავად ჟან-ბიდელი ადამიანის ხორცს „დაშაქრულ ღორის ხორცს“ უწოდებდა. მგზავრობისას კი მუდამ საგზლად მიჰქონდა დაკონსერვებული ხორცი — მისმა მზარეულმა გამოიგონა მეთოდი, რომლის წყალობითაც ბოკასას საყვარელი კერძი რამდენიმე თვის განმავლობაში არ ფუჭდებოდა.

გამონაკლისს არც სსრკ-ში მგზავრობა წარმოადგენდა — ბოკასა იქაც თავისი სხვათაშორის, საბჭოთა კავშირში მას განსაკუთრებით მოეწონა ბრუნველის მიერ შემოღებული ძმური კონცის რიტუალი. სამშობლოში დაბრუნებულმა ბოკასამ ყველა მინისტრი ჩაკოცნა. მისი აზრით,

ერებს სამზარეულოსთან მიახლოება კატეგორიულად ეკრძალებოდათ. ბოკასას თქმით, ბავშვებისთვის ადამიანის ხორცი მავნე იყო...

იმპერატორის ჩამოგდების შემდეგ მისი რამდენიმე შვილი ქვეყანაში დარჩა. ერთმა მათგანმა მეზოვედ დაიწყო მუშაობა, მეორემ სამრეცხაო გახსნა. ორი შვილი ევროპაში გადასახლდა და საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტმა და ყოფილმა პრინცმა ანტუან ჟან-ბიდელ ბოკასამ კი მრავლისმნახველი ფრანგი პოლიციელებიც გააკვირვა. 80-იანი წლების დასაწყისში პოლიციამ მის ბინაში ქალის სხეულის ნაწილები გამოქვდილი მაცივარი, ხოლო საწოლის ქვეშ 6 თავის ქალა აღმოაჩინა.

გაცრეცილი-უნდირიანი მოსუცი

1979 წელი ჟან-ბიდელ ბოკასას ეპოქის დასასრულად იქცა. მან სასკოლო ფორმების ტარების შესახებ ბრძანება გამოსცა. არადა, უმეტესი ოჯახისთვის ეს ფუფუნება იყო. ქუჩები აღმოებოდა მისწავლებითა და სტუდენტებით გაივსო, აღიშრთა ბარიკადები, პრეზიდენტის რეზიდენციაზე რამდენჯერმე იერიშიც მიიტანეს. ბოკასამაც მკაცრი ზომები მიიღო. მისი ბრძანებით ჯარისკაცები ქუჩებში ატყვევებდნენ ბავშვებს, მოზარეებს, სტუდენტებს და სატუსალოებში ყრიდნენ. იმპერატორი მათ სამაგალითოდ თავად სჯიდა — საკუთარი ხელით ასზე მეტი ბავშვი გამოასალმა სიცოცხლეს. მათ გვამებს მდინარეში ყრიდნენ.

ელიტური ფრანგული სპეცნაზი დედაქალაქში 1979 წლის 21 სექტემბრის ღამეს შევიდა. ბოკასა იმ დროს ოფიციალურ ვიზიტად ლიბიაში იმყოფებოდა. პრეზიდენტის პოსტი კვლავ დევიდ დაკომ დაიკავა, ხოლო ყოფილ იმპერატორს ქვეყნის დატოვება მოუხდა. 7 წლის შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნებას შეეცადა, სადაც უკვე მზა სასიკვდილო განაჩენი ელოდა გენოციდისა და კანიბალიზმისთვის. თუმცა სიკვდილით დასჯა მას სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს...

1993 წელს კი ბოკასა გაათავისუფლეს. ქვეყანაში და მარშალის გაცრეცილ-მუნდირიანი მოხუცი ჩინოვნიკთა კაბინეტებს სტუმრობდა და ყველას უამბობდა, როგორ უსამართლოდ ჩამოაგდეს ტახტიდან და გაასამართლეს.

იმ დროისთვის კორუფციასა და სიღალბეში ჩაფლული ქვეყანა ნოსტალგიით იხსენებდა ბოკასას რკინის ხელს. ვეგეტარიანულად ქცეული ბოკასა კი კვლავ ქვეყნის სათავეში მოსვლას იმედოვნებდა, ის კი არა, უახლოეს არჩევნებში თავისი კანდიდატურაც წამოაყენა, მაგრამ იქამდე ვერ იცოცხლა. ის 1996 წლის ნოემბერში გარდაიცვალა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგვიში. **ბოლო გზაზე კაციქამია იმპერატორი 30 ათასზე მეტმა კაცმა გააცილა!**

მოამზადა ნანა ჩარკვიანმა

არის თუ არა ბოტულოტოქსინი გაახალგაზრდავების საუკეთესო მეთოდი



ევროპის ესთეტიკური მედიცინის ახლახან ჩატარებულ კონგრესზე დიდი ყურადღება დაეთმო ბოტულოტოქსინით სახის გაახალგაზრდავების მეთოდს. პლასტიკურმა ქირურგებმა იქვე წარმოადგინეს მეთოდის დემონსტრირება, რათა ყველასათვის თვალნათელი გამხდარიყო შედეგის ეფექტი.

თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე კოსმეტოლოგიაში დღეს ბოტულოტოქსინის ერა დაიწყო, იმასაც დავამატებდით, რომ ქალბატონების უმეტესობა, სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით გახდა ესოდენ მშვენიერი. ყოველივე ამის შემდეგ, ბოტულოტოქსინზე გავრცელებული უარყოფითი აზრი გამახსენდა, რომელიც საკმაოდ კომპეტენტური ადამიანებისაგან წამოვიდა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. არგუმენტები არცთუ უსაფუძვლოა. ჩნდება კითხვა, შეიძლება ბოტულოტოქსინმა მონამველა გამოიწვიოს? შეიძლება, იმიტომ, რომ ის ბუნებრივი სანამლაგია, თუმცა მის ფუძეზე მზადდება ბევრი კარგი და საჭირო პრე-

პარატი, რომლებიც კოსმეტოლოგიაში და ნევროლოგიაში გამოიყენება. კოსმეტოლოგიაში ბოტულოტოქსინი ნევროლოგიაშიდან შემოვიდა, როდესაც ის ექიმებმა პაციენტს კუნთში ნერვული „ტიკის“ მოსახსნელად გაუკეთეს, შენიშნეს, რომ მიმიკური ნაოჭი ქრებოდა. აქედან გამომდინარე, ამის შემდეგ ის ესთეტიკურ მედიცინაში გამოიყენეს ნაოჭების მოსაცილებლად. ბოტულოტოქსინი არ არის კოსმეტიკური საშუალება! ის კანზე არ მოქმედებს, არც მის სტრუქტურას აუმჯობესებს, ის მოქმედებს ნერვზე, რომელიც არ აძლევს კუნთს მოძრაობის საშუალებას. ჩნდება ასევე კითხვა, ნამლავს თუ არა ბოტულოტოქსინი ადამიანს? იმისათვის, რომ

ადამიანი ბოტულოტოქსინით მოინამლოს, აუცილებელია, მას გადაეხსას რამდენიმე ფლაკონი პრეპარატი ვენაში! კოსმეტოლოგი კი ერთ სეანსზე მხოლოდ მეოთხედ ფლაკონს იყენებს და არა ვენაში! ხშირად თვლიან, რომ ბოტულოტოქსინის ინექციებით სახის დაჭიმვის შემდეგ ქალები თოჯინებით გამოიყურებიან, მათ მიმიკური გამოხატულება არ გააჩნიათ. ყველაფერი დამოკიდებულია კოსმეტოლოგის ოსტატობა-სა და წამლის დოზაზე. ადრე, როდესაც ეს მეთოდი პირველად შემოვიდა კოსმეტოლოგიაში, პაციენტს უკეთებდნენ წამლის დიდ დოზას, რაც მასზე უარყოფითად მოქმედებდა. ამ მეთოდის გამო იმ წლებში პირველად ჰოლივუდი დაზარალდა! რეჟისორები ამტკიცებდნენ, რომ ბოტულოტოქსინით გალაშქრებულ ქალებში მათ ვეღარ დაინახეს მგრძნობიარე და შთამბეჭდავი გამოხატულება, ხასიათი, გრძობა. დღეს ეს მეთოდი დაიხვეწა და მიდგომა შეიცვალა. კოსმეტოლოგები მხოლოდ ნამლის მცირე დოზას იყენებენ და ადამიანს სპეციალურად უტოვებენ იმ ნაოჭებს, რომლებიც სახეს ინდივიდუალ-



ბოტულოტოქსინის გაკეთება ყველასათვის არ შეიძლება!

განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ამ საქმეს ის ადამიანები, რომელთაც ალერგია აქვთ, უნდა გაითვალისწინონ, რომ მის შემადგენლობაში შედის პრეპარატი ალბუმინი. არ შეიძლება მისი გაკეთება მენსტრუალური ციკლის, პერპეტუალური დროს ან ანტიბიოტიკების მიღებისას. ბოტულოტოქსინის ინექციით შეიძლება მხოლოდ პატარა ნაოჭების მოცილება, დიდ ნაოჭებს ის ვერ უმკლავდება.

საუხილისტის მოსაზრება
ჯეინ ლუის სეპანი, ევროპაში ყველაზე პოპულარული პლასტიკური ქირურგი, პროფესორი:
— ჩემი მოღვაწეობის განმავლობაში ბოტულოტოქსინის ინექციები ათასობით ქალისთვის გამოიყენებოდა, თუმცა უარყოფითი შედეგი არასდროს მქონია. არ შეიძლება არ აღვნიშნო 3 ქალბატონი, რომლებზეც წამალმა არ იმოქმედა. როგორც შემდეგი გამოკვლევებით დადასტურდა, სამივე მათგანს წარსულში გადატანილი ჰქონდა ოჯახური კონსერვითი მონამველა — ბოტულიზმი, ამიტომ ამ პრეპარატის მიმართ იმუნიტეტი ჰქონდათ გამოვლენილი. მიმაჩნია, რომ ნაოჭების გასწორება ყოველთვის და ნებისმიერ შემთხვევაში როდია საჭირო! ასევე მინდა

აღვნიშნო, რომ კოსმეტიკური მალამო „ბოტოქსის ეფექტი“ წმინდა მარკეტინგული მიდგომა და მყიდველის მოტყუებაა, ამის მსგავსი მსოფლიოში ჯერ არაფერი შექმნილა!

სამხედრო მოსამსახურე ქალებს ფსიქიკური დარღვევები აქვთ



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს კვლევებით გამოირკვა, რომ სამხედრო მოსამსახურე ქალთა დიდ ნაწილს ფსიქიკური დარღვევები ორჯერ უფრო მეტად აღენიშნებათ, ვიდრე მათ კოლეგა მამაკაცებს. 2009 წლის ივლისის შემდეგ მათ გამოიკვლიეს 746 ბრიტანელი სამხედრო პირი, რომელთაგან 300 ქალბატონი იყო; აქედან 133-ს სერიოზული დარღვევა აღმოაჩნდა. სამინისტრომ გადაწყვიტა, ამ მიმართულებით სერიოზული კვლევები ანარმოს, რათა პრობლემა უფრო მასშტაბური არ გახდეს.

გვერდი მოაპზადა პიერ კასრელიშვილმა

ასპირინი აუმჯობესებს რევოლუციური კოსმეტიკის ეფექტურობას



ამერიკელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ასპირინის მიღება იმ რევოლუციურ პაციენტში, რომელთაც აქვთ ძუძუს კიბო, აუმჯობესებს მათ სასიცოცხლო მაჩვენებლებს; ასევე, აფერხებს მეტასტაზებისა და რეციდივების შემდგომ განვითარებას. მთავარი ამ კვლევებში ის იყო, რომ ასპირინი ყველასათვის დადებითად მოქმედებდა, მიუხედავად რევოლუციური დაავადების სტადიისა.

როდის გამოვიყენოთ თვალის ლინზა?

თვალის ლინზების მატარებელი ყოველი მესამე ადამიანი დისკომფორტს განიცდის, ყოველ მეხუთეს კი მშრალი თვალის სინდრომი უვითარდება.



ამჟამად ამას ისიც დავამატებ, რომ გავრცელდა აზრი ლინზის გამწმენდი სითხის საშიშროებაზე, რაც ევროპისა და ამერიკის არაერთ კლინიკაში დაფიქსირდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ლინზებს ბევრი ლინზა აქვს. არის ლინზები, რომლებიც დილით ცისფერ ფერს აძლევს თვალს, საღამოს — მწვანეს. ბევრი მეცნიერის მოსაზრებით, ფერად ლინზებს უფერულ ლინზებთან შედარებით მრავალი მინუსი აქვს. კერძოდ, მათ შემაღვლობაშია შემფერავი, რომელსაც თვალის ბროლის დაზიანება შეუძლია. ფერადი ლინზის მუდმივი ხმარება დაუშვებელია! მისი გაკეთება შეიძლება მხოლოდ ფოტოსენსიტივულების ან დღესასწაულის დროს. ბოლო ხანებში მთელ ევროპაში გავრცელდა აზრი ლინზის სანმედი სითხის უფარგისობაზე. სამწუხაროდ, პრობლემა მასში კი არა, ლინზასთან დამოკიდებულებაშია, იმაში, რომ მას არასწორად მოიხმარენ! კერძოდ, ატარებენ უფრო დიდხანს, ვიდრე საჭიროა, იძინებენ ლინზებით, მთელი დღის განმავლობაში არ იხსნიან მათ. ყოველივე ამის შემდეგ კი თვალის სიმშრალე იწყება. თუ დროულად მოხდება სპეციალისტთან კონსულტაცია, ყველა სიმპტომი გაივლის. დასავლეთის სპეციალისტები დღემდე იკვლევენ ლინზის გამწმენდი სითხეს, რომელზეც ამჟამად დიდი ხმაურია ატეხილი, თუმცა მისი უარყოფითი თვისებები ბოლომდე ჯერაც გაურკვეველია. მანამდე კი ლინზების მატარებელ პაციენტებს შეგვიძლია ვურჩიოთ:
1. დაუშვებელია ლინზების ტარება მთელი დღის განმავლობაში; რადგანაც ლინზის გაკეთებით თვალი „არ სუნთქავს“;
2. ყოველდღიურად მათი ტარება შეიძლება მხოლოდ 10-12 საათის განმავლობაში, დანარჩენ დროს კი იხმარეთ სათვალე;
3. ლინზების ტარება შეიძლება სპორტული დატვირთვისას, სადღესასწაულო დღეებში — ისიც მხოლოდ ერთჯერადი ლინზების, რომელთაც არავითარი გამწმენდი სითხე არ ესაჭიროება და თვალში ბაქტერიის ან ვირუსის მოხვედრის შანსი მინიმალურია;
4. ძილის წინ აუცილებელია ნებისმიერი ლინზის მოხსნა;
5. დაუშვებელია ლინზით კომპიუტერთან მუშაობა, ამ დროს უპრიანია სათვალის გამოყენება; ყოველი 1 საათის შემდეგ კი ადექით მონიტორიდან და შეისვენეთ;
6. თვალის სიმშრალის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად თან იქონიეთ სპეციალური თვალის პრეპარატები — ბლევფაროლისონი ან ბლევფაროგელი.


ქვირის კლენდარი

25 თებერვალიდან 2 მარტი

12/25 — ხუთშაბათი. ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული; წმ. პაროხორე ქართველისა (XI); წმ. ლუკა იერუსალიმელისა (1277); მონ. ნიკოლოზ დელისა (1314) და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებულთა ყოველთა მონაშეთა და ღირსთა მამათა (IV—XVIII); წმ. მელეტიუს ანტიოქიის მთავარეპისკოპოსისა (381).
14/27 — დიდმარხვის მე-2 შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. ღირსისა მღვდელმონაშეთი ილარიონ ქართველისა, ახლისა (ყანჩაველი 1864).
15/28 — დიდმარხვის მე-2 კვირა. წმ. გრიგოლ პალამასი, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა (1360); წმ. მამათა კიევეში დაჯანტებულია.
17/2 — სამშაბათი ღირ. მონ. თევდორე აჭარელისა, მღვდელმონაზონისა, ოსმალთაგან წამებულია (XIX); დიდმონაშეთი თეოდორე ტირონისა (306).

გვფელაქონაქი თეოდორე აჭარელი

თევდორე აჭარელი ეკუთვნის საქართველოს უძველესი კუთხის, აჭარის მკვიდრთა იმ მრავალათასიან წმინდანთა დასს, რომელნიც ქრისტიანობისთვის ოსმალთაგან ეწამნენ.



XVII ს-ის 70-იან წლებში ოსმალებმა თითქმის დაასრულეს აჭარის გამაჰმადიანების პროცესი და საქართველოს ამ უძველესი კუთხიდან იმ ოჯახების გადასახლება დაიწყო, რომლებიც მიუხედავად მუსლიმანური სარწმუნოების გარეგნული აღიარებისა, მაინც საეჭვოდ ითვლებოდნენ დამპყრობლების თვალში. ზოგიც თავად ტოვებდა მშობლიური კუთხეს და სულის გადარჩენის მიზნით უცხოობაში ცხოვრებას არჩევდა. ამ პერიოდში ერთერთ ასეთ ოჯახში დაიბადა წმიდა თევდორეც. ის თვალნათლივ ხედავდა ძალად გამაჰმადიანებული ქართველების ფარული ქრისტიანული ცხოვრების წესს. წმიდანის ცხოვრებიდან არ ჩანს, თუ რა მიზეზით აღმოჩნდა მათი ოჯახი ტრაპიზონში ან რამდენი ხანი იცხოვრეს სამშობლოდან შორს, მაგრამ ცნობილია, რომ მან უარი თქვა მუსლიმანობაზე, მიიღო ქრისტიანობა და, რადგანაც ეს ძალიან საშიში იყო, თავი შეაფარა ქალაქ სმირნაში (იზმირი) არსებულ ერთ-ერთ ქართულ მონასტერს. იქვე აღიკვეცა ბერად და ძმისშვილიც გააქრისტიანა. სულ მალე წმიდა თევდორე ამ მონასტრის პროიდუმენიც გახდა.

1882 წელს წმიდა თევდორემ ათონში ქართველთა მონასტერში წასვლა გადაწყვიტა. როგორც ცნობილია, ამ დროისთვის ოსმალეთი ცდილობდა ბერძენთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი გამოსვლები სისხლში ჩაეხშო. ოსმალთა ჯარებით გარემორტყმული იყო ათონის წმიდა მთაც. სწორედ მათ შეიპყრეს ათონისკენ მიმავალი ბერი და მოკლეს, მონაშის გვამი კი ზღვაში გადააგდეს.

„ყველა ეცემა, როდესაც მას უფალი არ განამტკიცებს — ღვთის შეწვევის გარეშე დგომა არ შეგვიძლია“.

წმ. იოანე ოძროპირი

„გსურს პირველობა? — ის ჯერ სხვას დაუთმე“.
წმ. იოანე ოძროპირი

„წარმოგიდგინე, რომ ვილაც მეფის წინაშე წარსდგება და ესაუბრება მას, მაგრამ მონის ძახილზე ტოვებს მეფეს და მასთან იწყებს საუბარს; ასეთია ისიც, ვინც საუბრობს და დაბნეული ხდება ღვთისმსახურობის დროს“.

წმ. ივრემ ასური

„ვისაც სურს, რომ უფალმა სწრაფად შეისმინოს მისი ლოცვა, მან ყოველი ლოცვისა თვით საკუთარ სულზე ლოცვის, თვით საკუთარ სულზე ლოცვის წინაშე ჯერ საკუთარი მტრებისთვის უნდა ილოცოს; ამის გამო უფალი მის ყოველგვარ ლოცვას შეისმენს“.
წმ. ივრემ ასური

„როგორც ისრაელს არ შეეძლო, მიეღო ალთქმული ქანანის მიწა მანამდე, ვიდრე სხვადასხვა მტერს არ დაამარცხებდა, ასევე მორწმუნე სული საკუთარ თავს არ უნდა შეპირდეს ზეციურ სასუფეველს, ვიდრე არ დაძლევს სხვადასხვა განსაცდელსა და მწუხარებას“.

(2 ტიმ. 2,5)

მამა ღვთისო (შალიკაშვილი):

აღამიანში უფალი სიტყვით უფროდის

სიტყვით შეიქმნა სამყარო. უფალი იესო ქრისტე მისი უახლოესი მონაფის — იოანე მახარებლის მიერ, როგორც განხორციელებული სიტყვა — ლოგოსი, ისე მოიხსენიება სახარებაში (იოანე 1,1-2). უფალი სიტყვით აღადგენდა მიცვალებულებს, ახდენდა სასწაულებს და იმონაფებდა ადამიანებს. სიტყვით გვაქვს ურთიერთობა ღმერთთან, მოყვასთან. სიტყვით შესაძლებელია სიხარულისა და სულის სიმშვიდის მინიჭება. ყველასთვის ცნობილია, ორატორთა მიერ წარმოთქმული სიტყვის ძალმოსილება. უკავშირდება თუ არა მჭერმეტყველება უფლის სიტყვას და რა საცდურში შეიძლება ჩავარდეს ამოღმეტყველი ადამიანი. ამის შესახებ ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა ღვთისო (შალიკაშვილი) გვესაუბრება.



ადამიანი, როდესაც მჭერმეტყველებს უფალს, ბერსა და სწავლას, აიბრუნება იქითსა და მარჯვნივ: „უფლო, დასდევ სასოვი პირს ჩემს და ქარი ქელი — ბავთა ჩემთა.“

— იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „პირველთაგან იყო სიტყვა, სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი.“ აქ სიტყვის ძალაზე მითითებული და მას ღმერთი ფილოსოფიური განმარტება აქვს. იესო ქრისტეს შემდეგ რაც მოხდა, ყველაფერი სიტყვით განხორციელდა. ჩვენ სიტყვით ვადიდებთ ღმერთს, სიტყვით მივმარჯვრობთ და ვკლავთ ადამიანებს, რასაც მორალური სიკვდილი ეწოდება და, ზოგიერთ შემთხვევაში (მხედველობაში მყავს ათეისტები და უმეცრები), სიტყვითვე ვგმობთ ღმერთს. სატყვის ძალა დიდია. რომ არ ყოფილიყო სიტყვა, არ იქნებოდა სამყარო. მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის შემდეგ, უფალმა მათ უთხრა: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი, ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით რაოდენი გარქუთ თქვენ. პაესერა მე თქუენთან ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“, ანუ რას ეუბნება უფალი მათ: თუ თქვენ უფლის შესახებ ასწავლით, ღვთის სიტყვას გაავრცელებთ, მაშინ სოფლის აღსასრულამდე მე თქვენთან ვიქნები. თავად მოციქულები მაცხოვარმა სიტყვით დაიმორჩილა. სიტყვით შედის უფალი ადამიანში. ერთ-ერთი წმინდა მამა ამბობს, რომ მოძღვრის პირველი და მთავარი მოვალეობა ქადაგება — სიტყვა არის. სიტყვით უნდა დავიმონაფოთ და დავიმორჩილოთ ადამიანები, ქრისტეს რჯულზე, ქრისტეს მცნებაზე მოვაქციოთ.

— **უფლის სიტყვას ხომ არ დაუკავშირებთ მჭერმეტყველებას?**
— არა. მჭერმეტყველება სულ სხვა რამეა.
— **რატომ, წინა საუკუნეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რიტორიკას და სპეციული სკოლებიც კი იყო განსწავლული, სადაც მჭერმეტყველებას ასწავლიდნენ?**
— მჭერმეტყველება, როცა ადამიანი აზროვნებს და

ლაპარაკობს კარგად, თუმცა რიტორიკა შორს დგას უფლის სიტყვისგან. გიორგი მერჩულე წერს: „ბრძანდემეტყველება ვერცხლია, დემოლი ოქროი რჩეული.“ ადამიანი, რომელსაც მჭერმეტყველება ემარჯვება, ბევრსაც სცოდნავს, ამიტომ იკითხება მარხვაში: „უფალო, დასდევ საცოვი პირს ჩემსა და ქარი ქელი ბავთა ჩემთა.“
— **ძველ აღთქმაში წერია, რომ ღმერთმა ადამიანი ხატად და მსგავსად თვისად შექმნა. იოანეს სახარების მიხედვით კი, ღმერთი სიტყვაა. მამაო, ადამიანის მსგავსება უფალთან სწორედ სიტყვაში ხომ არ გამოიხატება?**
— ღმერთმა ადამიანი ხატად და სახად თვისად შექმნა. უფალში ორი — კაცობრივი და ღვთაებრივი ბუნებაა გაერთიანებული და, მართლაც რომ დაეუკვირდეთ, მან ადამიანი ზუსტად ისეთი შექმნა, როგორც თავადაა.

უფალს არ გავს, ყველას ვისი საქმიანობა არ მოგონება, მიხვიდა და შენიშვნა მისცა.

კაცობრივი რაც ჰქონდა, ყველაფერი მისცა თავის ქმნილებას, მასში ჩადო უმაღლესი გონება, ლოგოსი, რომელიც სხვა ცოცხალი არსებებისთვის არ მიუნიჭებია. ადამიანი თავისი კაცობრივი ბუნებით თუ ისე იცხოვრებდა, როგორც ამას სახარება გვასწავლის, ღმერთი ვერ გახდებოდა, თუმცა მიემსგავსებოდა მას. წმინდა მამები წერდნენ, რომ ღვთის სიყვარული მის მიზანში გამოიხატება. ამ ცოდვილ მონაშეთ უფალმა იცხოვრა და მისი ცხოვრება იოლი არ ყოფილა.

ჩვენ ვიცით მისი ბავშობა, დევნა, წამება, სოლომონის ტაძარი, ზურგზე აკიდებული ჯვარი, ძველი იერუსალიმი, გოლგოთა, მაგრამ იქ არ დამთავრდა ყველაფერი. გოლგოთის შემდეგ ბრწყინვალე აღდგომა და ამაღლება იყო.
— **წმინდა მამები ღვთისმეტყველებაში ფილოსოფიის გამოყენებას ცდილობდნენ. რატომ დაშორდა ფილოსოფია და რელიგია ერთმანეთს?**
— ფილოსოფიის დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ღვთისმეტყველებაში მას ვერ დაეყრდნობი. არ არსებობს ორი ფილოსოფოსი, რომელიც ღვთისმეტყველებას ერთნაირად უდგებოდეს. ყველას სხვადასხვა აზრი აქვს, სხვადასხვანაირად ხსნის უფლის არსებობას, რაც აბნევს ადამიანს. ფილოსოფია დიდი მნიშვნელობაა, თუმცა, როცა ღმერთთან გვაქვს საქმე, აუცილებლად თეოლოგიიდან უნდა გამოვიდეთ.

და მამა წერდა, რომ ენას ორი ღობე აქვს: ერთი — კბილები, მეორე — ტუჩები და ადამიანები მაინც ვერ აწუმებენო. როცა საუბრის სურვილი მოგვივლის, ყოველთვის ეფრემ ასურის ლოცვა უნდა გავისწინოთ — „შე უფალო, მომანიჭე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა.“ ამ ლოცვაში კარგად არის ჩამოყალიბებული საკუთარი ცოდვის შეგრძნება, სინანული. „სულსა უქმობისასა, მიმომწვლილ ველო ბისასა, მთავრობის მოყვარეობისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე. ხოლო სული სინიშნისა სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა.“ მოთმინება, სიყვარული და სიმდაბლე სჭირდება ადამიანს, რათა დიდი მარხვა სინანულში გაატაროს.
— **როდესაც გვხვდება გენკითხვა მხილებისგან?**
— დიდი განსხვავებაა მხილებასა და განკითხვას შორის. როცა მოყვასის ესა თუ ის საქციელი არ მოგწონს და ამაზე მივუთითებთ, ეს მხილებაა, მაგრამ, თუ ამ ადამიანის პირსუკან ვლაპარაკობთ და მის საქმეებს განვაქიქებთ, ეს უკვე განკითხვაა, რაც თავისთავად ცოდვაა. უფალი გვეუბნება, ნუ განიკითხავ, თუ გინდა, რომ არ განიკითხო. საერთოდ ჯობია მხილებისგანაც თავი შეიკავო, რადგან ყოველთვის როდი ხარ დარწმუნებული შენს სიმართლეში. შესაბამისად, უფლება არ გაქვს, ყველას, ვისი საქციელიც არ მოგწონება, მიხვიდე და შენიშვნა მისცე.
— **მამაო, გთხოვთ, დალოცოთ ჩვენი გაზეთი.**
— ღმერთმა დაგლოცოთ, სიკეთე და სიხარული მოგცეთ! შევთხოვ უფალს, მუდამ სიმართლეს ემსახუროთ!

საჭიროა თუ არა ეკლესიაში სიარული

სამწუხაროდ, თანამედროვე ადამიანთა დამოკიდებულება ეკლესიური ცხოვრებისადმი არაერთგვაროვანია. ბევრი მათგანი გულითა და გონებით გრძნობს ღმერთის არსებობას, სწამს მისი.

შეძლებისდაგვარად იმასაც აცნობიერებს, რომ თვითონაც მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნის და სურვილი უჩნდება, იაროს ტაძარში, მაგრამ აქ პირველ ძნელად დასაძლევ პრობლემად იქცევა ხოლმე გაეკლესიურების საკითხი, ანუ ეკლესიის სრულფასოვან და სრულფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები.


ეს პრობლემა ბევრისთვის ძალიან სერიოზულია, რადგანაც ტაძარში შესულ ადამიანს თითქოს ამინებს მისთვის ახალი და გაუგებარი სამყარო — ღვთისმსახურთა სამოსი, ხატები, კანდელები, ლოცვა-გალობა ნაკლებად გასაგებ ენაზე, რაც ეკლესიაში ახალმოსულს აფრთხობს და მის არსებობაში ერთგვარ გაუცხოებას იწვევს და ფიქრობს: საჭირო კია ტაძარში სიარული უფალთან დასაკავშირებლად?

ბევრი თვლის, რომ მთავარია, ადამიანის სულში იყოს ღმერთი, ეკლესიაში სიარული მისთვის ახალი და გაუგებარი სამყარო — ღვთისმსახურთა სამოსი, ხატები, კანდელები, ლოცვა-გალობა ნაკლებად გასაგებ ენაზე, რაც ეკლესიაში ახალმოსულს აფრთხობს და მის არსებობაში ერთგვარ გაუცხოებას იწვევს და ფიქრობს: საჭირო კია ტაძარში სიარული უფალთან დასაკავშირებლად?

ბევრი თვლის, რომ მთავარია, ადამიანის სულში იყოს ღმერთი, ეკლესიაში სიარული მისთვის ახალი და გაუგებარი სამყარო — ღვთისმსახურთა სამოსი, ხატები, კანდელები, ლოცვა-გალობა ნაკლებად გასაგებ ენაზე, რაც ეკლესიაში ახალმოსულს აფრთხობს და მის არსებობაში ერთგვარ გაუცხოებას იწვევს და ფიქრობს: საჭირო კია ტაძარში სიარული უფალთან დასაკავშირებლად?



კი სულაც არ არის აუცილებელი. ეს აზრი ძირშივე მცდარია. მსგავსი კითხვები ანუ-სხვებზე ადამიანს, რომელიც ეკლესიის ღია კართან დგას და შესვლა ვერ გადაუწყვეტია, მაგრამ, როცა გაიგებს, რას ემსახურება ტაძარი, რისთვის არსებობს, რატომაც აუცილებელი მისი შუამდგომლობა ღმერთთან, აზრს შეიცვლის და ეკლესიური გახდება.



რა არის მრწამსი

ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოა მრწამსი, რომელიც ნებისმიერმა მორწმუნემ „მამაო ჩვენო“-სავე უნდა იცოდეს: „მამაო ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მამყობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისაი, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდობილი მამისაგან, შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ქვემარტივ, ღმერთისაგან ქვემარტივისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომელი-

სა მიერ ყოველივე შეიქმნა, რომელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდმოხდა ზეცით და ხორცილი შეისნა სულისაგან წმიდისა და მარიამისა ქალწულისა და განკაცდა, და ჯვარს ეცვა ჩვენთვისა პონტოელისა პილატეს ძე და ივნო და დაიფულა და აღსდგა მერმესა დღესა მსგავსად წერილისა, და ამდღა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა, და კვლავად მოვალს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფივისა არა არს დასასრულ, და სული წმი-

და, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თავანის-იციების და იდიდების, რომელ იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ, და ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. ვაღიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატყვევებლად ცოდვათა, მოველი აღდგომისა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესა, ამინ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ! ან და მარადის და უკუნიით უკუნი-სამდე, ამინ!“

ირინა კვარიაშვილი:

სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ მკითხავებში სიარული სოფლად

მკითხავებში სიარული ირინა კვარიაშვილის „ჰობი“ იყო. ვინც კი ამ ქალაქში მარჩიელობს, თითქმის ყველასთანაა ნამყოფი. სამწუხაროდ, გვიან მიხვდა, რომ ზოგიერთებისთვის მომავლის წინასწარმეტყველება ბიზნესია. ერთმა ვინათელმხილველმა, ფულის გამოძალვის მიზნით, ისეთი რამ უთხრა, კინაღამ ქმარს გააშორა და 10 წლის ოჯახი დაანგრევინა.




მოვაბეზრე, სხვა მკითხავებთან დაინწყე სიარული. — რა გაინტერესებდათ? — სანამ გავთხოვდებოდი, მაინტერესებდა, ვის გავყვევდი, ხომ იცი, წელს უტყბო ვნათა ინსტიტუტში აბარებენ და გვაინტერესებს, მოხვდებიან თუ არაო. — რა გითხრათ ნაზის მეზობელმა? — დეიდა ნონამ ყავის ჭიქაში ჩაგვიხედა და გვითხრა, არ ინერვიულო, ორივენი მოხვდებით, ერთ ჯგუფში ისწავლოთო. — აგინდათ ქალბატონი ნონას ნათქვამი? — დიახ, იმ წელსვე ჩავაბარეთ ინსტიტუტში, ოლონდ გამოსახული ფიგურების მნიშვნელობის ასხნა და გადანივითა, ცოდნა პრაქტიკაში გამოეყენებინა. ასე და-

დაგეგმრეს, უნდა იმოქმედო.

— მართლა გლალატობდათ მეუღლეს?

— არა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მლაღატობდა. ყველაზე და ყველაფერზე ვეჭვიანობდი, სცენებს ვუმართავდი, მოკლედ, საშინლად ვექცეოდი. რამდენჯერაც დააგვიანებდა ან ნასვამი მოვიდოდა, ისეთ დღეში ვაგდებდი, რომ მართლა ნავიდა სახლიდან. ნათელმხილველთან ატირებული მივედი, თქვენი ნათქვამი ამინდა, ქმარმა მიმატოვა-მეთქი. ნუ გეშინია, იმოქმედე და დაგაბრუნებო. თავდაპირველად ვერ მივუხვდი, რა უნდა მექნა, „წინასწარმეტყველება“ ზოგიერთებისთვის ბიზნესი თუ იყო, არ ვიცოდი... 1000 დოლარის საფასურად რაღაც იმჩიბავა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯადო გამაკეთებინა საკუთარი ქმრისთვის, რომელსაც ჩემი მიტოვება არც უფიქრია. მკითხავემა, ფულის გამოძალვის მიზნით, 10 წლის ოჯახი კინაღამ დამანგრევინა. როცა მიხვდები, რაშიც იყო საქმე, მოძღვართან მივედი, აღსარება ჩავაბარე, ცოდვა მოვინანიე და მას მივერ ნათელმხილველებისკენ არც გამიხედავს. პატივება ვთხოვე მეუღლესაც და მევერდი. სამწუხაროდ, გვიან მიხვდები, რომ მკითხავებში სიარული ცოდვაა.

სულითვის სასარგებლო რჩევები



● შენ ხარ კეთილმონყობილი ჭურჭელი, რომელმაც უფლისაგან სიკოცხლე მიიღე. ადიდე შენი შემოქმედი, რადგან იმისთვის ხარ მოწოდებული, რომ ღვთის მადლის ღირსეული გამოვლინება იყო. ეს სამყარო შენთვის ცოცხალი წიგნია, რომელიც უფლის სიდიადეს ქადაგებს და შენ, გონიერ არსებებს, მის იდუმალ და უხილავ ბრწყინვალეებას გაზიარებს, რათა შეიცნო ქვემარტივების ღმერთი.

● მსხვერპლი ღმერთისა არის სული შემუსვრილი, გული შემმუსვრელი და დამდაბლებული ღმერთთან არა შეურაცხველი.

● სულის ხსნისთვის აუცილებელია წმიდა საიდუმლოთა ზიარება, რაც უფრო ხშირად, მით უკეთესი.

● ცოდვათა მონანიება ნიშნავს, რომ აღარ უნდა დაუბრუნდეთ მათ. ისევე, როგორც ყოველი ავადმყოფობის წამლობა შეიძლება, ნებისმიერ ცოდვას სინანული ახლავს წამლად.

● შიში ღვთისა არის მამა გულსიყურისა, გულისყური კი დედაა შინაგანი სიმშვიდისა. ღვთის შიში აღვიძებს მიძინებულ სინდისს, რათა ჩაახედოს სული აუღელვებელ, გამჭვირვალე წყალში და დაანახოს თავისი უღამაზობა.

● გამოითხოვე უფლისაგან კეთილგონიერული დუმლის მადლი და საუბრის დროს ნუ იქნები ცნობისმოყვარე ახალი ამბების მიმართ, რადგანაც ისინი სულს ართობენ და ღმერთს გვაშორებენ.

კითხვა-პასუხი

რას ნიშნავს „სამკვეთლო“?

— საკურთხეველის ჩრდილოეთ ნაწილში დგას „სამკვეთლო“ — ფარით შემოსილი მაგიდა, რომელზეც სრულდება კვეთა, ანუ პური და ღვინო მზადდება მრევლის საზიარებლად. სამკვეთლო სიმბოლოურად გამოხატავს გამოკვეთილ კლდეებს, სადაც მაცხოვარი იშვა და მთას (გოლგოთას), სადაც იგი ჯვარს აცვეს. სამკვეთლოზე დაბრძანებულია საეკლესიო ჭურჭელი, რომელიც ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს გამოიყენება, კერძოდ, ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი და სხვ.

როდისაა ერთდღიანი მარხვა?

— ყოველი კვირის ოთხშაბათს, პარასკევისა და მსგეფის გარდა ერთდღიანი მარხვა უნდა შევიწახოთ ნათლისღების წინა დღეს — 18 იანვარს (მძიმე მარხვა), იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს — 11 სექტემბერს (მძიმე მარხვა) და ჯვართამაღლების დღეს — 27 სექტემბერს (მძიმე მარხვა).

ქრისტიანული წესის დაცვაშია ეკლესიის სხვა საკითხები?

— თუ ვინმე შენს ნათქვამს არ შეისმენს, ნუ აიძულებ, კამათით გააგებინო. ისარგებლე მადლით, რომელიც მან დაკარგა, რადგანაც უსისხველოა დიდ სარგებელს მოგიტანს, მაგრამ თუ ზიანი მარტო შენ კი არა, სხვებსაც მიადგება, ნუ მოითმენ, ეძიე სარგებელი მოყვასისთვის და არა საკუთარი თავისთვის. საერთო კეთილდღეობა პირადულზე უპირატესია.

ზოგჯერ მოხუცი ქალები, რომლებიც ტაძარს ასუფთავებენ, მრევლს უხედავ მიმართავენ და შენიშნავენ აქლქვენი. გამართლებულია მათი საქციელი?

— ნუ გაგალიზიანებთ ხანშიშესული ქალების არაკორექტული შენიშვნები, რომ იქ არ დგახართ, სადაც საჭიროა, ან სანთელი სწორად არ გიჭირავთ. უმეტესწილად მათ მძიმე ტკივილებით სავსე გზა აქვთ გავლილი და შეიბრალები, გაგებით მოეკიდეთ, ალერსიანად უპასუხეთ ან ჩუმად გაერიდეთ, ნუ განიკითხავთ.

შეიძლება თუ არა პასუხი გავცეთ ეკლესიის ახალი წესის შექმნას?

— საეკლესიო წესის მიხედვით, როდესაც ტაძარში ღვთისმსახური იმყოფება, მრევლის არც ერთ წევრს, თუ მისთვის საგანგებო კურთხევა არ მიუციათ, უფლება არ აქვს, პასუხი გასცეს სხვების შეკითხვებს. იმ მწირი ცოდნით, რომელიც თქვენ გაქვთ, ვერავის ვერაფერს ასწავლით, შეიძლება ამით დააბრკოლოთ კიდევ ეკლესიის ახალი წევრი.

მოქალაქე რამ მიმართ სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა. რა უნდა ვიფიქრო?

— გაითვალისწინეთ, რომ სასულიერო პირს მრავალი საზრუნავი აქვს და ხშირად ძალიან დატვირთულია, თანაც დაღლილი. ნუ განიკითხავთ, თუ მოგჩვენათ, რომ უყურადღებოდ მოგექცათ, მოძღვრის განკითხვა ცოდვაა.

საგლეჯი

ქსიოს ხრახი

ჩვენი მოგზაურობა ქციისა და მისი შენაკადის — ტორნის (იგივე ასლანკას წყლის) შესართავთან პირღებულის მონასტრით არ დასრულებულა. ამჯერად ტორნის მარჯვენა სანაპიროს მიუყვებით და სოფელ სამღერეთში შევდივართ.

სოფლის ცენტრში დგას XIX საუკუნეში გადაკეთებული XII საუკუნის ქართული ეკლესია. გადაკეთების კვალად კარგად ჩანს როგორც ფასადებზე, ისე ინტერიერში, ამალღებულ საკურთხეველში.

სოფლის სახელწოდებას საფუძვლად უდევს სამ დასთან დაკავშირებული ლეგენდა. ლეგენდა გვიამბობს, რომ დიდი ხნის წინათ, როცა მტერს ეს სოფელი გაუნადგურებია და გადამწვარ დასახლებაში შესულა, იქ ლოდზე ჩამომჯდარი სამი პატარა გოგო — სამი და დახვედრია. მათ გარდა, თურმე, სოფელში ძეხორციელის ჭაჭანება არ იყო. გოგონები ფანდურს უკრავდნენ და დაღუპულებს დატიროდნენ. მტერს ეს სამი დაც დაუხოცავს. ასე დარქმევია სოფელს სამღერეთი და მას სხვა სახელი არც სომხურ ენაზე არ აქვს. მიუხედავად ამისა, სომხურ მოსახლეობას XIX საუკუნეში, ეკლესიის აღდგენა-გადაკეთებასთან ერთად, ამ ლეგენდის ქვაში გაცოცხლება და გათავისება მოუხერხებია — ერთ-ერთი მოღვისთვის აკენის ფორმა მიუცია, მასზე, სამი დის აღმნიშვნელად, სამი ჯვარი გამოუსახავს და სომხური ნარწერაც ამოუკანრავს.

ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს:

